ახალგაზრდა ადვოკატები

ახალგაზრდა ადვოკატები

2015 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი 2015

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“

2015 წლის საქმიანობის ანგარიში

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
თბილისი, 2015

ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატების“ 2015 წლის გუნდი

არჩილ კაიკაციშვილი
ხელმძღვანელი

მარიკა არევაძე
თანადამფუძნებელი

ცაბო გუგუნაშვილი
PR-მენეჯერი

ანა კიკნაძე
მთავარი იურისტი

ლაშა ციბაძე
იურისტი

ბექა ჯავახიშვილი
იურისტი

მარი იობაშვილი
უფროსი მკვლევარი

ნინო ღაჭავა
სოციოლოგი

ნინო ვალიკოვი
პროექტების მენეჯერი

თეონა ბარბაქაძე
იურისტი (31/05)

ნინო ისაკაძე
ანალიტიკოსი (31/07)

ჯუმბერ სირაბიძე
იურისტი (31/06)

ლევან ბერაძე
იურისტი (31/06)

სალომე გოგლიძე
ანალიტიკოსი (05/11)

სოფიო კვალიაშვილი
ოფისს-მენეჯერი (31/02)

გულო არევაძე
ფინანსური მენეჯერი

გულო ყურბანოვა
დამლაგებელი

შინაარსი

წინათქმა

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებრივი აზრის შექმნის პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საკანონმდებლო რეგულაციების პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ კვლევითი საქმიანობის პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ევროინტეგრაციის მხარდაჭერის პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ყველა აქტიურობა საჯარო სივრცეში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ სამართლებრივი დახმარების პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სადამკვირვებლო უფლებამოსილება 2015 წელს

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სამოქალაქო კამპანიები 2015 წელს

„ახალგაზრდა ადვოკატების“ კონფერენციები, მრგვალი მაგიდა, პრეზენტაციები 2015 წელს

„ახალგაზრდაა დვოკატების“ ინიციატივები, რეკომენდაციები, წინადადებები 2015 წელს

„ახალგაზრდაა დვოკატების“ ურთიერთობა დონორებთან 2015 წელს

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ინსტიტუციური დიალოგი ხელისუფლებასთან

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 2015 წელს

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მნიშვნელოვანი წარმატებები და თანამონაწილეობა 2015 წელს

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სამოქალაქო ჩართულობა 2015 წელს

წინათქმა

ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობაში, 2015 წელი, კიდევ უფრო მეტად დატვირთული და ნაყოფიერი აღმოჩნდა. თუკი სტატისტიკურ მონაცემებს გავყვებით, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2015 წლის განმავლობაში, 80 ბრიფინგი და 177-ზე მეტი საჯარო განცხადება მოვამზადეთ. ორგანიზაციას გააჩნდა მკაფიო და პრინციპული დამოკიდებულებები საზოგადოებრივი, სამართლებრივი, პოლიტიკური თუ სოციალური ხასიათის მთავარი მოვლენების მიმართ, რომელმაც გავლენა იქონია ჩვენს ცხოვრებაზე. დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვის საკითხი, ინსტიტუციური რეფორმები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გადაწყვეტილებები, მართლმსაჯულების რეფორმა, ევროინტეგრაცია, სამართლიანობის აღდგენის პროცესი, საჯაროობის პრინციპის უზრუნველყოფა, სწორედ აღნიშნული პროცესების მიმართ, ერთ-ერთი აქტიური და ჩართული ორგანიზაცია აღმოჩნდა „ახალგაზრდა ადვოკატები“. შესაბამისად, 2015 წელს, ორგანიზაციამ განვლო საზოგადოებრივი ნდობის გზაც და გააგრძელა შიდა ინსტიტუციური განვითარებაც. ორგანიზაცია 2015 წლის 28 იანვრიდან, კაბინეტურ მმართველობაზე გადავიდა. ორგანიზაციის ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, სათავეში ორი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელი ჩაუდგა. ხელმძღვანელმა დააკომპლექტა ორგანიზაციის კაბინეტი (აღმასრულებელი გუნდი). წესდებით, დაზუსტდა ორგანიზაციის საქმიანობის ფორმები, მისია და ჩართულობა. მერგო პასუხიმგებლობა, ორგანიზაციის პირველი არჩეული ხელმძღვანელის სტატუსით გამეგრძელებინა საქმიანობა. 2015 წლის პირველ ნახევარში, შეიცვალა „ახალგაზრდა ადვოკატების“ აღმასრულებელი გუნდიც. ჩვენი თანამშრომლები კონკურენტუნარიანნი აღმოჩდნენ - მათ დაიკავეს საპასუხისმგებლო პოზიციები საჯარო სამსახურში, ხოლო ორგანიზაციამ ღია და გამჭვირვალე კონკურსების გზით, გზა გაუხსნა სამართლის ახალგაზრდა სპეციალისტებს. ორგანიზაციაში სტრატეგიული პროექტების მომზადების, საერთაშორისო პარტნიორებთან კომუნიკაციის გაზრდის, ადამიანური რესურსის მართვისა და ადვოკატირების კამპანიების დაგეგმვის საკითხებზე, „Peace Corps“-ის პროგრამის ფარგლებში, „ახალგაზრდა ადვოკატები“ 6 თვის განმავლობაში მასპინძლობდნენ უცხოენოვან მოხალისეს, დევიდ მაიოს. ორგანიზაციამ 2015 წლის მანძილზე, განახორციელა სამი ახალი პროექტი: „მიგრანტთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა“, საინფორმაციო კამპანია ეროვნულ უმცირესობათა თემებში აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ „ეთნიკური უმცირესობების ფორუმი“ და თბილისში, 2015 წლის 13 ივნისის „სტიქიით დაზარალებულ ქალთა ადვოკატირება“. გაგრძელდა თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან. განხორციელდა კველივითი საქმიანობა, მონიტორინგები, მომზადდა სარეკომენდაციო წინადადებები აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების მიმართ. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. მომზადდა აქტუალურ თემებზე მრგვალი მაგიდები და შეხვედრები. საქართველოს პარლამენტმა განიხილა ორგანიზაციის მიერ მომზადებული სამი საკანონმდებლო წინადადება. ერთ-ერთ მათგანზე, საკანონმდებლო ორგანომ საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ მოამზადა სარეკომენდაციო წერილი. ადამიანის უფლებების

დაცვისა და ადვოკატის პროფესიის განვითარებისთვის, 2015 წლის იანვრიდან, დავაფუძნეთ ახალი იურიდიული კომპანია „კაიკაციშვილი და ადვოკატები“, სადაც ამჟამად „ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტები და მოწვეული სპეციალისტების საქმიანობენ. ამასთან, გამორჩეული იყო საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობის სხვა პროცესიც. ორგანიზაცია აქტიურად იღებდა მონაწილეობას პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებულ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს თემატურ სხდომებშიც.

ჩვენი წარმატებული საქმიანობის შემთხვევებად უნდა აღინიშნოს ის გარემოებებიც, რომ „ახალგაზრდა ადვოკატები“ 2015 წლიდან ჩაერთო ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის მიმართულებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანაშემწესთან არსებულ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლიდან ორგანიზაცია მონაწილეობას ღებულობს საქართველოს მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში. 2015 წლის თებერვალში, ორგანიზაცია აღმოჩნდა ერთ-ერთი წარმდგენი და მხარდამჭერი, რომელმაც საქართველოს პრეზიდენტს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძის კანდიდატურა შესთავაზა. 2015 წლის აპრილიდან, ორგანიზაცია ჩაერთო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაშიც. 2015 წლის 30 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით, დაფუძნდა არასამთავრობო ორგანიზაციათა მუდმივმოქმედი ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“. 2015 წლის 30 აპრილს, ორგანიზაციის სამართლის ჯგუფის ხელმძღვანელი, იურისტი ანა კიკნაძე არჩეულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს წევრად, 2015 წლის დეკემბრიდან კი, ორგანიზაცია გახდა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სრულუფლებიანი წევრი.

ორგანიზაციის პოზიცია არაერთხელ გამხდარა დისკუსიის საფუძველი. 2015 წლის საქმიანობის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ორგანიზაციის სახელით, საერთო სასამართლოებში მიმდინარე გახმაურებული დავები. წლის პირველ ნახევარში, მარიკა არევაძის მონაწილეობით, ჩვენ შევძელით პრეცედენტული დავის წარმატებით დასრულება არასრუწლოვან გიორგი კ-ს საქმეზე. 2015 წლის დეკემბერში, ორგანიზაციის იურისტების აქტიური მონაწილეობით, გარდატეხა მოხდა ქონებაჩამორთმეულ როლანდ ბლადაძის საქმეზეც - სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადაოდ გამხდარ ქონებაზე ყადაღის უზრუნველყოფის გადაწყვეტილება მიიღო, რითაც 12-წლიანი ბრძოლა სამართლიანი სასამართლოს უფლების მოპოვებაზე, წარმატებით დასრულდა. ორგანიზაციამ 2015 წელს დაიწყო, ასევე პრეცედენტული დავა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ მიმართ, რითაც მიზნად დაისახა ქვეყანაში დისკრიმინაციული საგრანტო პოლიტიკის შეცვლა. ჩვენი საქმიანობის

პრაქტიკამ აჩვენა, რომ 2015 წელს, ადამიანის უფლებების დარღვევის ტოტალური ფაქტები გამოვლინდა საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების მხრიდანაც, რაზეც მეტყველებს სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავებზე ორგანიზაციის მიერ მომზადებული არაერთი სარჩელი და მოქალაქეების მიმართ, გაწეული უფასო იურიდიული კონსულტაცია.

ჩვენი ფასეულობები, ღირებულებები და პრინციპები შეუცვლელი იქნება. 2016 წელი გაცილებით მეტ ყურადღებას მოითხოვს. სამართლიანობის აღდგენის პროცესი, კანონის უზენესობა, ადამიანის უფლებები, მართლმსაჯულების რეფორმა, დემოკრატიული ინსტიტუტების ანგარიშვალდებულება, ახალი საპარლამენტო არჩევნებისთვის თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფა - ეს ის მთავარი საკითხებია, რომლის მიმართაც, „ახალგაზრდა ადვოკატები“ იქნება ჩართული და აქტიური ორგანიზაცია. ჩვენი მისია, ჩვენი მიზანი და საზოგადოებრივი ამოცანა კვლავ დახმარების მთხოვნელი მოქალაქეების გვედრით დგომა იქნება. ჩვენ და საზოგადოება, ვართ ერთი გუნდი, რადგანაც ჩვენ ვართ საზოგადოება, რომელსაც დემოკრატიული, წარმატებული და გამთლიანებული ქვეყანა გვინდა. ამ მიმართულებით, 2016 წელს, საქართველოს პრეზიდენტის მიერ ქვეყანაში ევროპული სახელმწიფოს წლად გამოცხადებაც, საზოგადოებასაც და სამოქალაქო სექტორსაც, განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ჩვენ გვინდა მეტი ევროპა საქართველოში და ჩვენს ტრადიციულ ღირებულებებზე დაფუძნებული თანასწორუფლებიანი საზოგადოება. პროფესიას და პროფესიონალებს შეუძლიათ ეს გზა სამაგალითო და მისაბაძი გახადონ. ჩვენ ვირჩევთ ამ გზას, რომელიც გამოხატავს ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორობის სიმბოლოს. „ახალგაზრდა ადვოკატების“ ღირებულებებიც სწორედ ესაა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2015 წლის განმავლობაში, პროფესიული ნდობისა და თანამშრომლობისთვის, ყველა ჩვენთან დაკავშირებულ პირს, განსაკუთრებულ მადლობას გადაუხდის. ჩემი მადლობა მინდა ცალკე გამოვყო იმ ადამიანების მიმართაც, რომლებიც 2015 წლის მანძილზე, „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდის სახელით, საზოგადოებისთვის სასიკეთო საქმეს აკეთებდნენ. ჩვენი დონორი ორგანიზაციების მიმართაც, რომელთა დახმარებითაც, ჩვენ გვქონდა სამუშაო გარემო. ვიმედოვნებთ, 2016 იქნება გაცილებით საინტერესო და შემოქმედებითი, რადგანაც „ახალგაზრდა ადვოკატები“ - წინ მიმავალთა ორგანიზაციაა!

არჩილ კაიკაციშვილი
ორგანიზაციის ხელმძღვანელი

29 დეკემბერი, 2015
✔ „ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებრივი აზრის შექმნის პროცესში

2015 წლის **იანვარიდან,** „ახალგაზრდა ადვოკატები“ აქტიურად ჩაერთო საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის საზოგადოებრივ პროცესში და მკაფიო აქცენტები დასვა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოქმედებებთან დაკავშირებით. 2015 წლის 15 იანვარს, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შედგა ცალკეული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა შეხვედრა, სადაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის კრიტერიუმებზე გაიმართა მსჯელობა, თუმცა ოფიციალური მიმართვის მიუხედავად, ორგანიზაცია მიწვეულთა სიაში არ აღმოჩნდა, რაც „ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლიანი პროტესტის საფუძველი გახდა. ორგანიზაციამ განაცხადა, რომ აღნიშნული გარემოება არ იქნებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტი, თუ არ შევნიშნავდით საქართველოს პრეზიდენტის მეტად საყურადღებო დაშვებებს, რომელიც უკავშირდება სამოქალაქო ორგანიზაციებთან დამოკიდებულების საკითხს. განცხადებაში აღინიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და ჯგუფი, რომელიც პრეზიდნეტის სახელით, სამოქალაქო სექტორთან კომუნიკაციის პოლიტიკას განსაზღვრავს, სერიოზულ შეცდომებს უშვებენ. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ 2013 წლიდან საქართველოს პრეზიდენტის შეხვედრები ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებსა და სამართლის სფეროში არსებული პრობლემების მიმართ, ფავოროტების დასახელების პრინციპით მიმდინარეობს.

ორგანიზაცია 21 იანვარს გამოეხმაურა სამოქალაქო მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ხელმძღვანელის, იური ვაზაგაშვილის დაღუპვის ფაქტს და აღნიშნა, რომ იური ვაზაგაშვილის დაღუპვა სამოქალაქო საზოგადოებას, ხელისუფლებას და ქვეყნას გამოწვევების წინაშე ამყოფებს, ვინაიდან განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სიცოცხლის უფლების დაცვისა და მართლწესრიგის საკითხების უზრუნველყოფა. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ იური ვაზაგაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება სწრაფი ფორმით უნდა წარმართოს და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია, გამოძიების მიმდინარეობის ეტაპების თაობაზე. მნიშვნელოვანია, პროკურატურის მხრიდან წარმოდგენილ იქნეს მაღალი ხარისხის მტკიცებულებათა ერთობლიობა საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთებისთვის, რადგანაც სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით დაწყებული გამოძიება, რაც გულისხმობს განზრახ მკვლელობას დამამძიმებელ გარემოებებში, შესაძლებელია უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელით დასრულდეს. შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ საქმეზე ყველა სამართლებრივი მოქმედების განხორციელებას, გადამწყვეტი როლი აქვს შედეგისთვის.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ **2015 წლის თებერვლის** თვეში, კვლავ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევის პროცესს. ორგანიზაციამ ამ პოზიციაზე დაასახელა სამართლის აღიარებული სპეციალისტი, ნინო გვენეტაძის კანდიდატურაც, ხოლო 17 თებერვალს ოფიციალური განცხადება გაკეთდა საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელმაც პარლამენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურად, სწორედ ნინო გვენეტაძე წარუდგინა. ორგანიზაციამ პრეზიდენტის გადაწყვეტილება სამართლებრივი სახელმწიფოსა და დამოუკიდებელი მართლმსაჯულების შექმნისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა. 20 თებერვალს,

ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ პროფესიულ საზოგადოებას და ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც უშუალოდ შეხება გააჩნდა სასამართლოს დამოუკიდებლობის შეფასების საკითხთან, შეუძლებელია პროტესტის გარეშე დატოვოს ეპოქა, როდესაც კონსტანტინე კუბლაშვილი სასამართლოს ერთპარტიული დემოკრატიით მართავდა. ორგანიზაციის ორგანიზებით, 2015 წლის 23 თებერვალს, სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით, საქართველოს უზენაესს სასამართლოსთან, სწორედაც წინა თავმჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილის 10-წლიანი მმართველობა დასრულდა. ორგანიზაციამ 24 თებერვალს, საზოგადოებას ახალი ინიციატივა გააცნო. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავრობას აფხაზ და ოს მოსახლეობასთან კომუნიკაციის ახალო ხაზი შესთავაზა, რომლის ფარგლებშიც, მთავრობის სამინისტროებს უნდა დაეკისროთ საკუთარი საქმიანობის, განხორციელებული თუ მიმდინარე რეფორმების, სახელმწიფოს მხრიდან არსებული სერვისებისა და შეთავაზებების თაოაბზე ინფორმაციის მომზადება აფხაზურ და ოსურ ენებზე. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ თანამემამულეებთან - აფხაზზ და ოსს მოსახლეობასთან ახალი კომუნიკაციის სტრატეგია სჭირდება, რომელიც შესაძლებელს გახდის, ჩამოყალიბდეს თანაცხოვრებისა და თანამშრომლობისათვის ახლებური მიდგომები. ახალი კომუნიკაციის სტრატეგია ხელს შეუწყობს აფხაზი და ოსი მოსახლეობის ინფორმირების გაზრდას საქართველოს პოლიტიკური, სამართლებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის სიახლეების თაობაზე. საქართველოს რეფორმების მიმართ იქნება სწორხაზოვანი და ობიექტური წარმოდგენა. ინიციატივის განხორციელება, ხელს შეუწყობს კონფლიქტის სოციალური დიალოგის ფორმატში დაძლევის მექანიზმის გაჩენას და ნდობის დაბრუნებას. ასევე, მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს ევროპული არჩევანის შესაძლებლობების შეფასებასა და უპირატესობისთვის, რაც აფხაზი და ოსი მოქალაქეების თვითორიენტაციის საკითხში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის მარტის თვეში,** ყურადღება დაუთმეს სამართლიანობის აღდგენის პროცესს. ორგანიზაციის 5 მარტის განცხადებაში აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნა სამართლიანობის აღდგენის დაჩქარების პროცესს გამოიწვევს და საზოგადოება განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს იმ პროცესს, რომელიც ერთი მხრივ, საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელია, მეორე მხრივ კი - სახელმწიფო ინტერესების საზიანო არ უნდა იყოს. ორგანიზაცია 18 მარტს გამოეხმაურა აჭარის ა/რ უმაღლესს საბჭოში მიმდინარე მოვლენებს და აღნიშნა, რომ აჭარის უმაღლეს საბჭოში მოვლენები ხელისუფლების მიტაცების მცდელობაა. ორგანიზაციამ აჭარის ა/რ უმაღლეს საბჭოს არჩეულ დეპუტატებს კანონის უზენაესობისა და კონსტიტუციური პრინციპების დაცვისკენ მოუწოდა და მიუთითა, რომ უკანასკნელ პერიოდში, უმაღლეს საბჭოში ვიცე-სპიკერის არჩევის საკითხთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, უმაღლესი საბჭოს ცალკეული დეპუტატების მხრიდან, ღიად ტოვებდა აჭარის კონსტიტუციის მიმართ უპატივცემულობას ან/და სახეზე იყო კონსტიტუციის უცოდინრობით გამოწვეული კანონდარღვევა. ორგანიზაციამ მარტის თვეში, არაერთი განცხადება გააკეთა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ასევე სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის ქმედებების მიმართ. საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია, რომ პროკურატურაში, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის ქმედებაზე, გამოძიება მიმდინარეობდა. საქმე ეხება

აჭარაში, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის შემთხვევას, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის განკარგულებით, საცხოვრებელი სახლი ჩამოერთვა და სიმბოლურ ფასად, 1000 ლარად საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, გიორგი პაპუაშვილს გადაეცა, ხოლო გიორგი პაპუაშვილმა, საკუთვრივ, 2010 წელს, როლანდ ბლადაძის მფლობელობაში არსებული ავტოფარეხი მიისაკუთრა, რომელიც არც ჩამოსართმევი ქონების ნუსხაში იყო მოქცეული და არც 2004 წლის 14 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით არის ჩამორთმეული. გარდა ამისა, ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ ს.ს. „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმეზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მოქმედი პრეზიდენტის, გიორგი ქადაგიძის დანაშაულებრივი ქმედებები იკვეთებოდა. ზემოაღნიშნული განცხადებები, გახდა მაღალი საზოგადოებრივი და მედია ინტერესის თემები.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის აპრილის თვეში,** ყურადღება დაუთმეს 2009 წლის 15 ივნისის აქციის დარბევის შედეგად დაზარალებული მოქალაქე გიორგი ჩითარიშვილის საქმეზე ახლადაღმოჩენილ გარემოებას, როდესაც ცემის ფაქტზე, გიორგი ჩითარიშვილმა სავარაუდო დამნაშავე ამოიცნო, რომელიც იმჟამად საჯარო სამსახურში დასაქმებული პირი აღმოჩნდა. ორგანიზაციამ დამსაქმებელ სამგორის მუნიციპალიტეტის გამგეობას წინადადებით მიმართა და მოითხოვა, რომ მუნიციპალიტეის თვითმმართველობაში, საკადრო პოლიტიკას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს. კადრები, რომლებიც 2003-2012 წლების მმართველობის პერიოდში, აქტიურად მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებში, სათანადო შესწავლისა და რეაგირების გარეშე არ დარჩენილიყო. ორგანიზაციამ გამგებლისგან მოითხოვა, განმარტებები გაკეთებულიყო საჯარო სამსახურში 2009 წლის 15 ივნისის აქციის დაშლის მონაწილის დასაქმებასთან დაკავშირებით, თუ რამდენად პასუხობს ასეთი საკადრო პოლიტიკა საზოგადოებრივ ინტერესებსა და სამართლიანობის აღდგენის პროცესს. ამასთან, ორგანიზაციამ მუნიციპალიტეტის გამგებელს მოუწოდა, შეისწავლოს თანამშრომელთან დაკავშირებული შემთხვევა და იმოქმედოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ამასთან, 17 აპრილს, ორგანიზაცია გამოეხმაურა პრესაში გამოქვეყნებულ ინფორმაციას და მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სწრაფი და ეფექტური სამართლებრივი მოქმედებების განხორციელებულიყო 12 ე.წ. „კანონიერი ქურდის“ საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც ყოფილი ხელისუფლების პირობებში, საქართველოში თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა ეძლეოდათ. ორგანიზაციამ განმარტა, რომ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია დაკმაყოფილდეს საზოგადოებრივი ინტერესი და არსებობდეს ინფორმაცია, მიმდინარეობს თუ არა საქმესთან დაკავშირებით მოკვლევა, რომელი თანამდებობის პირთა სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგას ე.წ. „კანონიერი ქურდების“ საქართველოში თავისუფალი გადადგილების ხელშეწყობისთვის, რა შესაძლო თანამშრომლობა არსებობდა ე.წ. „კანონიერ ქურდებსა“ და წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის და ამჟამად, რა მდგომარეობა არსებობს დანაშაულებრივ სამყაროსთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგიის მიმართულებით.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის მაისის თვეში,** ყურადღება დაუთმეს ინტერნეტ ბაზარზე არსებული დომინირებულ მდგომარეობას და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამოდმინარე, კონკურენციის ეროვნულ სააგენტოს ფაქტებთან დაკავშირებით, შესწავლის დაწყებისკენ მოუწოდეს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია

კონკურენციის სააგენტომ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, დაიწყოს ინტერნეტ-ბაზარზე არსებული სუბიექტების კეთილსინდისიერების საკითხის შესწავლა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტთან მიმართებით, რომელიც პირდაპირ კრძალავს ერთი ან რამდენიმე (ჯგუფური დომინირების შემთხვევაში) ეკონომიკური აგენტის მიერ დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. ორგანიზაცია აღნიშნავს, რომ 2015 წლის მარტიდან, ინტერნეტ-ბაზრის მფლობელებმა, მნიშვნელოვნად გაზარდეს მომსახურების ტარიფი, ცალმხრივად დაირღვევა მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებები, კომპანიების მხრიდან, მოქალაქეების მიმართ, არ მომხდარა მომსახურების ღირებულების გაზრდის საჭიროების დასაბუთება. შესაბამისად, არსებობს მაღალი ალბათობა, რაც მიუთითებს ინტერნეტ-ბაზარზე არსებული კომპანიების მხრიდან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტზე. ორგანიზაციამ 7 მაისს გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ „საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომელთა პოლიტიკური შეხედულებების გამო სამსახურიდან გათავისუფლების საკითხების შემსწავლელმა კომისიის“ მიერ გამოქვეყნებული ანგარიში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, საგანმანათლებლო სფეროში, სისტემური დანაშაულის არსებობას ადასტურებს, რაც რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ განათლების სისტემიდან პოლიტიკური ნიშნითა და კანონის უხეში დარღვევით გათავისუფლებულთა საქმეების შემსწავლელი კომისიის დასკვანა იძლევა საფუძველს, რომ საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, იმ ხელმძღვანელი პირების მიმართ, რომელებიც მოქმედებდნენ მართლსაწინააღმდეგოდ, დაიწყოს გამოძიება. 14 მაისს, ორგანიზაცია გამოეხმაურა დედაქალაქში პროექტ: „პანორამა - თბილისის“ მშენებლობის მიმართ არსებულ საზოგადოებრივ დისკუსიასაც და აღნიშნა, რომ პროექტის სამართლებრივი შეფასებისა და ანალიზის დროს, მხედველობაშია მისაღები განმახორციელებელი ორგანიზაციის იურიდიული სტატუსი, შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისობა მოქმედ შრომით კანონმდებლობასთან, გარემოსდაცვითი ნორმატიული აქტების გამოყენებისა და სართაშორისო დირექტივების მიმართ პროექტის თავსებადობის საკითხი. მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებებით, საზოგადოებას გააჩნდეს სათანადო ინფორმაცია, ვინაიდან არასწორმა დისკუსიამ, შესაძლებელია, მხოლოდ პროექტის ნაკლოვანი მხარეები გამოკვეთოს. 22 მაისს, ორგანიზაციამ თბილისის მერიასა და კომპანია “C.T.PARK“-ს შორის 2007 წლის 7 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, გააკეთა სპეციალური განცხადება და არ გამორიცხა “C.T.PARK“-თან სხვა „ჩრდილოვანი ხელშეკრულებების“ არსებობის ფაქტიც. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ გამორიცხული არ არის, თბილისის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირების მიზნით, პარკირების სფეროს მართვის უფლების იჯარით გადაცემის შესახებ თბილისის მერიის ყოფილ ადმინისტრაციასა და მოქმედ კომპანიას შორის არსებობდეს ჯერ კიდევ საზოგადოებისთვის უცნობი, სხვა „ჩრდილოვანი ხელშეკრულებებიც“, რომლებიც დედაქალაქის მთავრობის მაღალი თანამდებობის პირების ფინანსურ ინტერესებსა და კომპანიასთან კარტერულ გარიგებებს ეხებოდეს. ორგანიზაციამ მიმართა დედაქალაქის თვითმმართველობას, უზრუნველყო თბილისის მერიასა და კომპანია “C.T.PARK“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების სამართლებრივი ექსპერტიზა. ამასთან, გამოეხმაურა წინადადებას, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია დედაქალაქში საქმიანობა “C.T.PARK“-ის ალტერნატიულმა კომპანიამ დაიწყოს და აღნიშნა, რომ ეს ინიციატივა, ასევე ახალი რისკების და სირთულეების მომტანი შეიძლება აღმოჩნდეს მოქალაქეებისათვის,

თუკი არ მოხდება საკითხის ეკონომიკური და სამართლებრივი მხარის ობიექტურად წარმოდგენა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის ივნისის** თვეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან ანტიკონსტიტუციორად გამოცხადების საფრთხეს და ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებას, შესაბამისი საჭირო მოქმედებების დაგეგმისკენ მოუწოდეს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ შეუძლებელია, იგნორირების მიღმა დარჩეს საქართველოს უსაფრთხოების სისტემები და მიღებულ იქნეს მათი შესაძლებლობების შესუსტებისკენ რომელიმე გადაწყვეტილება. მნიშვნელოვანია, საზოგადოება ფლობდეს ინფორმაციას, თუ რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი მოქმედი ე.წ. „ორგასაღებიანი“ სისტემის შემთხვევაში, სახელმწიფო დაკარგავს ერთი გასაღების ფლობის შესაძლებლობას ან ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა აღმოჩნდება კომპანიების მფლობელობაში, რომელთა წარმომადგენლებიც უცხო ქვეყნაა. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მაღალი სტანდარტით დასაბუთება მართებს, რათა გასაჩივრებული კანონის განმარტება არ დაუქვემდებაროს არც პოლიტიკურ კონტექსტს და არც რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესებს (საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნულო საკითხზე კონსტიოტუციური სარჩელის განხილვას 2016 წლის იანვარში გააგრძელებს). ორგანიზაციამ 29 ივნისს განცხადება გაავრცელა და აღნიშნა, რომ გიგი უგულავას საქმეზე, „რუსთავი 2“-მა სოციალური რეკლამა „რეკლამის შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების დარღვევით განათავსა. კერძოდ, საქმე ეხება ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით, ბოლო თვეების განმავლობაში, საზოგადოებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას, რომელიც ეხება თბილისის ყოფილი მერის, გიგი უგულავას პატიმრობაში ყოფნის 9-თვიანი ვადის გასვლას. ტელეკომპანიის ეთერით გასული სიუჟეტის მიხედვით, სასამართლოს მხრიდან აღნიშნული ვადის გაგრძელება, შეფასებულია, როგორც ხელისუფლების მხრიდან უკანონო მოქმედება და გიგი უგულავას საპატიმროში ყოფნა, ხელისუფლების მხრიდან პოლიტიკური ნიშნით დევნა. ორგანიზაციის ყურადღება მიიპყრო ტელეკომპანიის ეთერით საზოგადოებისთვის მიწოდებულმა აღნიშნული ინფორმაციის ხასიათმა, როგორც „სოციალური რეკლამა“. ორგანიზაციამ განმარტა, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა აღნიშნული ვიდეო-რგოლის გავრცელებით, დაარღვია კანონი და გავრცელებული ინფორმაცია, თავისი შინაარსით, არ წარმოადგენდა სოციალური რეკლამის კატეგორიას. სარეკლამო რგოლი შეიცავდა პოლიტიკურ განცხადებებს და რეკლამაზე მითითებული არც შემკვეთი ფიზიკური თუ იურიდიული პირის ვინაობა იყო აღნიშნული. რაც, კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ვიდეო-რგოლის სოციალურ ხასითს და მიზანს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის ივლისის** თვეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსის, ანდრო ბარონივის მხრიდან კონფლიქტის ზონაში, 2015 წლის 16 ივლისს ქართული პოლიციელის შეურაცხყოფის ფაქტს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოში ყველა პოლიტიკურ პარტიას, ორგანიზაციას და საზოგადოებას განსაკუთრებული ყურადღება მართებს, როდესაც საქმე ეხება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს და ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვას, ვიდრე გამიზნული პროვოკაციების ჩადენა მხოლოდ პოლიტიკური მიზნებისთვის. ორგანიზაციის განცხადეაბში აღინიშნა, რომ

ქართველი პოლიციელის შეურაცხყოფის ფაქტი, გაცილებით მაღალი მნიშვნელობის შემთხვევაა, ვიდრე განსხვავებული პოლიტიკური ძალის კრიტიკა და პოლიტიკური ოპონირების საკითხი. შესაბამისად, საქართველოში არც ერთ პოლიტიკურ პარტიას, მათი განსხვავებული იდეოლოგიების მიუხედავად, უფლება არ აქვს შეურაცხყოფა მიაყენოს და დააკნინოს ისეთი სახელმწიფო ინსტიტუციები, როგორიცაა პოლიცია და ჯარი. ორგანიზაცია 21 ივლისს გამოეხმაურა საქართველოს სამართალდამცავი უწყებების რეფორმას და აღნიშნა, რომ ცვლილებები შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მთავარ პროკურატურაში, ხელისუფლებას მაღალ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას აკისრებს და სახელმწიფოს ანგარიშვალებულებას მოქალაქეების წინაშე, კიდევ უფრო მეტად ზრდის. წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო, სისტემური დანაშაულებების განმახორციელებელი უწყებებად ჩამოყალიბდნენ, სადაც ჭარბი ძალაუფლება პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა. მოცემულ ეტაპზე, აღსანიშნავია მთავრობის პოლიტიკური ნება და წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით დაგეგმილი ცვლიელბები, როდესაც იზრდება საპარლამენტო კონტროლი და მთავარი პროკურორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, ანგარიშვალდებული იქნება ხალხის მიერ არჩეული ორგანოს - პარლამენტის წინაშე. შესაბამისად, ქვეყანაში ზემოაღნიშნული სახელმწიფო ორგანოების მიმართ, უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი ნდობა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. რეფორმამ უნდა გააძლიეროს მართლმსაჯულების სისტემაც, ვინაიდან პროკურატურაში დაგეგმილი ცვლილებები, მხარეთა შეჯიბრითობისა და თანასწორუფლებიანობის მიმართულებით, იქნება კიდევ ერთი საჭირო ნაბიჯი. ამასთან, პროკურატურის საპარლამენტო კონტროლი უწყების მაღალ ლეგიტიმაციას შეუწყობს ხელს. ორგანიზაცია 28 ივლისს გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენთან არსებული შეწყალების კომისიის გადაწყვეტილებებს და აღნიშნა, რომ კომისიამ 2015 წლის 23 ივლისს შეწყალებულ მსჯავრდებულ ყოფილ საჯარო მოხელეებთან დაკავშირებით, კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მიიღო, რითაც პირდაპირ დაარღვია პრეზიდნეტის 2014 წლის 27 მარტის #120 ბრძანებულებით მიღებული შეწყალების ახალი წესი. პრეზიდენტის ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, შეწყალება არ გამოიყენება იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომელიც მსჯავრდებულია არა უმეტეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთით და მოხდილი არა აქვს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოსახდელად განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის ვადის ერთი მესამედი. პრეზიდენტის ამავე ბრძანებულების მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, შეწყალება ასევე არ გამოიყენება იმ მსჯავრდებულის მიმართ, რომლის საქმის განხილვა არ არის დასრულებული საქართველოს სამივე ინსტანციის საერთო სასამართლოში ან თუ არ არის გასული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების კანონმდებლობით დადგენილი ვადა. ორგანიზაციამ მიმართა პრეზიდენტს, გადახედოს შეწყალების პოლიტიკას და საქმეები, რომელსაც კომისია განიხილავს, მომავალში არ გახდეს საზოგადოებრივი წინააღმდეგობის საკითხი. ამასთან, ორგანიზაციამ მოუწოდა პრეზიდენტს, მსჯავრდებულთა შეწყალების პოლიტიკის განხორციელების დროს, სამართლიანი გადაწყვეტილებებით იმოქმედოს და პატივის სცეს საჯარო ინტერესს, როდესაც წარსულში, სისტემური დანაშაულში მსჯავრდებული საჯარო თანამდებობის პირების სასჯელისგან გათავისუფლება ყოველგვარი საზოგადოებრივი დამოკიდებულებების გათვალისწინების გარეშე ხდება.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის აგვისტოს** თვეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სამართლიანობის აღდგენის საკითხებზე მედიის ინფორმირების გაზრდას. ორგანიზაციამ 14 აგვისტოს, სამართლიანობის აღდგენის პროცესის, მართლმსაჯულების ხარვეზებისა და ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით, მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრა და სამართლის სპეციალისტების მონაწილეობით, მრგვალი მაგიდა გამართა. ორგანიზაციამ სამართლისა და ეკონომიკის თემაზე მედიის წამყვან ჟურნალისტებს უმასპინძლა და დეტალურად გაცნო საკითხები, რომელიც სამართლიანობის აღდგენის პროცესში, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, უშუალოდ სასამართლო პრაქტიკაში გამოიკვეთა. ამასთან, საუბარი შეეხო, თუ რამდენად ჯეროვნად თანამშრომლობს მედიის წარმომადგენლებთან აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლება, როდესაც საკითხი საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას ეხება. ამასთან, დისკუსია შეეხო, თუ რამდენად ხელმისწავდომია საქართველოს პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მოქმედებები შესახებ ინფორმაცია ცალკეული საქმეების განხილვის პროცესში. არსებობს თუ არა მედიის წარმომადგენლებისთვის რაიმე ფორმის ბარიერები და სირთულეები. ამასთან, რამდენად დაინტერესებულია ჟურნალისტები ქონებაჩამორთმეულთა საქმეების გამოძიების მიმდინარეობით, როგორია თემის გაშუქება პერიოდულ გამოცემებში და როგორია მედიის ტონი სამართლიანობის აღდგენის პროცესის მიმართ, ხელისუფლების საარჩევნო დანაპირების შეფასების დროს. ორგანიზაციამ, აგვისტოს თვეში, გამოაქვეყნა ორი მონიტორინგის შედეგები, რომელიც ეხებოდა საზოგადოებრივ მაუწყებელზე სახელფასო პოლიტიკას და უკრაინის ხელისუფლებაში საქართველოს ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა შრომითი ანაზღაურების საკითხებს. ორგანიზაციამ გამოაქვეყნდა კვლევა უვადო მსჯავრდებულთა საქმეების გადახედვის სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე და სარეკომენდაციო წინადადებები წარუდგინა აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას. ორგანიზაციამ აქტიური მონაწილეობა მიიღო ცალკეულ სადისკუსიო მაგიდებსა და თემატურ შეხვედრებში. ამასთან, ქ. ბათუმში გამართა სამოქალაქო ორგანიზაციებთან შეხვედრა სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეიტეგრაციის საკითხებზე. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გამოიწვია ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭოს წევრ მარიკა არევაძის ერთმა საგაზეთო ინტერვიუმაც, რომელმაც სოციალურ ქსელში რეკორდულ ნახვას მიაღწია. იქედან გამომდინარე, რომ ინტერვიუს კონტექსტის ინტერპრეტაცია მოხდა, ორგანიზაციამ 27 აგვისტოს განცხადება გაავრცელა, სადაც აღინიშნა, რომ მარიკა არევაძის მიერ გაზეთ „კვირის ქრონიკისთვის“ მიცემული ინტერვიუ, რომელიც ეხებოდა ბანკსა და მომხმარებელს შორის ხანდაზმული სესხების საკითხს, დაინტერესებულ მოქალაქეებში, მნიშვნელოვანი დისკუსია და რეზონანსი გამოიწვია. ორგანიზაციამ განმარტა, რომ სოციალურ ქსელში გამოითქვა სხვადასხვა შეფასებები და არგუმენტები. ორგანიზაციასთან კომუნიკაცია ჰქონდა მოქალაქეებს სხვადასხვა რეგიონიდან. ერთი შეხედვით, კანონში არსებული შესაძლებლობების განმარტებამ, საზოგადოების ნაწილში მაღალი ინტერესი გამოიწვია. ჩვენ მივესალმებით მოქალაქეების ასეთ ჩართულობას და საკუთარი უფლებების დაცვის მიზანს. ჩვენი, იურისტებისა და სამართლის სპეციალისტების მიზანია, მოქალაქეებს მომავალშიც მივაწოდოთ კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც მათი სამართლებრივი ცნობიერების ამაღალების შესაძლებლობასთან ერთად, გააჩენს ცალკეულ საკითხებზე სტრატეგიების შექმნისა და სამართლის გამოყენების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მკითხველმა ზუსტად გაიგო საგაზეთო ინტერვიუში ხანდაზმულ სესხებთან არსებული განმარტებები,

სხვადასხვა ჯგუფის მიერ, ცალკეულ შემთხვევებში, ადგილი მაინც აქვს საკითხის მარგინალიზაციის მცდელობას და მარიკა არევაძის მიერ გამოთქმული შეხედულებების იმგვარ ინტერპრეტაციას, რომელიც არ გამომდინარეობს რეალობიდან და არ ასახავს კანონში არსებული შესაძლებლობების ნამდვილობას. შესაბამისად, საკითხის მიმართ არასწორი წარმოდგენები შესაძლებელია დამაბნეველი და გაუგებარი აღმოჩნდეს რიგითი მოქალაქეებისთვის. ამიტომაც, ორგანიზაცია კიდევ ერთხელ მოახდენს ინტერვიუდან მნიშვნელოვან ამინარიდს და მიუთითებს, რომ ქვემოთ მოტანილი ტექსტი გამომდინარებს კანონის მოთხოვნიდან და სასამართლო პრაქტიკიდან. შესაბამისად, მარიკა არევაძის განცხადება არ უნდა იქნეს გაგებული სხვაგვარად. „როდესაც ბანკის კლიენტის მიერ ვალდებულება უნდა შესრულებულიყო და არ შესრულდა და ამ ვალდებულების შესრულებიდან გასულია 3 წელი, სესხი უკვე ხანდაზმულია. თუ ბანკი სასამართლოს მიმართავს, ასეთ შემთხვევაში, მოვალე არ უნდა გაექცეს სასამართლოს, პირიქით, უნდა შეიტანოს შესაგებელი სარჩელი და გამოცხადდეს პროცესზე. ხშირად კლიენტმა არ იცის, რომ სესხი არის ხანდაზმული, ბანკი სასამართლოს მიმართავს, კლიენტი არ ესწრება სასამართლოს და მოსამართლეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ბანკის სასარგებლოდ გამოქვს და ხანდაზმული სესხის გადახდას კლიენტს აკისრებს. ამის შემდეგ უკვე აღსრულების, ანუ თანხის ამოღების პროცესი იწყება. ცხადია, ბანკის წარმომადგენელი არ აცხადებს, სასამართლოზე, რომ სესხი ხანდაზმულია. ამიტომ კლიენტი უნდა დაესწროს სასამართლოს, განაცხადოს პროცესზე, რომ ბანკი უკვე ხანდაზმული სესხის გადახდას ედავება და მის გადახდას აღარ აპირებს. კანონს თუ დავეყრდნობით, სასამართლო გადაწყვეტილებას მის სასარგებლოდ გამოიტანს“- განაცხადა მარიკა არევაძემ „კვირის ქრონიკასთან“ ინტერვიუში.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის სექტემბრის** თვეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, როგორც ინსტიტუციის საქმიანობას, მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზსს, სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადაოდ არსებული ქონების მართლზომიერების საკითხებს და სასამართლოს წევრის, მოსამართლე მერაბ ტურავას მიმართ განხორციელებულ ქმედებებს. 17 სექტემბერს, ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ საზოგადოება მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოაქვეყნა. გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროს, სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა და მოსამართლეებმა, გვერდი აუარეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონი, რომლის 43-ე მუხლის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერს/განჩინებას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას/დასკვნას ხელს აწერს საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი“. მოცემულ შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 8 მოსამართლის ხელმოწერით, რაც ნიშნავს, რომ სახეზეა კანონით დადგენილი წესით დაუცველი გადაწყვეტილების მიღება. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება ლეგიტიმურობის შესახებ კითხვებს აჩენს. გადაწყვეტილების ასეთი ფორმით გამოტანას ანალოგი არ აქვს არც ერთ ქვეყანაში. სახეზეა ორგანული კანონით მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა არ არსებობს

სამართლებრივი მექანიზმი, აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც მოცემულობა, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. მაღალი ალბათობით, სასამართლოს თავმჯდომარემ შეასრულა პოლიტიკური დავალება და გამოცხადებული გადაწყვეტილებით შექმნა ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მორგებული პრეცედენტი - დაუცველი წესით მიღებული გადაწყვეტილების სახით. სამწუხაროდ, აღნიშნულ მოქმედებას დაეთანხმა საკონსტიტუციო სასამართლოს სხვა მოსამართლეებიც, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ კანონის დარღვევაში. ამასთან, სასამართლომ შექმნა არაკოლეგიალური გარემო, როდესაც მოსამართლე მერაბ ტურავას არ მიეცა გონივრული ვადა, გადაწყვეტილების პროექტს გაცნობოდა. არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, მერაბ ტურავას საკუთარი მიდგომები, სავარაუდოდ, ძვირად დაუჯდება - გიორგი პაპუაშვილი პოლიტიკურ დავალებას მერაბ ტურავას სასამართლოდან წასვლის გადაწყვეტილებით გააფორმებს. 28 სექტემბერს, ორგანიზაციამ საქართველოს მთავარ პროკურატურას ოფიციალური წერილით მიმართა და გააკეთა განცხადება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან არსებული სადაო ქონებაზე სწრაფი და ეფექტური მოქმედებების განხორციელების აუცილებლობაზე. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საჭიროა კანონის წინაშე ყველას თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვა, განურჩევლად იმის გათვალისწინებისა, ვინ არის დავის მხარე - რიგითი მოქალაქე თუ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმდჯომარე გიორგი პაპუაშვილი, რომლის ცალკეული მოქმედებები, ღიად შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. ორგანიზაციამ პროკურატურისგან მოქალაქე როლანდ ბლადაძის საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილებების მიღება მოითხოვა, რომლის ჩამორთმეულ სახლში, ქალაქ ბათუმში, ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი, ოჯახთან ერთად, ცხოვრობს. განცხადებაში აღინისნა, რომ როლანდ ბლადაძის საქმეებზე უნდა არსებობდეს პოლიტიკური და სამართლებრივი ნება, რათა პროკურატურას ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს ობიექტური გადაწყვეტილებები და აღადგინოს მოქალაქის კანონიერი უფლებები. სხვა შემთხვევაში, აზრს კარგავს ის მოლოდინები, რომელიც საზოგადოებას და უფლებადაცვით სფეროს წარმომადგენლებს, ახალი ხელისუფლების პირობებში, საქართველოს პროკურატურის მიმართ გააჩნდა. სექტემბრის თვეში, ორგანიზაციის ძალისხმევით, აგრეთვე გავრცელდა ქონებაჩამორთმეულ როლანდ ბლადაძის პირველი ოფიციალური განცხადება საზოგადოების მიმართ, სადაც ვრცლად იქნა წარმოჩენილი ქონების დათმობის ისტორია და ღია წერილში აღინიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე საერთაშორისო იმიჯის შექმნით სახელმწიფოსთვის უდანაშაულობის დადასტურებას ცდილობს.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის ოქტომბრის** თვეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სამოქალაქო ორგანიზაციების, სამართლის სპეციალისტების, მედია-სფეროს ექსპერტებისა და კონსტიტუციონალისტების სადისკუსიო შეხვედრის მომზადებას, რომელიც ,,რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით, მიმდინარე საზოგადოებრივ მოვლენების შეფასებას დაეთმო. შეხვედრაზე მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საქართველოს პრეზიდნეტის, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის, ასევე დიპლომატიური კორპუსის მიმართ, ერთობლივი განცხადებაც მიიღეს, სადაც შექმნილი ვითარების საზოგადოებრივი, სამართლებრივი და პოლიტიკური გარემო კრიტიკულად შეფასდა. 25 სექტემბერს, ორგანიზაციამ „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტს მიმართა და ალტერნატიული საზოგადოებრივი აზრის მქონე

ორგანიზაციებთან შეხვედრა მოითხოვა. ამასთანავე, ოფიციალური წერილი გაეგზავნა საქართველოს საზოგადაოებრივ მაუწყებელს, რომელსაც ეთხოვა, გაეხსნა სადისკუსიო სივრცე საქმეზე მსჯელობისთვის. 28 ოქტომბერს, საქართველოს პრეზიდენტი ორგანიზაციის მიმართვას გამოეხმაურა და განცხადებაზე ხელმომწერი ორგანიზაციები შეხვედრაზე მიიწვია. 30 ოქტომბერს, პრეზიდენტთან შეხვედრაზე, ორგანიზაციამ აქცენტი გააკეთა ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის საკითხზე, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ არსებულ სამართლებრივ დავაზე, მედიის თავისუფლებისა და სისტემური დანაშაულებების საკითხების შეფასებაზე. როგორც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა პრეზიდენტთან შეხვედრაზე განაცხადა, პრეზიდენტის შეხედულებებსა და პოზიციას შეუძლია პოზიტიური წვლილი შეიტანოს სამართლიანობის აღდგენის პროცესში. მკაფიო პოზიციები შეიძლება გახდეს პოზიტიური გადაწყვეტილებების მიღების საფუძველი. არჩილ კაიკაციშვილის თქმით, ჩვენ ვაშენებთ ისეთ სახელმწიფოს, სადაც საზოგადოება ქმნის დემოკრატიულ პროცესს, ამ პროცესში კი, პოლიტიკოსებს შესაბამისი პასუხისმგებლობა და როლი აკისრიათ. მისივე თქმით, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები სწორედ პოლიტიკურ, სამართლებრივ და საზოგადოებრივ ჭრილში უნდა დავინახოთ. არჩილ კაიკაციშვილმა ამ კონტექსტში ყურადღება დაუთმო პრეზიდენტის განცხადებას, რომლითაც ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის საქმის განხმილველ მოსამართლეს მიენიშნა, რომ არ მიეღო ხისტი და ნაჩქარევი გადაწყვეტილება. არჩილ კაიკაციშვილის შეფასებით, პრეზიდენტის განცხადებამ, ცალკეულმა გამონათქვამებმა, არსებული პოლიტიკური ვითარება, კიდევ უფრო მეტად დაძაბა, რითაც მიუღწეველი დარჩა პრეზიდენტის სურვილი, განმუხტულიყო დაპირისპირებული გარემო. მისივე შეფასებით, პრეზიდენტის განცხადება სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაში ჩარევას ნიშნავდა, რაც გახლდათ დაუშვებელი, ხოლო პრეზიდენტის განცხადება - შეცდომა. არჩილ კაიკაციშვილმა აღნიშნა, რომ დღეს საქართველოში მედია თავისუფალია, სიტყვის თავისუფლებას არ ემუქრება არავითარი საფრთხე, ხოლო ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის სასამართლო დავა და სინამდვილე, საზოგადოებისთვის უცნობია. მისივე თქმით, მათ შორის პრეზიდენტი არ უნდა გაურბოდეს ზუსტ შეფასებებს, როდესაც ქონებრივი დავა წარმოჩენილია სიტყვის თავისუფლების შეზღუდვად. „თუკი წინა ხელისუფლების დროს, არსებობს ქონების წართმევის ფაქტი და დღეს არსებობს დავა, საკითხები უნდა გადაწყვიტოს მიუკერძოებელმა და თავისუფალმა სასამართლომ. დაუშვებელია, ქვეყნის დესტაბილიზაციისკენ სვლა, ეს არ წარმოადგენს ქართული საზოგადოების ცხოვრების დღის წესრიგს. ჩვენს თვალწინ წარმოუდგენელი რამ ხდება - უცხო ქვეყნის მოქალაქე, უკრაინის ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალჩინოსანი, ტელეკომპანიის მიმართ იმგვარ დამოკიდებულებას ავლენს, რომ რჩება შთაბეჭდილება, „რუსთავი 2“ სწორედ მისი საკუთრებაა. ჩვენ უნდა ვისაუბროთ სიმართლეზე და დაუშვებელია, ამ საკითხების ცალმხრივად შეფასება. ორმაგი სტანდარტებით მოქმედებები უნდა დასრულდეს“ - განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა. ორგანიზაციის ხელმძღვანელის განცხადებით, ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულებებს, რაზედაც საქართველოს პრეზიდენტმა მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი პოზიციები უნდა გამოთქვას. არჩილ კაიკაციშვილმა ჰკითხა პრეზიდენტს, იზიარებდა თუ არა შეხედულებას, რომ საჯაროდ გამხდარი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კადრების შედეგად, ქვეყანაში ყალიბდებოდა ე.წ. „ქართული ფაშიზმი“. რატომ არ არსებობდა პრეზიდენტის მკაფიო პოზიციები აღნიშნული მოვლენის შეფასებისთვის და რას ფიქრობდა პრეზიდენტი, საზოგადოებას გააჩნდა თუ არა უფლება, წინა ხელისუფლების პირობებში გადაღებული ვიდეო-ფირები ეხილა. ორგანიზაციამ პრეზიდენტს მიაწოდა

ინფორმაცია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილის ქონებაჩამორთმეულის ცხოვრების ფაქტის შესახებ, რაც საქართველოს პრეზიდენტისთვის უცნობი შემთხვევა გახლდათ.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, **2015 წლის ნოემბრის** თვეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საჯარო ინტერესის მქონე თემების მიმართ გამოხმაურებებს. 3 ნოემბერს, ორგანიზაციამ განცახდება გააკეთა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფიქსირებულ შემთხვევასთან დაკავშირებით, სადაც გამოიფინა თვითმკვლელ მდგომარეობაში ღვითსმშობლის ნახატი. ორგანიზაციამ აღნიშნული ფაქტი პროვოკაციად შეაფასა და აღნიშნა, რომ შემთხვევა მართმადიდებელ საზოგადოებაში აგრესიის გასაღვიძებლად და ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტის შესუსტებას ემსახურებოდა. ორგანიზაციამ განმარტა, რომ მართალია, საქართველოს კონსტიტუციით, სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, თუმცა ევროკონვენციის რიგი დებულებების მიხედვით, გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და მისი შეზღუდვა, ამავე დროს, აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. მოცემულ შემთხვევაში, გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, საჭიროა სიფრთხილით განვიხილოთ ყველა ის მოქმედება, რომელიც მიმართულია საზოგადოების საერთო ეთნო-ფსიქოლოგიური განწყობების შესაცვლელად. როდესაც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა წარმოადგენს მართლამდიდებელ ქრისტიანს, მართლმადიდებლური აღმსარებლობა გაიგივებულია საერთო ეროვნულ ცნობიერებასთან, რწმენა დაფუძნებულია რელიგიური მოვლენებსა და ბიბლიური მოღვაწეების ცხოვრებასთან, ,,გამოხატვის თავისუფლების“ ფარგლებშიც კი ყველამ უნდა გაითვალისწინოს ეს გარემოება. რათა, გამოხატვის თავისუფლების უფლება არ გახდეს აგრესიული იარაღი, რომელიც არ ემსახურება ქვეყანაში ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას და რელიგიური გრძონების პატივისცემასა და დაცვას. 5 ნოემბერს, ორგანიზაცია გამოეხმაურა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციულ სხდომაზე განვითარებულ მოვლენებს, რომელიც ორგანიზაციის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვას მოჰყვა და აღნიშნა, რომ „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდის სხდომიდან გაძევებით, ცესკო-მ საჯაროობის წინააღმდეგ ნაბიჯი გადადგა. ორგანიზაციამ 6 ნოემბერს ცესკო-სა და სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. 2015 წლის 17 დეკემბერს გამართულ პირველ სხდომაზე, სასამართლომ ორგანიზაციის ოთხივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა. დავა მხარეებთან 2016 წლის იანვრიდნა გაგრძელდება, რომლის მიზანია, დისკრიმინაციული საგრანტო პოლიტიკის შეცვლა და რეალური კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება. ორგანიზაცია 9 ნოემბერს გამოეხმაურა ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტს და საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა დაუყოვნებლივი რეაგირებისკენ. განცხადებაში აღინიშნა, რომ გიორგი მდინარაძის მიმართ ძალადობით, ქვეყანაში შეიქმნა საშიში ტენდენცია, როდესაც ადვოკატს კლიენტის ინტერესების დაცვის გამო, სავარაუდოდ, პოლიციის თანამშრომლები ფიზიკურად უსწორდებიან. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ფაქტი წინა ხელისუფლების მმართველობის სტილს გვაგონებს, როდესაც ქართულ ციხეებში, საადვოკატო საქმიანობის გამო, 100-ზე მეტი ადვოკატი იხდიდა სასჯელს. 10 ნოემბერს, ორგანიზაციამ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, ერთობლივი განცხადება გაავრცელა და აქცენტი გაკეთა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოსამართლეების აცილების საკითხზე, რომლებიც „რუსთავი 2“-ის საქმეზე, საკამათო გადაწყვეტილებებს იღებდნენ. ორგანიზაციის

წარმომადგენელთა განცხადებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ შეტანილ იმ კონსტიტუციურ სარჩელებზე, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად განსახილველად მიიღო, სულ სადავო ნორმის მოქმედების შეჩერების შუამდგომლობა დაყენებული იქნა 19 კონსტიტუციურ სარჩელზე, რომელთაგან დაკმაყოფილდა მხოლოდ 3, ამათგან ორზე გაიმართა ზეპირი მოსმენა და მხოლოდ ერთი, ,,რუსთავი 2"-ის სარჩელი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე. 16 ნოემბერს, ორგანიზაციის ინიციატივით და ორგანიზებით, საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან სოლიდარობის აქცია გაიმართა, სადაც სამოქალაქო ორგანიზაციებმა დაგმეს პარიზის 13 ნოემბრის ტერაქტი და პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას. 20 ნოემბერს, ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა საქართველოს მთავრობის სხდომაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც, ყოფილი მმართველი პარტიის წევრები, ევროკავშირისგან მოითხოვდნენ, საქართველოს არ მიეღო ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო-მიმოსვლის უფლება. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ცუდია, როდესაც პოლიტიკური ოპოზიცია ქვეყნის ოპოზიციის სტატუსში გადადის და აღნიშნულთან დაკავშირებით, დუმს ის სამოქალაქო სექტორიც, რომელიც საზოგადოებას მიმდინარე მოვლენების შეფასებასთან დაკავშირებით, მუდმივად ცალმხრივი პოზიციით ესაუბრება.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა", **2015 წლის დეკემბრის** თვეში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ე.წ. „შეწყალების საქმესთან" დაკავშირებით არსებულ დისკუსიას. 14 დეკემბერს, ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ პოლიტიკური ამნისტიის დისკრედიტაცია უკვე საარჩევნო კამპანიის ნაწილი ხდებოდა, რასაც სისტემური დანაშაულებების უარყოფამდე მივყავართ. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ შეწყალების კომისიის საქმიანობის გამჭვირვალობა მუდმივად წარმოადგენდა საზოგადოებრივი განხილვების საგანს, ვიანიდან ცალკეული საქმეების მიმართ, არ არსებობს დასაბუთებული და განმარტებული გადაწყვეტილებები, თუმცა კამპანია, რომელიც პატიმართა საქმეების ანგარებით ლობირების არსებობას ეხება, ცდება საკითხის მიმართ ჯანსაღი კრიტიკის საფუძვლებს და მოითხოვს სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ გაუმართლებელია, სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, მიზანმიმართული ცილისწამება და სახელის გამტეხი ცნობების გავრცელება ადამიანების მიმართ, რომლებმაც 2012 წლის დეკემბერში, სისტემური დანაშაულებების ჩადენის დამადასტურებელი პირველი დოკუმენტი შექმნეს. 2012 წლის 28 დეკემბერს, პარლამენტის მიერ მიღებული „ამნისტიის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით, ცალსახად აღნიშნა ის გარემოება, რომ საქართველოში არსებობდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული და პოლიტიკური ნიშნით სისხლისსამართლებრივად დევნილი პირები. შესაბამისად, სახელმწიფომ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის №1900 (2012) რეზოლუციაზე დაყრდნობით, ქვეყანაში პოლიტიკური ამნისტია გამოაცხადა. შესაბამისად, ფართომასშტაბიანი ამნისტიისთვის დღეს სახელის გატეხა, ამნისტიის საკანონმდებლო პროცესში მონაწილე მთავარი ფიგურების დისკრედიტაცია, წარმოადგენს წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი დანაშაულებების და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების მიჩქმალვის ორგანიზებულ კამპანიას, რაც საერთო შეფასებაში, ქვეყნის საერთაშორისო სტრატეგიული პარტნიორების შეფასებებში, ხელისუფლების ნდობის დაკარგვას და ქვეყნის იმიჯის შელახვას ემსახურება. ორგანიზაციამ

გააჩნდა მკვეთრი გამოხმაურება კიდევ ერთი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე თემის მიმართ, რომელიც იუსტიციის უმაღლესს საბჭოში მოსამართლეთა არჩევას საკითხს და თბილისის სააპელაციო სასამართლოში, ლევან მურუსიძის დანიშვნას ეხებოდა. ორგანიზაციამ ჯერ კიდევ 7 დეკემბრის განცხადებაში აღნიშნა, რომ ლევან მურუსიძე ქართული საზოგადოების, მოსამართლეთა კორპუსისა და ქვეყნის შეურაცხყოფას ახდენდა. ორგანიზაციის შეფასებით, დაუშვებელია, მოსამართლეთა თანამდებობები კიდევ ერთხელ და მოცემულ ეტაპზე, უვადოდ დაიკავონ პირებმა, რომელთა სამოსამართლეო პრაქტიკის მიმართ არაერთი კითხვა და კრიტიკა არსებობს. ჩვენი შეფასებით, ლევან მურუსიძე წინა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბებული სისტემური დანაშაულებების თანამონაწილე და სასამართლო დონეზე, შემსრულებელია. შეუძლებელია, არსებობდეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ლევან მურუსიძე, იური ტყეშელაშვილი და ზაზა მეიშვილი განიხილავდნენ და კვლავ არსებობდეს საქართველოს სახელით გადაწყვეტილებების გამოტანის სურვილი. შეუძლებელია, არსებობდეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება სულხან მოლაშვილის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეზე, რომელსაც ლევან მურუსიძე განიხილავდა და არსებობდეს მოსამართლის სტატუსით საქმიანობის გაგრძელების სურვილი. ამასთან, საზოგადოებას უნდა ახსოვდეს ის გარემოებაც, რომ ლევან მურუსიძე არის ადამიანი, რომელიც 2005 წელს მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების (მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი) წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური წარმოებისა და გათავისუფლების პროცესშიც. საზოგადოებამ ობიექტური დასკვნები უნდა გააკეთოს შექმნილ ვითარებაზე და სრული მხარდაჭერა გამოთქვას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის მიმართ. ორგანიზაციის შეფასებით, მოსამართლეთა შერჩევის პროცესი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ გარემოებებსაც, რომ ნინო გვენეტაძის პრინციპული ხედვაა, ქვეყანას გააჩნდეს მიუკერძოებელი და თავისუფალი სასამართლო სისტემა. ამის მაგალითია პირველად, მოსამართლეთა შერჩევის თვალსაზრისით, გამჭვირვალე, ღია, ხელმისაწვდომი და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა.

✔ „ახალგაზრდა ადვოკატები“ საკანონმდებლო რეგულაციების პროცესში

2015 წლის 28 იანვარს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში წარდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს სარეკომენდაციო წინადადებით მიმართა და უცხო ქვეყნის მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ, მიწის გასხვისების პროცედურებთან დაკავშირებით, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება და გაცილებით მკაცრი რეგულაციების შემოღება სთხოვა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტის ვალდებულებაა, ყურადღება დაუთმოს მიწის გასხვისების საკითხთან დაკავშირებით არსებულ საზოგადოების მაღალ ინტერესს და ახალი საკანონმდებლო ინიციატივით, უზრუნველყოს ქვეყნის სწორი აგრარული პოლიტიკის განსაზღვრა. მიგვაჩნია, რომ სუსტია კრიტიკოსთა არგუმენტაცია, რომლებიც მიუთითებენ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შესყიდვისთვის კრიტერიუმების დაწესება, გარკვეულ დისკრიმინაციას წარმოადგენს. თუ გადავხედავთ ევროპის წამყვან ქვეყნების: გერმანიის, საფრანგეთის, დანიის, ავსტრიის, ჩეხეთის, ირლანდიის, შვეიცარიის და სხვა ქვეყნის გამოცდილებას, არსებობს საკმაოდ რთული მოთხოვნები და მკაცრი რეგულაცია უცხო ქვეყნის მოქალაქის მხრიდან სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვასთან დაკავშირებით.

2015 წლის 30 იანვარს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გამოეხმაურა 2014 წლის 26 დეკემბერს მიღებულ საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ ამოქმედების შემდგომ მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილის პოზიციას და გამოთქმულ შენიშვნებს, რომელიც კანონის დარღვევის შემდგომ არსებული ჯარიმების ოდენობის მიზანშეწონილობის საკითხს ეხება და სარეკომენდაციო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, მკაფიო იყოს პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით მიდგომები და გამოხმაურება. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება გარემოს დაცვის თავალსაზრისით, წინ გადადგმული ნაბიჯია, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არეგულირებს ატმოსფეროში აიროვან გაფრქვევებს და გარემოს სხვა მნიშვნელოვან დაბინძურებებს, რაც დედაქალაქისა და ინდუსტრიული ქალაქებისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. გარემოს დაცვის თვალსაზრისით, ამ მიმართულებთ სახელმწიფოს ჯერ კიდევ ბევრი სამუშო აქვს ჩასატარებელი, თუმცა, ვიდრე სხვა რეგულაციების შემოღება მოხდება, მნიშვნელოვანია, გაისნას დისკუსია და წარიმართოს მსჯელობა უკვე მიღებული რეგულაციების გამოყენების თაობაზე. კერძოდ, რამდენად გამართლებულია კანონით დადგენილი ე.წ. „ჯარიმების პოლიტიკა“, რომელიც იმდენად მაღალია, რომ ხშირ შემთხვევაში, პენსიებსა და საარსებო მინიმუმს უთანაბრდება.

2015 წლის 27 თებერვალს, ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავრობას არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პარლამენტში დაჩქარებულ ვადებში წარდგენისთვის მიმარტეს და დადებითად შეაფასეს კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც საგანმანათლებლო სკოლებში, მანდატურის ნაცვლად, ბავშვთა დაცვის ოფიცრის ინსტიტუტის შემოღებას უკავშირდება. ორგანიზაიამ აღნიშნა, რომ კანონპროექტის მიღებამდე, მნიშვნელოვანია სათანადოდ არგუმენტები და ახალი რეგულაციები ჩამოყალიბდეს 16 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების შესაძლო გამჟღავნებასთან დაკავშირებით, ვინაიდან კოდექსი ასეთ შესაძლებლობას, თავად არასრუწლოვანის თანხმობით ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში, არსებობს რისკი,

რომ ბავშვმა სათანადოდ ვერ გაიაზროს, თუ რა სახის ინფორმაციას ასაჯაროებს და დამდგარი შედეგი, შესაძლებელია უარყოფითად აისახოს მოზარდის საზოგადოებრივ სტატუსზე. ამასთან, ორგანიზაცია ფიქრობს, რომ კიდევ ერთ დაზუსტებას მოითხოვს კანონპროექტის ჩანაწერი, არასრულწლოვნის მიმართ, პენიტენციურ სისტემაში, თუ ვის და რა სიტუაციებში შეეძლებათ სპეციალური საშუალებების გამოყენება. მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით, დამატებითი რეგულაციების შემოღება უნდა არსებობდეს.

2015 წლის 28 თებერვალს, „ახალაზრდა ადვოკატები“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შესატან ცვლილებებს გამოეხმაურა, რომელიც ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს მონაწილეობით, მაღალი თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის საქმეების განხილვის უფლების ჩამორთმევას ითვალისწინებს და საკანონმდებლო ინიციატივას საჭირო ცვლილება უწოდა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ უნდა გაუქმდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, 2014 წლის სექტემბერიდან მოქმედი ნორმა, რომელიც თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოებს საშუალებას აძლევდა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, განეხილათ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით მითითებული თანამდებობის პირთა სისხლის სამართლის საქმეები, რომლებსაც ეკავათ ან ახლა უკავიათ შესაბამისი თანამდებობა. „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, კანონში ცვლილებები მისაღებია, რადგანაც ნაფიც მსაჯული არის შემთხვევითი პრინციპით საქმის განხილვისთვის მოწვეული ადამიანები, რომელსაც საქმესთან დაკავშირებით საკუთარი შინაგანი რწმენა, შესაძლებელია გააჩნდეს მასობრივი-საინფორმაციო საშუალებების გავლენით.

2015 წლის 24 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობაში მოქმედი მაჟორიტარული სისტემის შესაძლო გაუქმებასთან დაკავშირებით არსებულ დისკუსიას გამოეხმაურა და საკანონმდებლო წინადადების ავტორებს, ქვეყნის ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით, მაღალი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობისკენ მოუწოდა. ორგანიზაციის შეფასებით, მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის გაუქმების მოთხოვნა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების უგულვებელყოფას გამოიწვევს, წინააღმდეგობაში მოდის ქვეყნის რეალური დეცენტრალიაციის პრინციპებთან და ჩანასახოვანი მუნიციპალური პოლიტიკის და ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის განვითარებაზე, უარყოფით გავლენას იქონიებს. ორგანიზაციის განცხადებით, საარჩევნო სისტემის რეფორმა არ უნდა გახდეს პოლიტიკური გარიგებების, მათ შორის შესაძლო ფარული შეთანხმებების შემადგენელი ნაწილი. მართალია მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემასაც გააჩნია ხარვეზი, ისევე, როგორც ნებისმიერ საარჩევნო სისტემას, თუმცა შედერების თვალსაზრისით, მაჟორიტარული სისტემა შემოთავაზებულ რეგიონალურ-პროპორციულ სისტემასთან შედარებით, ბევრად ხელსაყრელი და სარგებლიანია საქართველოს მოსახლეობისთვის. ორგანიზაციის პოზიციით, პოლიტიკოსებმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმების ნაცვლად, მაჟორიტარების შესახებ ახალ კანონზე უნდა იფიქრონ. ორგანიზაციამ აღნიშნულ საკითხზე მორიგი განცხადება 2015 წლის 12 ივნისსაც გააკეთა და აღნიშნა, რომ საარჩევნო სისტემის რეფორმა არ უნდა გამხდარიყო პოლიტიკური გარიგებების, მათ შორის შესაძლო ფარული შეთანხმებების შემადგენელი ნაწილი.
2015 წლის 12 მაისს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავრობას სარეკომენდაციო წინადადებით მიმართა, მომზადდეს ამნისტია, რომელიც ერთჯერადად განხორციელდება

იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებსაც სამშენებლო სამუშაოები პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს ნებართვის გარეშე, 2015 წლის 1 იანვრამდე აქვთ წარმოებული. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სახელმწიფომ ობიექტურად უნდა შეაფასოს ფიზიკური პირების შემთხვევაში, უნებართოდ განხორციელებული მშენებლობების პრობლემური საკითხი, რომელიც, დედაქალაქის მთავრობის წინაშე, მწვავედ დგას 2007 წლიდან და ახლაც გადაუჭრელ საკითხად განიხილება დედაქალაქის თვითმმართველობისთვის. ამნისტიის შემთხვევაში, აუცილებელია ორმხრივად იქნეს დაცული სახელმწიფოს და მოქალაქეების ინტერესებიც, ხოლო შედეგის თვალსაზრისით, ახალი რეგულაციები, შესაძლებლობას გააჩენს, სამშენებლო ნებართვებთან დაკავშირებით, ზედამხედველობის ორგანოების მხრიდან, კონტროლი უფრო ეფექტური გახდეს.

2015 წლის 27 მაისს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ დადებითად შეაფასეს ინიციატივა, უძრავი ქონების მფლობელის სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გამოსახლების აკრძალვის შესახებ და მიმართეს პარლამენტს, დროულად მოეხდინა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება კანონმდებლობაში, რომლის მიხედვითაც, აიკრძალება სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა. ორგანიზაციის შეფასებით, საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის 2007 წლის 24 მაისის N747 ბრძანება, რომლის თანახმად პოლიცია უფლებამოსილია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე გამოასახლოს მფლობელი საკუთრებიდან, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც უძრავი ნივთის შესახებ სასამართლოში მიმდინარეობს სამოქალაქო ან ადმინისტრაციული დავა, დიდ ზიანს აყენებს უძრავი ნივთის მფლობელს. მართალია ნივთის მფლობელი, დავის მიმდინარეობისას, საჯარო რეესტრის მონაცემებით, არ არის ქონების მესაკუთრე, თუმცა აღნიშნული ქონება სადაოა და მისი დაბრუნების დიდი ალბათობა არსებობს, ვინაიდან მფლობელის საკუთრებიდან ეს ქონება უკანონო გზით გავიდა. შესაბამისად, ასეთი დავის არსებობის შემთხევაში, აუცილებელია, სასამართლომ საქმის განხილვის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება და სასამართლოს გვერდის ავლით არ განხორციელდეს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და ხელშეშლის აღკვეთა. ორგანიზაციამ აღნიშნულ საკითხზე მორიგი განცხადება 2015 წლის 11 სექტემბერსაც გააკეთა და განაცახდა, რომ ე.წ. საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტი უნდა გაუქმებულიყო.

2015 წლის 29 მაისს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეაფასეს საქართველოს პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების შესახებ მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივა და აღნიშნეს, რომ მთავრობის პოლიტიკური ნება, ძირეული ცვლილებები განიცადოს პროკურატურისა და სამართალდამცავმა ორგანოებმა, ქვეყანაში დამოუკიდებელი მართლმსაჯულების განხორციელებას და მოქალაქეთა ინტერესების დაცვას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს. ორგანიზაციის შეფასებით, რეფორმის ძლიერი მხარეა საქართველოს პარლამენტის კომპეტენციის გაზრდა და საზედამხედველო კონტროლის უზრუნველყოფა, რა დროსაც, მთავარი პროკურორი და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელი, ანგარიშვალდებული იქნება ხალხის მიერ არჩეული ორგანოს - პარლამენტის წინაშე. შესაბამისად, ქვეყანაში ზემოაღნიშნული სახელმწიფო ორგანოების მიმართ, გაიზრდება საზოგადოებრივი ნდობა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა. რეფორმის შედეგად, უნდა გაძლიერდეს მართლმსაჯულების სისტემაც, ვინაიდან პროკურატურაში დაგეგმილი ცვლილებები, მხარეთა შეჯიბრითობისა და

თანასწორუფლებიანობის მიმართულებით, იქნება კიდევ ერთი საჭირო ნაბიჯი. ამასთან, პროკურატურის საპარლამენტო კონტროლი უწყების მაღალ ლეგიტიმაციას შეუწყობს ხელს.

2015 წლის 31 ივლისს, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოეხმაურა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში შესულ ცვლილებებს და დადებითად შეაფასა ახალი რეგულაციები, რომლის მიხედვითაც, კომპენსაციის/აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება ექნებათ სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან, საქართველოს დაზვერვის სამსახურიდან და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირებს, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან, საგამოძიებო დეპარტამენტიდან და სპეციალური პენიტენციური სამსახურიდან დათხოვნილ, ზევადიან სამხედრო წოდების ან სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე პირებს. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ განსაკუთრებული ნამსახურეობის მქონე პირთა მიმართ სოციალური დაცვის გარანტიების შექმნისკენ მიმართულ დამოკიდებულებად აფასებს კიდევ ერთ საკანონმდებლო წინადადებას, რომლის მიხედვითაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატები, შესაძლებელია, სტატუსით, პარლამენტის წევრებს გაუთანაბრდნენ.„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, წარმოდგენილი ცვლილებები საქართველოს მიმართ ევროკავშირის დირექტივებს პასუხობს და მნიშვნელოვნად ზრდის მთავრობის პასუხისმგებლობას სოციალური დაცვის პოლიტიკის განხორციელების მიმართულებით.

2015 წლის 5 ოქტომბერს, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოეხმაურა ე.წ. „ნარუშილოვკების“ საკითხის მიმართ საზოგადოებრივ დისკუსიას და აღნიშნა, რომ შსს მინისტრის მოქმედება, ძალადაკარგულად გამოეცხადებინა 2009 წლის საიდუმლო ბრძანება ე.წ. „ნარუშილოვკების" შესახებ, დროული ნაბიჯი იყო. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ბუნებრივია, „ნარუშილოვკების“ გამოყენება შესაბამის უფლებამოსილ პირებს უნდა ჰქონდეთ, მაგრამ სათანადო ნორმატიულ დოკუმენტში მაქსიმალურად ზუსტად უნდა იყოს გაწერილი, თუ ვის და რა შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს ამ უფლებით. აღნიშნულთან დაკავშირებული აქტი ასევე უმოკლეს დროში უნდა მომზადდეს, რათა არ შეიქმნას ვაკუუმი, რითაც დაზარალდება ოპერატიულ–სამძებრო მოქმედებების და სხვა საქმიანობაში მონაწილე სათანადო უფლებამოსილ პირთა ქმდებები. ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ მიუთითებენ ამ დაუშვებელი ფაქტის აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმის მკაფიოდ ჩამოყალიბების აუცილებლობაზე და გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი საკანონმდებლო თუ ნორმალტიული აქტების მომზადებაში.

2015 წლის 19 ოქტომბერს, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოეხმაურა უკრაინული მედია-საშუალებით გავრცელებულ კადრებს, სადაც წინა ხელისუფლების დროს ჩადენილი ძალადობის ფაქტები იქნა გადმოცემული. ორგანიზაციამ წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს და მოითხოვა, კანონმდებლობაში „სისტემური დანაშაულის“ განსაზღვრის შესახებ მუშაობა დაწყებულიყო. ბუნებრივია, სისტემური დანაშაულის ცნების განსაზღვრისთვის, პარლამენტს გააჩნია კონკრეტული საფუძვლებიც - 2012 წლის 28 დეკემბრის კანონი „ამნისტიის შესახებ“, რომელმაც საქართველოში პოლიტიკური ნიშნით და უკანონოდ თავისუფლებაღკვეთილი მოქალაქეების არსებობა დაადასტურა,

„პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა შესახებ“ პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილება, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ევროსასამართლოს გადაწყვეტილება „ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც პირდაპირ აღინიშნა, რომ ქვეყანაში ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს – ყოფილი პრეზიდენტი, ყოფილი მინისტრები, მოქმედი მოსამართლეები, ყველანი ერთად, შეთანხმებულად მოქმედებდნენ, რათა საქმეზე მართლმსაჯულება არ აღსრულებულიყო. იქედან გამომდინარე, რომ არსებობს მოლოდინი, მომავალში საზოგადოებამ კვლავ იხილოს წამების და არადამიანური მოპყრობის კადრები, არ ჩანს სისტემური დანაშაულებების სამართლებრივი და პოლიტიკური შეფასების აქტი. შესაბამისად, საკითხის მხოლოდ მორალურ-ეთიკურ კონტექსტში განხილვა, მნიშვნელოვან შედეგს ვერ მოიტანს.

2015 წლის 3 დეკემბერს, „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიიღებულ გადაწყვეტილებას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, შეჩერდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის იმ მუხლების (198-ე, 271-ე) მოქმედება, რომლებიც ითვალისწინებს გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიების სახით - დროებითი მმართველის ინსტიტუტის მოქმედებას, ქონების იძულებითი მართვის სახით. ორგანიზაციის შეფასებით, სასამართლომ სადაოდ გამხდარი ნორმების შეჩერება მოახდინა მხოლოდ და მხოლოდ ერთი სახეობის სუბიექტის მიმართ, კერძოდ, იურიდიული პირის - მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალებასთან მიმართებით, რაც დისკრიმინაციულია. სასამართლოს სადავო ნორმების შეჩერებით, გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება არ მოუხდენია, წარმოდგენილი მსჯელობა კი მნიშვნელოვან კითხვებს ტოვებს. „ახალგაზრდა ადვოკატები“ აქცენტს აკეთებს სასამართლოს მსჯელობის იმ ნაწილზეც, თუ რატომ არ მოახდინა სადავო ნორმების შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლომ იმ სუბიექტთა ზოგად წრეზეც, ვისაც იგი შეიძლება შეხებოდა მომავალში. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ რეალურად, დროებითი მმართველის ინსტიტუტში დაინახა საფრთხე, მაშინ რა დააშავეს სხვა, ვიწრო სპეციალიზაციის პროფილის კომპანიებმა, რომლებიც შეიძლება უახლოეს მომავალში ამ პრობლემის წინაშე აღმოჩნდნენ. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ არ იქნა მათი დაცულობა გარანტირებული. თუ სასამართლო, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, ნორმების მოქმედების შესაძლო საფრთხეებს დაინახავდა, ლოგიკურია, შეზღუდვა უნდა გავრცელებულიყო ფართო წრის მიმართაც. მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ მივიღეთ დისკრიმინაციული მიდგომა - შეჩერება გამოყენებულია მხოლოდ ერთი სახეობის სუბიექტის, კერძოდ იურიდიული პირის - მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექტრონული საშუალებასთან მიმართებაში, ხოლო თუ ასეთ საფრთხეებს სასამართლო ვერ დაინახავდა, შესაბამისად, ნორმის მოქმედებაც არ შეჩერდებოდა. ორგანიზაციამ აღნიშნულ საკითხზე განცხადება 2015 წლის 16 დეკემბერსაც გააკეთა და აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უკვე უარყოფით გავლენას ახდენს სამართლებრივ დავებზე, ვინაიდან შეჩერებული ნორმები, ერთიანობაში შეეხო, სასამართლოებში მიმდინარე, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს. გადაწყვეტილება უარყოფიდად მოქმედებს, მათ შორის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავებზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს წინასწარ არ აქვს გათვალისწინებული, რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც მათ ეს ჩანაწერი არ აქვთ ხელშეკრულებაში, დაუყოვნებლივი

აღსრულება მათ საქმეებზე ვერ განხორციელდება, რის შედეგადაც, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგეს გადამხდევინებელს ან საერთოდაც, შეუძლებელი გახდეს გადაწყვეტილების აღსრულება, რის გამოც, საერთოდ დავას სასამართლოში აზრი ეკარგება.

✔ „ახალგაზრდა ადვოკატები“ კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში

2015 წლის 29 იანვარს, საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადება განიხილა, რომელიც საქართველოს შრომის კოდექსში სტაჟირების სამართლებრივი რეგულირების შემოტანას ითვალისწინებდა. როგორც განხილვაზე კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, სტაჟირების სამართლებრივი საკითხების რეგულაცია საჭიროა, თუმცა „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ რეკომენდაციის მიხედვით, შრომის კანონმდებლობაში მცირემასშტაბიანი ცვლილებების შეტანა მიზანშეწონილი, მოცემულ ეტაპზე, არ არის და უმჯობესია, მსგავსი წინადადებები სოციალური პარტნიორების და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაწილეობით, სისტემური მიდგომით იქნეს განხილული. კომიტეტის წევრთა განცხადებითაც, მსგავსი ცვლილებების შრომითი ურთიერთობების სხვა საკითხებისგან დამოუკიდებლად განხილვა დასაქმებულთა უფლებების დაცვის კუთხით ნაკლებად ეფექტური იქნება. სწორედ ამ მოსაზრებით, კენჭისყრის შედეგად, კომიტეტის წევრებმა ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებას მხარი არ დაუჭირეს, თუმცა აღინიშნა, რომ პარლამენტში შექმნილ სამუშაო ჯგუფის ფორმატში, შრომის კოდექსში პაკეტური ცვლილებებისთვის, ინიციატივა დაიხვეწება და გათვალისწინებული იქნება. ორგანიზაცია აგრძელებს აღნიშნულ ჯგუფში საქმიანობასაც.

ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადების მიზანია, სტაჟირების დეფინიციისა და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების საკანონმდებლო დონეზე დარეგულირება. მოქმედი კანონმდებლობა სტაჟირების განმარტებას არ იძლევა, მაგრამ ითვლება, რომ ეს არის არაანაზღაურებადი სამუშაო სწავლის პროცესში, რომელიც გამოუცდელ კადრს პროფესიულ განვითარებას სთავაზობს. დამსაქმებელი, ხშირ შემთხვევაში, სტაჟირებას განასხვავებს ჩვეულებრივი სამუშაოსგან და არსებობს დისკრიმინაციული პრაქტიკა, როდესაც სტაჟიორი დგება ექსპლუატაციის წინაშე. ასეთ ვითარებაში, რთულია შრომითი უფლებების დაცვა, ვინაიდან კანონმდებლობაში არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტი. შესაბამისად, საკანონმდებლო წინადადების მიზანია, დაწესდეს კონკრეტული იმპერატიული მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს სტაჟირების ხელშეკრულება.

ორგანიზაციის მიერ მომზადებული საკანონმდებლო წინადადება გულისხმობს საქართველოს შრომის კოდექსში 9 (1) ახალი მუხლის გაჩენას, რომელიც სტაჟირების სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს. საკანონმდებლო წინადადება მოიცავს შემდეგი რეგულაციის ფორმას:

1. სტაჟირება არის განსაკუთრებული შრომითი ურთიერთობა, რომლის დროსაც შრომის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში, დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის ხდება სამუშაოს შესრულება ანაზღაურების გარეშე.
2. სტაჟიორთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ, წერილობითი ფორმით, დაიდოს სტაჟირების ხელშეკრულება არა უმეტეს 6 თვის ვადით. დაუშვებელია ამ ვადის გაგრძელება.
3. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია დადგინდეს სტაჟირების ანაზღაურება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი, განისაზღვრება ასევე მხარეთა შეთანხმებით.
4. დამსაქმებელს უფლება აქვს, სტაჟირების განმავლობაში, ნებისმიერ დროს დადოს დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულება.

5. სტაჟირების ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ამ კანონის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
6. სტაჟირების ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაზე, არ ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები, თუ სტაჟირების ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
7. სტაჟირება ითვლება შრომით შტაჟში.

ორგანიზაციის შეფასებით, სტაჟირების სამართლებრივი რეგულაცია ახალგაზრდების, განსაკუთრებით კი სტუდენტების დასაქმების მიმართულებით, შრომითი უფლებების დაცვის წინგადადგმულ საფუძვლებს ქმნის. საკანონმდებლო წინადადება პასუხობს ქვეყნის მხრიდან ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების საკითხსაც. წინადადების მომზადების პროცესში, გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო გამოცდილებაც, მათ შორის აშშ-ის, გერმანიის, ალბანეთის, დანიისა და სხვა ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციის ფორმებიც. ორგანიზაციამ საკითხზე მუშაობა 2013 წლის ნოემბრიდან დაიწყო. 2013-2014 წლებში, ორგანიზაციამ სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართა საქართველოს მთავრობას, რათა შრომის კოდექსში, მორიგი ცვლილებების დროს, გათვალისწინებულ ყოფილიყო სტუდენტების შრომითი უფლებები. ამასთან, ქვეყანაში თვითმმართველი ერთეულების გაზრდილი უფლებამოსილებების პარალელურად, დაწყებულიყო მუშაობა რეგიონში მცხოვრები წარჩინებული ახალგაზრდების სწავლის დაფინანსებისა და შემდგომი დასაქმების ახლებური რეგულაციების დანერგვისათვის. ორგანიზაციამ 2014 წლის ივლისში შექმნა საკანონმდებლო წინადადებაზე სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სპეციალისტებით კერძო თუ საჯარო სექტორიდან. კონსულტაციების შედეგად, ორგანიზაციამ საკანონმდებლო ცვლილებისთვის არჩევანი სწორედ სტაჟირების სამართლებრივი რეგულაციის შექმნაზე შეაჩერა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 26 ნოემბერს, აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება გაეცნო სტუდენტებს, კერძოდ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს და ორგანიზაციამ სტუდენტურ საზოგადოებას წინადადების შემდგომი ლობირება სთხოვა.

2015 წლის 10 ივნისს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“, „პოზიციამ“ და „ახალგაზრდული ცენტრი-ჩვენი თაობა 1921“ ხელმძღვანელებმა, საქართველოს პარლამენტში ე.წ. „გაცდენების შესახებ“ საკანონმდებლო წინადადების განხილვასთან დაკავშირებით, პირველი ერთობლივი განცხადება გააკეთეს და ნეგატიურად შეაფასეს წარმოდგენილი ცვლილების შინაარსი, რომლის მიხედვითაც, საქართველოს პარლამენტის პლენარული და საკომიტეტო სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზების ჩამონათვალიდან „ოჯახური მდგომარეობის გამო“ სხდომის გაცდენა ამოღებული იქნება.

ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში, ცვლილების სახით წარმოდგენილი კანონპროექტი რეალურად ვერ შეცვლის პარლამენტარების პლენარულ და საკომიტეტო სხდომებზე დასწრების უზრუნველყოფას, რადგანაც პარლამენტის მხრიდან შემოთავაზებული წინადადება არ ითვალისწინებს დეპუტატების ფინანსურ სანქცირებას, საპატიო მიზეზების ჩამონათვალიდან მხოლოდ „ოჯახური მდგომარეობის გამო“ სხდომის გაცდენის რეგულაციის ამოღება ხდება და ინიციატივას არ გააჩნია პრობლემის სისტემური გამოსწორების მიზანი. ორგანიზაციებმა პარლამენტს ალტერნატიული საკანონმდებლო წინადადების განხილვა შევთავაზეთ,

რომელიც პარლამენტში, „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრმა“, საკითხზე მომუშავე ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის სახელით, 2015 წლის 3 ივლისს შეიტანა. აღნიშნულმა ორგანიზაციამ შეისწავლა საქართველოს პარლამენტის მერვე მოწვევის დეპუტატების სხდომებზე დასწრების სტატისტიკა, რომელმაც აჩვენა, რომ პარლამენტის წევრები, ყველაზე მეტად, სხდომებს ოჯახური მდგომარეობის გამო აცდენენ. „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრთან“ ერთად, „ახალგაზრდა ადვოკატები“, „პოზიცია“ და „ახალგაზრდული ცენტრი-ჩვენი თაობა 1921“ საკითხზე ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნაზე და საკანონმდებლო წინადადების მომზადებაზე შეთანხმდა, ორგანიზაციების 2015 წლის 11 ივნისის საჯარო განცხადების შემდგომ კი ცნობილი გახდა, რომ პრობლემაზე მუშაობას პარლამენტიც იწყებდა.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოშავებული საკანონმდებლო წინადადების მიხედვით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში გათვალისწინებულია შემდეგი ცვლილებების შეტანა:

- პარლამენტის წევრის მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახის წევრის გარდაცვალება, ოჯახის წევრის მშობიარობა, სამსახურებრივი მივლინება. ამ მიზეზების თაობაზე სხდომამდე ინფორმირებული უნდა იქნეს კომიტეტის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე) – კომიტეტის სხდომის გაცდენის შემთხვევაში და ფრაქციის თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე) – პლენარული სხდომის გაცდენის შემთხვევაში.
- თუ 1 დღის განმავლობაში, კენჭისყრისა და რეგისტრაციის შედეგების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ პარლამენტის წევრი არ იმყოფება სხდომათა დარბაზში და მისი სახელით მიღებულია მონაწილეობა კენჭისყრაში ან რეგისტრაციაში, მას დაუკავდება ხელფასის 20%. იმავე სესიის განმავლობაში, იმავე ქმედების მეორე და ყოველი შემდგომი განმეორების შემთხვევაში, ამ პარლამენტის წევრს დაუკავდება ხელფასის 40%.
- თუ პარლამენტის წევრი, რომელსაც ევალება პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის წარდგენა (მომხსენებელია ან თანამომხსენებელია), კანონპროექტის წარდგენის დროს არასაპატიო მიზეზით არ იმყოფება სხდომათა დარბაზში, მას დაუკავდება ხელფასის 20%.
- თუ 2 კომიტეტში გაწევრებული პარლამენტის წევრი, კალენდარული თვის განმავლობაში, არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება ჩატარებული სხდომების 35%-ს, ხოლო 1 კომიტეტში გაწევრებული პარლამენტის წევრი, კალენდარული თვის განმავლობაში, არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება ჩატარებული სხდომების 25%-ს, მას დაუკავდება ხელფასის 50% და ასევე, გათავისუფლდება პარლამენტში დაკავებული ყველა თანამდებობიდან.
- თუ პარლამენტის წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება ერთზე მეტ პლენარულ სხდომას, მას ერთზე მეტი გაცდენილი თითოეული სხდომისათვის დაუკავდება ხელფასის 50% და ასევე, გათავისუფლდება პარლამენტში დაკავებული ყველა თანამდებობიდან.

2015 წლის 24 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტმა „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ პარლამენტის რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით ოთხი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ საკანონმდებლო წინადადებას მხარი არ დაუჭირა, თუმცა კომიტეტმა დაუშვა წარმოდგენილ წინადადებაში ცალკეული გარემოებების გაზიარება კანონპროექტში, რომელიც ამჟამად განიხილება და თავად პარლამენტის მიერაა ინიცირებული. როგორც კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ფრიდონ საყვარელიძემ განაცხადა, პლენარულმა სხდომამ უკვე პირველი მოსმენით მიიღო, ხოლო კომიტეტმა მეორე მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შევმავალი ცვლილება, რომელიც პარლამენტის წევრების მიერ სხდომის გაცდენის საკითხს ეხება. მისი განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული საკანონმდებლო წინადადების ცალკეული მოსაზრებები მომავალში, შესაძლოა, გათვალისწინებული იყოს, როდესაც კანონპროექტის მესამე მოსმენით განხილვა დაიწყება.

2015 წლის 1 ივლისს, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2004-2012 წლებში, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე ეფექტური და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, საქართველოს პარლამენტს ახალი საკანონმდებლო წინადადებით მიმართა. საკანონმდებლო წინადადებით ცვლილებები უნდა განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში. კერძოდ, წარმოდგენილი ცვლილება ეხება კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის ახალი რედაქციით ჩამოყალიბებას. მომზადებული ცვლილების მიხედვით, სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის დასაშვები 5 წლიანი ვადა უნდა გაიზარდოს 15 წლის ვადამდე. მოქმედი კანონმდებლობით, მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეებს აქვთ საფუძველი, წართმეული უძრავი/მოძრავი საკუთრების დაბრუნების მიმართულებით მიმართონ სასამართლოებს და დაიწყონ აქტიური სამართლებრივი მოქმედებები, მოქალაქეები დგებიან სამართლებრივი ჩიხის წინაშე და საქმეზე ხანდაზმულობის ვადების არსებობის გამო, შეუძლებელი ხდება დავა გაგრძელდეს, სარგებლობდნენ სამართლიანი სასამართლოს უფლებით და სასამართლოები ღებულობდნენ ობიექტურ გადაწყვეტილებებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, კანონპროექტის მიღების შედეგად, დადგენილი 5 წლიანი ხანდაზმულობის ვადა გაიზრდება 15 წლის ვადით. შესაბამისად, ადამიანებს, რომლებსაც უკანონდ ჩამოართვეს ქონებები, საშუალება ექნებათ მიმართონ სასამართლოს და იბრძოლოდ საკუთარი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით. ვადის გაზრდა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება კანონიერების და სამართლიანობის დადგენის მხრივ, საქმეების განხილვა მოხდება თავიდან, სასამართლოს მიერ და საქმის განხილვის შედეგად მიღებული იქნება ახალი გადაწყვეტილება მათი გამართლების ან გაუმართლებლობის შესახებ. აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ქონებაჩამორთმეულების მიმართ არ მოხდება ერთიანი მიდგომის პრინციპი, არამედ მოხდება მათი საქმეების ინდივიდუალურად განხილვა, შესწავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ორგანიზაციის შეფასებით, 15-წლიანი ვადა გონივრულია და ყველა მოქალაქეს, რომელიც საკუთარი დარღვეული უფლების თაობაზე მიმართავს სასამართლოს, წარუდგენს მტკიცებულებებს და დაიწყებს საკუთრების უფლების აღდგენაზე დავას, სახელმწიფო მისცემს სამართლიანი სასამართლოს განხორციელების შესაძლებლობას.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკურმა ცვლილებებმა, დღის წესრიგში დააყენა სამართლიანობის აღდგენა, მოქალაქეებს საშუალება მიეცათ დაეწყოთ ჩამორთმეულ ქონებებზე დავა, საქმის გამოკვლევების შედეგად კი, ცალკეულ შემთხვევებში დადგინა, რომ თანამდებობის პირებს, რომლებსაც ედავებოდნენ იმ პერიოდში უკანონოდ და დაუსაბუთებელი ქონების შეძენას, აღნიშნული ადამიანების მიმართ, პროკურატურის ობიექტური მოკვლევის შედეგად, დღეს გამამართლებელი გადაწყვეტილებები დადგა, თუმცა სასამართლოები, ხანდაზმულობის ვადების არსებობის გამო, მათი საქმეების თავიდან განხილვაზე უარს ამბობენ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობა 2015 წლის მარტში დაიწყო. კანონპროექტის მომზადების პროცესში, შესწავლილ იქნა შვეიცარიის, საფრანგეთის, რუსეთის, უკრაინის, ლატვიისა და ესტონეთის კანონმდებლობა, ხოლო ინიცირებული წინადადება დასაბუთდა საკითხზე საუკეთესო პრაქტიკით.

2015 წლის 15 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება განიხილა. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა უპასუხა, როგორც უმცირესობის, ასევე უმრავლესობის წარმომადგენელთა შეკითხვებს. მსჯელობა შეეხო საკანონმდებლო წინადადების მიზნების, ამოცანებისა და კანონად ქცევის შემთხვევაში, თანმდევი სამართლებრივი პროცესების წარმოშობას. კომიტეტის თავმჯდომარის, ეკა ბესელიას პოზიციით, წარმოდგენილი საკითხი ერთ-ერთი პრობლემატურია და მოითხოვს გამოთქმული შეხედულებების სიღმისეულად შეფასებას. კომიტეტმა მხარი დაუჭირა ინიციატივის შემდგომი განხილვის საკითხს. 2015 წლის 4 ოქტომბერს, კომიტეტმა ხელმეორედ იმსჯელა ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიმართ, მომზადებულიყო სპეციალური რეკომენდაცია. ორგანიზაციას აღნიშნულ რეკომენდაციას ჯერ არ გაცნობია.

✔ „ახალგაზრდა ადვოკატები“ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში

2015 წლის 9 თებერვალს, ორგანიზაციამ საქართველოს პრეზიდენტს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურად სამართლის აღიარებული სპეციალისტი, ნინო გვენეტაძე შესთავაზა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ გვენეტაძეს ქართული მართლმსჯაულების ისტორიაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგანაც 2005 წლის ნოემბერში, ჯერ კიდევ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის რანგში, ერთ-ერთი პირველი აღმოჩნდა, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება იწყებდა მოსამართლეებზე ზეწოლას და მართლმსაჯულების სრულად დაქვემდებარებას. ნინო გვენეტაძე პირველი იყო, რომელმაც ღიად განაცხადა, რომ ყოველთვის, როდესაც საკასაციო სასამართლო იწყებდა საქმის განხილვას და ასეთი საქმეები წარმოადგენდა მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების ინტერესს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოქმედი თავმჯდომარე, პროკურატურის მითითებით, საქმის განმხილველ მოსამართლეებს კონკრეტულ მითითებას აძლევდა, თუ რა შედეგით უნდა დასრულებულიყო ასეთი საქმეები. მაშინდელ დროში, ნინო გვენეტაძის ნაბიჯი, მხოლოდ პრინციპულობის, პროფესიული ერთგულებისა და საზოგადოებრივი ინტერესების მაღალ გამოვლინებად უნდა შეფასდეს. მედიამ სამართლიანად შეაფასა, მათ შორის ნინო გვენეტაძის პოზიცია, ვინაიდან სასამართლო სისტემაში მოსალოდნელ გამოწვევებს და ხელისუფლების მხილებას, ჯერ კიდევ მაშინდელი მოქმედი მოსამართლეების მეშვეობით, ობიექტურად ეწოდა „მეამბოხე მოსამართლეების“ საქმე. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ ნინო გვენეტაძეს შეუძლია, პოლიტიკური სასამართლოდან სამართლიანი სასამართლოს ჩამოყალიბება, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესში, მთავარი არბიტრის როლის შესრულება, მართლმსაჯულების სისტემის რეალური რეფორმა. სხვა შემთხვევაში, სასამართლო სისტემა კვლავ 10 წლით ჩამორჩება საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას და ევროპულ გამოცდილებას.

2015 წლის 17 თებერვალს, ორგანიზაცია გამოეხმაურა პრეზიდენტის მხრიდან პარლამენტისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ნინო გვენეტაძის კანდიდატურის წარდგენას და აღნიშნა, რომ დგება დრო, როდესაც სასამართლო სისტემა რეალური დამოუკიდებლობისთვის ემზადება.

2015 წლის 23 თებერვალს, ორგანიზაციის ინიციატივით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობასთან საპროტესტო აქცია გაიმართა. ორგანიზაციამ გააპროტესტა კონსტანტინე კუბლაშვილის 10-წლიანი მმართველობა და აღნიშნა, რომ მისი ხელმძღვანელობის დროს, ქართულ მართლმსაჯულების სისტემა არ იყო დამოუკიდებელი, ცალკეული სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით, მოსამართლეები ასრულებდნენ მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირების დავალებებს, სასამართლო პროცესები მიმდინარეობდა მხარეთა რეალური შეჯიბრითობისა და თანასწორუფლებიანობის გარეშე. 2005-2012 წლებში, მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა ადვოკატის ინსტიტუტს, სასამართლომ ვერ შეძლო პოლიტიკური ნების საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება, სასამართლო ემსახურებოდა სისტემური დანაშაულებების დაკანონების პროცესს. სასამართლომ ვერ შეძლო ხარისხიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა, ინდივიდუალური მოსამართლის როლის გაზრდა, ეროვნული სასამართლოების უუნარობამ ქვეყანაში ხელი შეუწყო დაუსჯელობის სინდრომის გაღრმავებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროდან გასვლას. შესაბამისად, სასამართლო სისტემა ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, სათანადოდ დაეცვა როგორც სახელმწიფოს, ასევე მოქალაქეთა ყველაზე

ფუნდამენტური და ძირეული ღირებულება - სიცოცხლისა და საკუთრების უფლება. შესაბამისად, ქართულმა მართლმსაჯულების სისტემამ, ვერ შეძლო ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა, ხოლო განხორციელებულმა ცალკეულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა, ადმინისტრირებამ და ორგანიზაციული ხასიათის მიღწევებმა, საერთო ჯამში გავლენა ვერ იქონია სასამართლო ინსტიტუტის დამოუკიდებლობის და თავისუფლების ხარისხზე.

2015 წლის 18 მარტს, ორგანიზაციამ გაავრცელა სპეციალური განცხადება და აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საზოგადოება შეცდომაში შეყავდა. ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, სრულად გაცნობოდა სასამართლოს თავმჯდომარის გიორგი პაპუაშვილის მიმართ არსებულ სამართლებრივ კითხვებს როლანდ ბლადაძის საქმესთან მიმართებით არსებულ დოკუმენტაციას და სასამართლოს თავმჯდომარის იმიჯის შენარჩუნების ნაცვლად, საზოგადოებას მიწოდებოდა მხოლოდ სიმართლე, რადგანაც საქართველოს საკონტიტუციო სასამართლო ანგარიშვალდებულია დაიცვას კანონიერება და პასუხობდეს საზოგადოების მაღალ ინტერესს. მას შემდეგ, რაც ორგანიზაციამ 2015 წლის 16 მარტს სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოებას გააცნო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის, გიორგი პაპუაშვილის მიმართ აჭარის ა/რ პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში, სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარე გამოძიების ფაქტი, სასამართლოს პრეს-მდივანმა, მინიკო ბერიძემ აჭარის ტელევიზიასთან შეფასებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სახელით, განაცხადა, რომ მათ მიერ აჭარის პროკურატურისგან გამოთხვილ დოკუმენტში არსად არ ფიგურირებს, რომ სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ თაღლითობის მუხლით არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რაც მიზანმიმართულად ფაქტების არასწორი ინტერპრეტაციაა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის განმავლობაში, ორგანიზაციამ არაერთი განცხადება მოამზადა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მიმართ და საჯარო გახადა სამართალწარმოების პროცესი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადაოდ არსებული ქონების თაობაზე. მათ შორის, 2015 წლის 6 აპრილს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან გამართულ აქციაზე, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა გააკეთა განცხადება, რომ სასამართლოს თავმჯდომარის იმპიჩმენტის საკითხით, საქართველოს პარლამენტი უნდა დაინტერესებულიყო. 2015 წლის 22 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, გიორგი პაპუაშვილთან სადაო ქონებაზე გამოყენებულ იქნა ყადაღის უზრუნველყოფის ღონისძიება. ორგანიზაციამ 23 დეკემბერს გააკეთა განცხადება, რომ მხარეს 12-წლიანი სამართლებრივი მოქმედებების შემდეგო, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს პირობებში, პირველად მიეცა სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა.

2015 წლის 19 მაისს, ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება საერთო სასამართლოებში უფლებამოსილების ვადის გასვლის მიუხედავად მოქმედი მოსამართლეების შესახებ. მონოტორინგმა აჩვენა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სულ ხუთ მოსამართლეს, 10-წლიანი სამოსამართლო უფლებამოსილების დასრულების შემდგომ, საქმიანობის პერიოდი გაურკვეველი დროით გაუგრძელდათ. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებდა

ტენდენციაზე, როდესაც არ ხდება მოსამართლის სარეზერვო სისტემის ამოქმედება და მოსამართლის ინდივიდუალური როლის გაზრდა. კანონით, მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა შესაძლებელია გაეზარდოს, თუკი ვადის გასვლის დროს, განიხილავს მიმდინარე საქმეებს, თუმცა საკითხის შესწავლამ გამოკვეთა, რომ გახანგრძლივებული უფლებამსოილების მქონე მოსამართლეები, არამხოლოდ წარმოებაში არსებულ საქმეებს განიხილავენ, არამედ მათ ეწერებათ ახალი საქმეებიც, რაც სამოსამართლო უფლებამოსილების გაგრძელების პრინციპებს ღიად ეწინააღმდეგება.

2015 წლის 1 ივნისს, ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ სასამართლო არასრწულოვან გიორგი კ-ს საქმეზე პრეცედენტის შექმნით, სათანადო ინტერესს არ იჩენდა. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში, 2015 წლის 4 ივნისს უნდა განახლებულიყო გიორგი კ-ს საქმის განხილვა. ორგანიზაციამ დავის უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ ინფორამცია მიაწოდა საქართველოს უზანესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, საქართველოში დიპლომატიურ კორპუსს. იქედან გამომდინარე, რომ საქმეს განიხილავდა მოსამართლე ზაზა მარტიაშვილი, რომელმაც, თავის დროზე, 2-ჯერ განაცხადა უარი დავის საქმისწარმოებაში მიღებაზე, ხოლო 2015 წლის 16 აპრილის სხდომაზე, დაარღვია ბავშვის საუკეთესო ინტერესები და პროცესი, დაუსაბუთებლად, ფაქტობრივად, ორი თვით გადადო, გამოითქვა მაღალი ალბათობა, სასამართლო ვერ იქნებოდა გიორგი კ-ის ინტერესების დამცველი და ბავშვის მომავალს მოსამართლე სამართლიან განვითარებას არ მისცემდა. მოსამართლემ 2015 წლის 4 ივნისს გამართულ სხდომაზე, არასრუწლოვანის სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ბათილად სცნო იპოთეკის ხელშეკრულებები, რომლის ძალითაც, არასრუწლოვანის ქონება უფლებრივად იყო დატვირთული. ორგანიზაციის მიერ საქმესთან დაკავშირებით 2014-15 წლებში არსებობდა ყოვლისმომცველი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ორგანიზაციის ძალისხმევით, საერთაშორისო და ეროვნული დონის ინსტანციების მიმართ განხორციელებულმა მოქმედებებმა, შესაძლებელი გახადა საქმისწარმოების განახლება და აღსრულების პროცესის შეჩერების უზრუნველყოფა. ორგანიზაციამ 29 ივლისს რეკომენდაციით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და სთხოვა, არასრუწლოვანის საქმეზე სამართალწამოების ვადები დაცულიყო. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლომაც.

2015 წლის 16 ივნისს, ორგანიზაციამ გააკეთა განცხადება ე.წ. „კაბელების საქმეზე“ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოსამართლე დავით ჯუღელის გადაწყვეტილება პოლიტიკური ერთგულების ნიშნებს ატარებდა. ორგანიზაცია გაეცნო ე.წ. „კაბელების საქმეზე“ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის გადაწყვეტილებას, რომელიც პროფესიულ კითხვებს აჩენს. ორგანიზაციის თქმით, მოსამართლემ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხის განხილვის დროს, შეიძლება ითქვას, გააკეთა კანონის „ახლებური“ განმარტება და სასაქონლო ექსპერტს აუკრძალა ბაზრის კვლევის ჩატარება, რაც სამართალწამოების პრაქტიკისთვის, იშვიათი შემთხვევაა. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან დღემდე, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს გაცემული აქვს ათასობით სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა და ყველა შემთხვევაში, სწორედ ექსპერტის მიერ ხდებოდა ბაზრის კვლევა და სასამართლო ყველა შემთხვევაში, იღებდა მას, როგორც დასაშვებ მტკიცებულებას. სწორედ მოსამართლე დავით

ჯუღელის მხრიდან, ბოლო სამი წლის განმავლობაში, 250-ზე მეტი ანალოგიური დასკვნა იქნა საქმეზე მტკიცებულებად თანდართული, სასამართლომ კი, 5 ივნისის განჩინებით, არ იმსჯელა და არ დაასაბუთა, თუ რა მოსაზრებით ამბობდა უარს სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნის გამოყენებაზე. მოსამართლემ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ეჭვი შეიტანა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნის სისწორეშიც, რაც განჩინებაში, ასევე დასაბუთებული არ არის.

2015 წლის 19 ივნისს, ორგანიზაციამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის მოსამართლის, მაია სულხანიშვილის მიმართ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში, დისციპლინარული საჩივარი შეიტანეს. დისციპლინარული საჩივრით მოთხოვნილია დადგინდეს, დაარღვია თუ არა საქმის გამხილველმა მოსამართლემ „საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ" კანონის მოთხოვნა და აქვს თუ არა ადგილი მოსამართლისათვის შეუფერებელ ქმედებას, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას, მაოხდინა თუ არა მაია სულხანიშვილმა მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. მოსამართლე მაია სულხანიშვილის მიმართ დისციპლინარული საჩივრის მომზადების გარემოება გახდა 2015 წლის 6 მაისს მიღებული განჩინება. ერთ-ერთ საქმეზე, აღნიშნული განჩინება სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიტანა მოსამართლე ალექსანდრე იოსელიანის შემადგენლობით, მაშინ, როდესაც საქმის განმხილველი მოსამართლე გახლდათ მაია სულხანიშვილი. განჩინების ბოლო გვერდზე საქმის განმხილველ მოსამართლედ მითითებულია "მოსამართლე მ. სულხანიშვილი". ამასთან, განჩინება დამოწმებულია სასამართლოს გერბიანი ბეჭდით, ხოლო ბოლო გვერდზე მოსამართლის სახელწოდების გვერდით, ვხედავთ ფრაზას: "ხელმოწერილია", თუმცა განჩინება განმხილველი მოსამართლის მიერ ხელმოწერილი არ არის. განჩინებას ასევე გააჩნია შტამპიც: "ასლი დედანთან სწორია". ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მოსამართლე არის პროფესიონალი ადამიანი, რომელიც ემსახურება მართლმსაჯულების ინტერესებს და მის მიერ გადაწყვეტილების გამოტანას არ უნდა ჰქონდეს უპასუხისმგებლობის, გულგრილობისა და საქმის მიფუჩეჩების სახე, რაც მოცმეულ შემთხვევაში, ფიქსირდება, რადგანაც დარღეულია განჩინების, სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების ფუნდამეტური წესები.

2015 წლის 9 ოქტომბერს, ორგანიზაციამ წერილით მიმართა ვენეციის კომისიას და საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეთა კოლეგიის მოქმედებების მართლზომიერების შეფასება მოითხოვა. საზოგადოება მოულოდნელი ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება კანონის მოთხოვნათა დარღვევით გამოაქვეყნა. გადაწყვეტილების გამოქვეყნების დროს, სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა და მოსამართლეებმა, გვერდი აუარეს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონს, რომლის 43-ე მუხლის მიხედვით, „საკონსტიტუციო სასამართლოს საოქმო ჩანაწერს/განჩინებას ხელს აწერს საქმის განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას/დასკვნას ხელს აწერს საქმის არსებითად განხილვაში მონაწილე საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა წევრი“. მოცემულ

შემთხვევაში, გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 8 მოსამართლის ხელმოწერით, რაც ნიშნავს, რომ სახეზეა კანონით დადგენილი წესით დაუცველი გადაწყვეტილების მიღება. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნება ლეგიტიმურობის შესახებ კითხვებს აჩენს. გადაწყვეტილების ასეთი ფორმით გამოტანას ანალოგი არ აქვს არც ერთ ქვეყანაში. სახეზეა ორგანული კანონით მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა რადგანაც არ არსებობს სამართლებრივი მექანიზმი აღნიშნული დარღვევის გამოსწორებისთვის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება, მნიშვნელოვანია საზოგადოებამ შეფასებები იმ საერთაშორისოდ აღიარებული ინსტიტუციისგან - ვენციის კომისიისგან მოისმინოს, რომელის უფლებამოსილებაცაა საკონსტიტუციო სასამართლოების მუშაობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების საქმიანობით წარმოშობილი პრობლემების განხილვა. ორგანიზაციის მიერ ვენეციის კომისიის მიმართ გაგზავნილ წერილში, დასმულია კითხვები, რომელიც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილისა და სხვა მოსამართლეების მხრიდან მოსამართლე მერაბ ტურავას მიმართ დამოკიდებულებასა და გადაწყვეტილების გამოქვეყნების ფორმას ეხება. კერძოდ, რამდენად დაიცვა კანონი საკონსტიტუციო სასამართლომ, როდესაც გადაწყვეტილება გამოაქვეყნა კანონით დადგენილი 9 მოსამართლის ნაცვლად, 8 მოსამართლის ხემოწერით, რა შეფასებები უნდა მიეცეს გიორგი პაპუაშვილის მიერ მოსამართლე მერაბ ტურავას მიმართ დამოკიდებულებას, როდესაც არსებობდა მოთხოვნა, სასამართლო გადაწყვეტილების პროექტის გაცნობამდე, ხელი მოეწერა გადაწყვეტილებისთვის, უნდა მოეხდინა თუ არა სასამართლოს მოსამართლისთვის გონივრული ვადის შეთავაზება გადაწყვეტილების გაცნობისა და გადაწყვეტილებაზე ალტერნატიული მოსაზრებების არსებობის შემთხვევაში, განსხვავებული ხედვის წარმოდგენისთვის, რამდენად მართლოზომიერი და კოლეგიალური პრინციპების დაცვას ემსახურებოდა სასამართლოს მოქმედებები, ხედავს თუ არა ვენეციის კომისია განვითარებულ მოვლენებში პოლიტიკური ინტერესების სიჭარბეს და ჰქონია თუ არა სხვა ქვეყნებში ანალოგი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოქვეყნების ფორმას.

2015 წლის 30 ოქტომბერს, ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრის დროს აქცენტი გაკეთდა პრეზიდენტის განცხადებაზე, რომელმაც „რუსთავი 2“-ის საქმის განმხილველ მოსამართლეს მოუწოდა, არ მიეღო ხისტი და ნაჩქარევი გადაწყვეტილება. ორგანიზაციამ პრეზიდენტის განცხადება სასამართლოზე ჩარევის მცდელობად მიიჩნია.

2015 წლის 7 დეკემბერს, ორგანიზაციამ შეაფასა საქართველოს იუსტიციის უმაღლესს საბჭოში მიმდინარე მოსამართლეთა დანიშვნის/არჩევის პროცესი. განცხადებაში აღნიშნა, რომ ლევან მურუსიძე ქართული საზოგადოების, მოსამართლეთა კორპუსისა და ქვეყნის შეურაცხყოფას ახდენდა. ორგანიზაციის შეფასებით, დაუშვებელია, მოსამართლეთა თანამდებობები კიდევ ერთხელ და მოცემულ ეტაპზე, უვადოდ დაიკავონ პირებმა, რომელთა სამოსამართლეო პრაქტიკის მიმართ არაერთი კითხვა და კრიტიკა არსებობს. ჩვენი შეფასებით, ლევან მურუსიძე წინა ხელისუფლების დროს ჩამოყალიბებული სისტემური დანაშაულებების თანამონაწილე და სასამართლო დონეზე, შემსრულებელია. შეუძლებელია,

არსებობდეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე, რომელსაც ლევან მურუსიძე, იური ტყეშელაშვილი და ზაზა მეიშვილი განიხილავდნენ და კვლავ არსებობდეს საქართველოს სახელით გადაწყვეტილებების გამოტანის სურვილი. შეუძლებელია, არსებობდეს ევროსასამართლოს გადაწყვეტილება სულხან მოლაშვილის წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეზე, რომელსაც ლევან მურუსიძე განიხილავდა და არსებობდეს მოსამართლის სტატუსით საქმიანობის გაგრძელების სურვილი. ამასთან, საზოგადოებას უნდა ახსოვდეს ის გარემოებაც, რომ ლევან მურუსიძე არის ადამიანი, რომელიც 2005 წელს მონაწილეობდა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების (მერაბ ტურავა, ნინო გვენეტაძე, თამარ ლალიაშვილი და მურმან ისაევი) წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინური წარმოებისა და გათავისუფლების პროცესშიც. საზოგადოებამ ობიექტური დასკვნები უნდა გააკეთოს შექმნილ ვითარებაზე და სრული მხარდაჭერა გამოთქვას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძის მიმართ. ორგანიზაციის შეფასებით, მოსამართლეთა შერჩევის პროცესი კიდევ ერთხელ წარმოაჩენს იმ გარემოებებსაც, რომ ნინო გვენეტაძის პრინციპული ხედვაა, ქვეყანას გააჩნდეს მიუკერძოებელი და თავისუფალი სასამართლო სისტემა. ამის მაგალითია პირველად, მოსამართლეთა შერჩევის თვალსაზრისით, გამჭვირვალე, ღია, ხელმისაწვდომი და თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნა.

✔ „ახალგაზრდა ადვოკატები“ კვლევითი საქმიანობის პროცესში

1. ორგანიზაციამ 2015 წლის 12 იანვარს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: „მოქალაქეები მთავრობის საჯარო პოლიტიკის პროცესში 2014 წელს". მონიტორინგის მიხედვით, 2014 წელს, მთავრობის სამინისტროებს, 74,793 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიმართა. ორგანიზაციის შეფასებით, მოქალაქეების მთავრობის სამინისტროების მიმართ, შემცირებულია. თუკი 2011-2012 წლებში არსებობდა 71082 მიმართვა, 2012-2013 წლებში - 197800, 2014 წელს მთავრობის სამინისტროებს, 74,793 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიმართა. შემცირებულია მოქალაქეთა ადმინისტრაციული საჩივრების სტატისტიკაც. 2011-2012 წლებში არსებობდა 402, 2012-2013 წლებში - 894, ხოლო 2014 წელს 236.

2. ორგანიზაციამ 2015 წლის 17 იანვარს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საპროცესო გარიგებებიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ მიმართული თანხები. ორგანიზაციის შესწავლით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამო, სანქციების (ჯარიმები და საურავები), მათ შორის საპროცესო გარიგებებიდან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, მოქალაქეების მიერ გადახდილმა თანხებმა, 2014 წელს, 29,730,410,13 ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებების შემდგომ, 2010-2013 წლების მონაცემებთან შედარებით, მკვეთრად შემცირებულია.

3. ორგანიზაციამ 2015 წლის 25 იანვარს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საქართველოს პრეზიდენტის მიმართ მოქალაქეების მიმართვიანობის საკითხი. ორგანიზაციის შეწავლით, 2014 წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, 19595 მოქალაქემ მიმართა, რაც გასულ წლებთან მიმართებით, გაცილებით დაბალი მაჩვენებელია. აქედან, პრეზიდნეტის ადმინისტრაციამ განიხილა და წარმოება დაასრულა 12499 მიმართვაზე, ხოლო 4205 მოქალაქეს გაეგზავნა საპასუხო წერილი. არსებული მონაცემით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 7096 მოქალაქის 2014 წელს რეგისტრირებული მიმართვა, კვლავ მომზადებისა და გამოხმაურების ეტაპზეა.

4. ორგანიზაციამ 2015 წლის 12 თებერვალს გამოაქვეყნდა კვლევის შედეგები, თემაზე: „საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში“. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მთავრობა მუშაობს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ქართულ-ევროპული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ფორმირებაზე. ამასთან, მთავრობა ყოველწლიურად შეიმუშავებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმას. საქართველოს შესაბამისი უწყების მიერ მუშავდა 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმაც, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის კომპონენტს (DCFTA). კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ ცვლილებას არ განიცდის ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსიც, ვინაიდან აღმასრულებელი ხელისუფლება ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების ერთგულებას გამოხატავს.

5. ორგანიზაციამ 2015 წლის 3 მარტს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა და სახელფასო პოლიტიკა. მონიტორინგმა აჩვენა, მარეგულირებელი კომისია, საქართველოში ყველაზე მდიდარი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ კოლოსარული თანხების მიღებას უზრუნველყოფს კომუნიკაციებისა და მაუწყებლობის სფეროში რეგულირების საფასურის გადამხდელი პირებისგან, რამაც, 2014 წლის არასრული მონაცემით, შეადგინა 4,815,534.00 მილიონი ლარის მიღება. ორგანიზაციამ ანალიზი გაუკეთა კომისიის წევრებისა და კომისიის თავმჯდომარის ხელფასებსა და პრემიების მიღების საკითხს. როგორც მოწოდებული ინფორმაცია მიუთითებს, კომისიის თავმჯდომარის ერთი თვის ხელფასის ოდენობა შეადგენს - 13,312.00 ლარს, ხოლო კომისიის წევრების მიერ ყოველთვიური შრომითი ანაზღაურება 12.648.00 ლარია.

6. ორგანიზაციამ 2015 წლის 31 მარტს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გრანტის სახით გაცემული თანხები. მონიტორინგმა აჩვენა, რომ პრეზიდნეტის ასიგნებებიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, 2011-2015 წლებში, 34 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფინანსებაზე, კულტურული, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებებისათვის, დაიხარჯა 3. 372, 101, 9 ლარი.

7. ორგანიზაციამ 2015 წლის 28 აპრილს გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: 2004-12 წლებში, მოქალაქეების მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობილი ქონებები. მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოქალაქეების მხრიდან სახელმწიფოს სასარგებლოდ, 2004-2014 წლებში, ჩუქების ხელშეკრულებით, უსასყიდლოდ ან მიტოვების ფორმით, გადაცემული ქონებების, წილების, აქციებისა და ავტომობილების დათმობამ შეადგინა 5634 ფაქტი. მონიტორინგის შედეგად, 2004-2012 წლებში, სახელმწიფოს უსასყიდლოდ, ჩუქების ფორმით გადაეცა 369 ქონება, მიტოვების გზით და სხვა სამართლებრივი ფორმით კი - 1941. საერთო ჯამში, სახელმწიფომ მიიღო 2310 ქონების განკარგვის უფლება. ამასთან, შესწავლილი ინფორმაცია ცხადყოფს, რომ 2004-2012 წლებში, სახელმწიფოს სასარგებლოდ მოქალაქეებმა წილები/აქციები დათმეს 150-ჯერ, ხოლო სახელმწიფო გახდა 864 ავტომობილის მფლობელი. მთლიანობაში, სახელმწიფომ 2004-2012 წლებში, მოქალაქეებისგან 5634 ქონება მიიღო.

8. ორგანიზაციამ 2015 წლის 19 მაისს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საერთო სასამართლოებში უფლებამოსილების ვადის გასვლის მიუხედავად მოქმედი მოსამართლეები. მონოტორინგმა აჩვენა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს, სულ ხუთ მოსამართლეს, 10-წლიანი სამოსამართლო უფლებამოსილების დასრულების შემდგომ, საქმიანობის პერიოდი გაურკვეველი დროით გაუგრძელდათ. აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიუთითებს ტენდენციაზე, როდესაც არ ხდება მოსამართლის სარეზერვო სისტემის ამოქმედება და მოსამართლის ინდივიდუალური როლის გაზრდა. კანონით, მოსამართლეს უფლებამოსილების ვადა შესაძლებელია გაეზარდოს, თუკი ვადის

გასვლის დროს, განიხილავს მიმდინარე საქმეებს, თუმცა საკითხის შესწავლამ გამოკვეთა, რომ გახანგრძლივებული უფლებამსოილების მქონე მოსამართლეები, არამხოლოდ წარმოებაში არსებულ საქმეებს განიხილავენ, არამედ მათ ეწერებათ ახალი საქმეებიც, რაც სამოსამართლო უფლებამოსილების გაგრძელების პრინციპებს ღიად ეწინააღმდეგება.

9. ორგანიზაციამ 2015 წლის 22 ივნისს გამოაქვეყნა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საქართველოში მოღვაწე უცხოური სახელწოდების კომპანიები, სასაქონლო ნიშნის გამოყენება, მათი იურიდიული სტატუსი, აღნიშნულ კომპანიებში დასაქმებული მოქალაქეების შრომითი უფლებები და მომხმარებელთა მიმართ კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი. მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოქალაქეები უპირატესობას ანიჭებენ ძვირადღირებული ნივთების, პროდუქტებისა და სხვა საჭიროებების შეძენას მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული კომპანიები პროდუქციას საერთაშორისო ნდობის მქონე ბრენდების სახელწოდებით სთავაზობენ, თუმცა სიღრმისეული დაკვირვების შემთხვევაში, შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ასეთი კომპანიები ბაზარზე თვალთმაქცურად მოქმედებდნენ - მათ არ გააჩდეთ შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი, არ სარგებლობდნენ ფრენშაიზინგის ხელშეკრულებით და არც რაიმე ვალდებულება, საკუთარი სტატუსის თაობაზე არსებული ინფორმაცია მიეწოდოს მომხმარებელს. მონიტორინგმა ცხადყო, რომ საქართველოში უცხოური სახელწოდების ქვეშ მოღვაწე კომპანიების მხრიდან სათანადოდ არ არის შეფასებული კორპორატიული პასუხისმგებლობა და სოციალური დიალოგის პრიორიტეტულობის საკითხი. მივიღეთ მდგომარეობა, როდესაც საზოგადოებისთვის გვიძნელდება შევთავაზოთ დაზუსტებული მონაცემები, თუ რომელი კომპანია რა სტანდარტებით იცავს შრომით ურთიერთობებს, რომელი კომპანიები სარგებლობენ ბრენდის სტატუსით და გააჩნიათ ფრენშაიზინგის ხელშეკრულება, ან სხვა რაიმე ნებართავა/ლიცენზია ან უფლება გამოიყენონ უცხოური კომპანიის სახელწოდება, რა არის აღნიშნული კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის საკითხი.

10. ორგანიზაციამ 2015 წლის 3 აგვისტოს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: უკრაინის ხელისუფლებაში საქართველოს ყოფილი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების შრომითი ანაზღაურების საკითხი. შესწავლილ იქნა უკრაინაში საქართველოს ყოფილი მაღალი თანამდებობის პირთა სახელფასო ფონდი, პრემიები და დანამატები, სამივლინებო და ცხოვრების ხარჯები. ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, საქართველოში საჯარო მმართველობის განხორციელების პერიოდში, გაცილებით მაღალ შრომით ანაზღაურებას, პრემიებსა და დანამატებს იღებდნენ. უკრაინის სახელმწიფოს ბიუჯეტი არ უზრუნველყოფს არც ერთი მოქმედი თუ ყოფილი ქართველი თანამდებობის პირის უკრაინაში ცხოვრების ხარჯებს. შესაბამისად, თუ როგორ ცხოვრობს და რა ფინანსური რესურსი გააჩნიათ უკრაინაში ქართველ ყოფილ თანამდებობის პირებს, კიდევ უფრო მეტად აქტუალური ხდება. ბუნებრივია, ერთი მხრივ ეს ზრდის მაღალი კორუფციის საფრთხეს, მეორე მხრივ კი - ფინანსური მოტივაციის გარეშე, საჯარო უწყებების მიმართ ნაკლებ ნდობას.

11. ორგანიზაციამ 2015 წლის 6 აგვისტოს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მაუწყებლის გენერალური დირექტორის, მოადგილეების, სამეურვეო საბჭოს თავჯდომარისა და მისი წევრების, მონიტორინგის საბჭოსა და საზოგადოებრივი საბჭოს წევრების შრომითი ანაზღაურება, პრემიები, დანამატები და სამივლინებო ხარჯები. საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის მიერ 2015 წლის მაისის მდგომარეობით მიღებულმა შრომითი ანაზღაურებამ შეადგინა 27500.00, ხოლო 2014-13 წლებში, მთლიანობაში, 132,000 ათასი ლარი. გენერალური დირექტორის მოადგილის შრომითი ანაზღაურებამ 2013-2015 წლის მაისის მდგომარეობით, მთლიანობაში - 115,000 ათასი ლარი, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ მიღებულმა შემოსავალმა 2015 წლის მაისის თვის მდგომარეობით შეადგინა 18500,00, 2014 წელს - 44400,00, ხოლო 2013 წელს - 37500,00 ათასი ლარი. მაღალია სამეურვეო საბჭოს წევრების ანაზღაურებაც. 2015 წლის მაისის თვის მდგომარეობით, მათ მიერ მიღებულმა ანაზღაურებამ შეადგინა 79950,00, 2014 წელს - 187350,00, ხოლო 2013 წელს 251476,00 ათასი ლარი. შესწავლილი მასალის დგინდება, რომ ტელევიზიის მონიტორინგის საბჭომ ხელფასის სახით, 2015 წლის მაისის თვის მდგომარეობით მიიღო 7000,00, ხოლო 2014 წელს - 111042,00 ათასი ლარი. შესწავლილი ინფორმაციის თანახმად, შრომით ანაზღაურებას საზოგადოებრივ მაუწყებელში არ იღებს მხოლოდ საზოგადოებროვი საბჭოს წევრები. მათ არც შესწავლილ პერიოდში უსარგებლიათ მივლინებით. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე სახელფასო პოლიტიკა უთანასწორო, სამივლინებო ხარჯები კი - კოლოსარულია.

12. ორგანიზაციამ 2015 წლის 24 აგვისტოს გამოაქვეყნა კვლევა: „უვადო მსჯავრდებულთა საქმეების პერსპექტივები - გივი დუმბაძის საქმე“. კვლევამ აჩვენა, რომ სახელმწიფოს არ გააჩნია ჩამოყალიბებული პოზიცია, უვადო პატიმართა საქმეების გადახედვის მიმართულებით, თუმცა უვადო თავისუფლებააღკვეთილ პირთა საქმეების სამართლებრივი პერსპექტივები სამართლიანობის აღდგენის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კვლევამ აჩვენა, რომ 2007 წლამდე, საქართველოში მხოლოდ 25 უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირი იხდიდა სასჯელს, 2015 წლის პირველი ნახევრის მდგომარეობით კი, მათი რიცხვი 81-მდე გაიზარდა. უვადო პატიმრობის რიცხოვნობის გაზრდა პირდაპირ პროპორციული აღმოჩნდა 2003-2012 წლების ხელისუფლების „ნულოვანი ტოლერანტობისა“ და მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის გამო. მართალია, სახელმწიფომ გადადგა ჰუმანური ნაბიჯი და 2012 წლის „ამნისტიის შესახებ“ კანონით 2003-12 წლების ხელისუფლების მმართველობის პოლიტიკური რეჟიმის მხარე შეაფასა, მაგრამ კანონში გაჩენილმა ხარვეზმა, შეუძლებელი გახადა სამართლიანობის აღდგენა უვადო პატიმართა საქმეებზე. სასჯელის ¼-ით შემცირების პრინციპი უნდა გავრცელებულიყო უვადო თავისუფლება აღკვეთილებზეც, მაგრამ რაკი ამნისტიის კანონში კონკრეტულად არ იქნა გაწერილი, თუ როგორ მომხდარიყო აღნიშნული ნორმის გავრცელება უვადო სასჯელზე, რომელსაც ზედა ზღვარი არ გააჩნია, სასჯელის საბოლოო ზომა (უვადო) დარჩა უცვლელად. კვლევის ფარგლებში, საზოგადოების წინაშე ცნობილი გახდა #8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული უვადო პატიმარ გივი დუმბაძის საქმე, რომლის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, ტოვებს აშკარა შთაბეჭდილებას, რომ გივი დუმბაძის

მიმართ, პოლიტიკური მოსაზრებით, განხორციელებულია იძულება, დევნა და იმყოფება უკანონო პატიმრობაში. გივი დუმბაძე წარმოადგენს 2003-12 წლების მმართველობის მსხვერპლს, ვინაიდან სასჯელს იხდის დანაშაულისთვის, რომელიც არ ჩაუდენია, მისი საქმე ექვემდებარება გადახედვას, რომელიც დღემდე არ მომხდარა.

13. ორგანიზაციამ 2015 წლის 7 ოქტომბერს გამოაქვეყნდა მონიტორინგის შედეგები, თემაზე: საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ლობისტური საქმიანობისთვის დახარჯული თანხები. მონიტორინგმა აჩვენა, რომ მთავრობამ 2004-2012 წლებში, ლობისტიურ საქმიანობაზე, 10 მლნ დოლარზე მეტი დახარჯა, 2013-2015 წლებში კი - 4 მლნ ლარი. საქართველოს თავრობის ადმინისტრაციის ინფორმაციის საფუძველზე, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგომ მთავრობის ლობისტური საქმიანობა არა პოლიტიკოსების პერსონალური იმიჯის საკთხს ეხება, არამედ მთლიანად მიმართულია ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით. ამასთან, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მთავრობა ლობისტური საქმიანობისთვის ფინანსურ სახსრებს არა ქვეყნის ბიუჯეტიდან, არამედ სარეზერვო ფონდიდან მიმართავს. 2013, 2014 და 2015 წლებში, მთავრობამ სამი კონტრაქტი, სამ სხვადასხვა უცხოურ კომპანიასთან: “Pattion Boggs”, “Squire Pattion Boggs” და „Pillsbury Winthrop shaw pittman llp”-თან გააფორმა. კონტრაქტების საერთო ღირებულებამ შეადგინა 4 705 076, 85 ლარი. ორგანიზაციის შეფასებით, ევროინტეგრაციის საკითხზე ლობისტური საქმიანობისთვის, ქვეყნის მიერ გაღებული თანხები მოკრძალებული და მცირეა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მთავრობის მხრიდან ეფექტური PR-კამპანიების ხარჯვითი ნაწილის მიმართ უარზე.

14. ორგანიზაციამ 2015 წლის 18 დეკემბერს გამოაქვეყნდა კვლევა: „სისტემა მოქალაქის წინააღმდეგ - ლისის ტბის საქმე“. კვლევამ აჩვენა ბიზნესმენ რამაზ ახვლედიანის მიმართ განხორციელებული იძულებისა და ქონების დათმობის ფაქტები. შესწავლილი დოკუმენტების მიხედვით, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულების საფუძველზე, 2006 წლის 14 ივლისს, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 63.5.ჰა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა რამაზ ახვლედიანს, ხოლო 267 ჰა არასასოფლო - სამეურნეო მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით საკუთრებაში გადაეცა ს.ს. „ლისის ტბას“, აღნიშნული კომპანიის პარტნიორები იყვნენ რამაზ ახვლედიანი და მამუკა ხაზარაძე. პირობები უნდა შესრულებულიყო 2006 წლის 31 დეკემბრამდე. 2006 წლის 10 ნოემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა ახალი განკარგულება და ძალადაკარგულად გამოაცხადა რამაზ ახვლედიანისთვის, 2006 წლის 14 ივლისს გადაცემული ლისის ტბის ნაკვეთები. პრეზიდენტმა ახალი განკარგულების მიზეზად დაასახელა ბიზნესმენის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულებები, რაც საქმეში არსებული არც ერთი დოკუმენტით არ მტკიცდება. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტმა ახალი განკარგულება გამოსცა სწორედ იმ ვითარებაში, როდესაც რამაზ ახლედიანის მხრიდან ყველა პირობა უკვე შესრულებულიყო იყო და 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებითვე აღიარებული ამ პირობების შესრულების საბოლოო ვადაც - 2006 წლის 31 დეკემბერი, ჯერ დამდგარი

არ იყო. ბიზნესმენი რამაზ ახვლედიანი 2006 წლის 4 ნოემბერს, დაიბარეს მაშინდელ ფინანსურ პოლიციაში და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ დათმობა მოსთხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობით დაემუქრნენ, როგორც მას, ასევე მის ახლობლებს. რამაზ ახლედიანი იძლებული გახდა, თბილისის მაშინდელი მერიისა და მთავრობის სახელზე დაეწერა განცხადება და ეღიარებინა, რომ 1999 წლის საიჯარო ხელშეკრულებით, ასევე პრეზიდენტის 2006 წლის 14 ივლისის განკარგულებით ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულა და მოითხოვა საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორია და რომელიც ბიზნესმენს უკვე გამოსყიდული ჰქონდა.

✔ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ევროინტეგრაციის მხარდაჭერის პროცესში

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2015 წლის 12 თებერვალს, საკითხზე: „საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში“ განხორციელებული კვლევის შედეგები წარმოადგინეს, რომელიც მთავრობის სამინისტროების მხრიდან ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარეობის, შესრულებისა და დოკუმენტის ფარგლებში, მოსალოდნელი ღონისძიებების შესწავლას დაეთმო. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ მთავრობა მუშაობს ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ქართულ-ევროპული სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმის ფორმირებაზე. ამასთან, მთავრობა ყოველწლიურად შეიმუშავებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმას. საქართველოს შესაბამისი უწყების მიერ მუშავდა 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმაც, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის კომპონენტს (DCFTA). კვლევამ ცალსახად აჩვენა, რომ ცვლილებას არ განიცდის ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსიც.

2015 წლის 30 აპრილს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“ დაფუძნდა. ალიანსის წევრი ორგანიზაციები მხარს უჭერენ საქართველოს ევროპულ არჩევანს და გამოთქვამენ მზადყოფნას, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების იმპლემენტაციის პროცესში, მიიღონ პირდაპირი მონაწილეობა. ალიანსი ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან ქვეყნის ევროკავშირის წევრობამდე პერიოდში, მხარს დაუჭერს დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას და წარმოადგენს პერიოდულ ანგარიშებს ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე მთავრობის მიერ დამტკიცებული ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით.

2015 წლის მაისში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ შეაფასეს საქართველოს მთავრობის მიერ ,,სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ შესრულების საკითხებზე რიგის სამიტის გადაწყვეტილებები. ორგანიზაციამ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია სწორი შეფასებები გაკეთდეს იმ შესაძლებლობებსა და მიღწევებზე, რომლებიც ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებით საქართველოსთვის არსებობს და რომლებიც რიგის სამიტმა გააჩინა. ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობამ გააკეთა მაქსიმუმი ,,სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის“ წარმატებით შესასრულებლად. ამაზე მიუთითებს ევროკომისიის მიერ, მაისის დასაწყიში, მომზადებული ანგარიში ევროპარლამენტისა და ევროკავშირის საბჭოსთვის, სადაც დადებითად არის შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებეის შესრულების საკითხი. ორგანიზაციამ მიმართა საქართველოს ხელისუფლებას დაეწყო სწორი საინფორმაციო კამპანია საზოგადოების მეტი ინფორმირებულობისა და ჩართულობის მიზნით და აღნიშნა, რომ დეკემბრამდე მთავრობას და სახელმწიფოს სხვადასხვა სრუქტურებს გაცილებით მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინათ იმისთვის, რომ ერთი მხრივ, მომხდარიყო ობიექტური ინფორმირება საზოგადოების, თუ რა მოლოდინი და სიკეთეები შეიძლება მოყვეს საქართველოს საკითხის დადებითად გადაწყვეტას დეკემბერში და მეორე მხრივ, აუცილებელია, გაძლიერდეს შიდა ინსტიტუტები, რათა პოლიტიკური ოპოზიცია, ხელისუფლება, სამოქალაქო სექტორი, მედია ერთობლივი ძალისხმევით მუშობდნენ ევროპული არჩევანის სიკეთეების წარმოსაჩენად.

2015 წლის ივლისში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრის - ACICC”-ის 2015 წლის მცირე გრანტების აღმოსავლეთ პარტნიორობის უმცირესობათა ქსელის პროგრამის ფარგლებში, განახორციელეს პროექტი: „ეთნიკური უმცირესობების ფორუმი“. ეთნიკური უმცირესობების ფორუმზე“, ადგილობრივმა მოქალაქეებმა, განსახილველ საკითხებზე, მიიღეს უახლესი ცნობები და მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, უშუალო კითხვები დაესვათ ევროინტეგრაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირებისთვის. მოქალაქეებს გადაეცათ პროექტის ფარგლებში, ორგანიზაციის მიერ მომზადებული სპეციალური ანგარიში „საინფორმაციო კამპანია ეროვნულ უმცირესობათა თემებში აღმოსავლეთ პარტნიორობის შესახებ“, რომელიც გამოიცა, როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე. ანგარიშში ცაკლე თავი დაეთმო ეთნიკური უმცირესობების ჩართულობის, თანამონაწილეობისა და უფლებების საკითხს. ანგარიში, ასევე უფასოდ გადაეცათ რეგიონის საგანმანათლებლო დაწესებულებების ბიბლიოთეკებს, დემოკრატიული ჩართულობის ცენტრებს, თვითმმართველობებს და სამოქალაქო ორგანიზაციებს. პროექტი განხორციელდა ახალციხისა და მარნეულის მუნიციპალიტეტში.

2015 წლის აგვისტოში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესრულების მიმდინარეობასა და არსებულ გამოწვევებზე, კონფერენცია გამართეს. შეხვედრაზე განხილულ იქნა DCFTA-ის ვალდებულებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის, ვაჭრობისა და სამრეწველო პოლიტიკის მიმართულებით გატარებული ღონისძიებები, მათი ეფექტიანობა და პროცესის პრობლემური მხარეები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ბიზნესის წარმომადგენლებმა და და მეწარმე სუბიექტებმა, რომლებმაც უშუალოდ შეაფასეს ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულების შედეგად არსებული ეკონომიკური მდგომარეობა. დისკუსია შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა, თუ რა ადგილობრივი შესაძლებლობები და მასტიმულირებელი პროექტები არსებობს ევროკავშირის ბაზრებზე ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეებისთვის, რა განვითარების ეტაპზეა ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები ევროკავშირის ქვეყნებთან, რა ძირითადი ბარიერები და შემაფერხებელი ფაქტორები არსებობს ამჟამად მეწარმეთათვის, რომლებიც ევროკავშირის ბაზარზე ახდენენ ექსპორტს და როგორ უნდა მოემზადოს ქვეყანა და ბიზნეს-წრეები DCFTA-ის პოტენციალის და შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებისთვის.

2015 წლის აგვისტოში, „ახალგაზრდა ადვოკატების“ ორგანიზებით, მიგრაციის საკითხებზე ქვემო ქართლის ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებისათვის, სამთავრობო უწყებების მონაწილეობით, ტრენინგს უმასპინძლებს.

2015 წლის სექტემბერში, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა არჩილ კაიკაციშვილმა განცხადება გააკეთა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ორგანიზიებით, ადამიანის უფლებების დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ გამართულ შეხვედრაზე და აღნიშნა, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ახალ დღის წესრიგს ადგენს. „საჭიროა, ჩვენი მონიტორინგი დავაფუძნოთ იმ სტანდარტების აღქმასთან, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, აღნიშნული დოკუმენტი გვკარნახობს. დღეს გვაქვს ამოცანა, ქვეყანაში არსებობდეს ძლიერი,

მიუკერძოებელი და კვალიფიციური არასამთავრობო სექტორი, რომელიც საქმიანობას დააფუძნებს სტრატეგიულ თემებზე და მიმართულებებზე. ერთპოლუსიანი სამოქალაქო სექტორი არ იქნება პლურალისტური საზოგადოებისთვის კარგი. ხშირად ხდება, რომ ფინანსურად ძლიერი ორგანიზაციები მედიის განსაკუთრებული ინტერესის ქვეშაა, როდესაც სამოქალაქო სექტორში ინტელექტუალების ნაკლებობა არ არის. ამიტომაც, პოლიტიკაზე პოზიტიური გავლენა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს მოწესრიგება, დღეს არის ამოცანა, სადაც ჩვენ ყველას ერთად შეგვიძლია უაღრესად შედეგიანი გადაწყვეტილებების მიღება. ამიტომაც არის კომიტეტთან არსებული საბჭო და მისი ყველა წევრი საინტერესო შესაძლებლობა, საჯარო ინტერესის კონტექსტში დავინახოთ ყველა საკითხი თუ გამოწვევა“ - განაცხადა არჩილ კაიკაციშვილმა.

2015 წლის ნოემბერში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარეობის შეფასებასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველ მოადგილე თეიმურაზ მურღულიას შეხვდნენ. შეხვედრას „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსის: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“ წევრებიც დაესწრნენ, რომლებიც დეტალურად გაეცნენ ეროვნული სამოქმედო გეგმის მიხედვით, სამინისტროს ღონისძიებებსა და სტრატეგიულ გეგმებს. აღნიშნული ხასიათის შეხვედრა შედგა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხთა სამინისტროშიც.

2015 წლის დეკემბერში, „ახალგაზრდა ადვოკატები“ გამოეხმაურა 2015 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს მიმართ, ევროკომისიის მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, დადებითი საბოლოო ანგარიში გამოქვეყნებას და აღნიშნა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის პოლიტიკური ცვლილებების შემდგომ, საქართველოს მთავრობის ორი პრემიერის - ბიძინა ივანიშვილისა და ირაკლი ღარიბაშვილის საქმიანობამ, საქართველოს სამინისტროების, განსაკუთრებით კი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ძალისხმევის შედგად, ქვეყანამ განვითარებისთვის ისტორიული შანსი მოიპოვა. ამიტომაც, მოცმეულ ეტაპზე, ორგანიზაციას საჭიროდ მიიჩნევს ინსტიტუციური დიალოგის გაძლიერებას ხალხსა და ხელისუფლებას შორის, რათა თითოეულ მოქალაქემდე იქნეს მიტანილი ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და სიკეთეები. ორგანიზაცია, ამთ შორის, ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს 2013 წლიდან, ახორციელებს ინიციატივებს, პროექტებსა და მონაწილეობს საკითხთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიაში. იქედან გამომდინარე, რომ საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, 2016 წელი საქართველოში ევროპული სახელმწიფოს წლად გამოცხადდა, აღნიშნული კიდევ უფრო მეტ მოტივაციას ქმნის ორგანიზაციის გუნდისთვის განახორციელოს სამოქალაქო ჩართულობა, მათ შორის საქართველოს რეგიონებში.

✔ „ახალგაზრდა ადვოკატების“ ყველა აქტიურობა საჯარო სივრცეში

იანვარი

- 12/01/2015 - 2014 წელს, მთავრობის სამინისტროებს, 74,793 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიმართა. ***(ბრიფინგი)***
- 13/01/2015 - განათლების სამინისტროს კოლეჯი შრომის იძულებითი განაცდურისთვის 1300 ლარს გადაიხდის ***(განცხადება)***
- 15/01/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პრეზიდენტთან არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრაზე, არ დაუშვეს. ***(განცხადება)***
- 17/01/2015 - 2014 წელს, საპროცესო გარიგებებიდან ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილმა თანხამ 29,730,410,13 ლარი შეადგინა. ***(ბრიფინგი)***
- 21/01/20105 - საზოგადოება იური ვაზაგაშვილის საქმეზე გამოძიების შედეგების მოლოდინშია. ***(განცხადება)***
- 21/01/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ახმეტელის თეატრიდან უკანონოდ გათავისუფლებულის საქმე მოიგო. ***(განცხადება)***
- 23/01/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მოგებულ დავაზე, სასამართლომ მურმან დუმბაძის საჩივარიც არ დააკმაყოფილა. ***(განცხადება)***
- 25/01/2015 - პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან 2014 წელს მოქალაქეების მიმართვიანობის სტატისტიკა. ***(განცხადება)***
- 26/01/2015 - პრეზიდენტმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატები ჯერ საზოგადოებას უნდა წარუდგინოს. ***(ბრიფინგი).***
- 28/01/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პარლამენტს მიმართავს, მიწის გასხვისების სამართლებრივი მექანიზმი შეცვალოს. ***(ბრიფინგი)***
- 28/01/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ კაბინეტურ მმართველობაზე გადავიდა(s). ***(განცხადება)***
- 29/01/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სავალუტო ჯიხურის მანიპულაციაზე მოქალაქის დარღვეული უფლება აღადგინა. ***(განცხადება)***
- 29/01/2015 - პარლამენტმა „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადება მოისმინა. ***(განცხადება)***
- 30/12/2015 - „ნარჩენების მართვის კოდექსში“ არსებული ჯარიმების მიზანშეწონილობის საკითხი გადასახედია. ***(ბრიფინგი)***

თებერვალი

- 02/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სტამბოლში ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ საკუთრებაზე მოხსენება წარადგინეს. ***(განცხადება)***
- 05/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ წინააღმდეგ სარჩელს შეიტანს. ***(ბრიფინგი)***
- 07/02/2015 - სასამართლო „კრისტალბეთში“ მოგებულ 35 680.59 ლარის საქმეზე, გათავისუფლებულ თანამშრომელს დაკითხავს. ***(განცხადება)***

- 07/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ 9 თებერვალს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურას დაასახელებს. ***(განცხადება)***
- 09/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ - ვასახელებთ ნინო გვენეტაძეს, რომელსაც სასამართლო სისტემა ენდობა. ***(ბრიფინგი)***
- 12/02/2015 - „საქართველოს მთავრობა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესში“. ***(ბრიფინგი)***
- 14/02/2015 - მოქალაქეთა ინტერესებს ახალი იურიდიული ბრენდი: „კაიკაციშვილი და ადვოკატები“ დაიცავს. ***(პრეზენტაცია)***
- 17/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ - დგება დრო, როდესაც სასამართლო სისტემა რეალური დამოუკიდებლობისთვის ემზადება. ***(ბრიფინგი)***
- 18/02/2015 - მიმართვა ზურაბ ჯაფარიძეს: გაასაჯაროეთ ინფორმაცია! (განცხადება)
- 20/02/2015 - სამოქალაქო სექტორმა კოტე კუბლაშვილის 10 წლიანი მმართველობა უნდა შეაფასოს. ***(ბრიფინგი)***
- 22/02/2015- „ახალგაზრდა ადვოკატები“ და სხვა ორგანიზაციები, ხვალ უზენაესს სასამართლოსთან აქციას გამართავს. ***(განცხადება)***
- 23/02/2015 - სამოქალაქო სექტორმა საკასაციო სასამართლოსთან კოტე კუბლაშვილის 10 წლიანი მმართველობა გააპროტესტა. ***(განცხადება)***
- 24/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მთავრობას აფხაზებთან და ოსებთან კომუნიკაციის ახალ ხაზსს სთავაზობს. ***(ბრიფინგი)***
- 27/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ არასრულწლოვანთა კოდექსში დაზუსტებებსა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით მიღებას მოითხოვს. ***(ბრიფინგი)***
- 28/02/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ნაფიც-მსაჯულებისთვის თანამდებობის პირთა საქმეების განხილვის შეზღუდვის კანონპროექტს ემხრობა. ***(ბრიფინგი)***

მარტი

- 01/03/2015-„ახალგაზრდა ადვოკატები“ „ყაზტრანსგაზ-თბილისს“ საზოგადოებისთვის ბოდიშის მოხდისკენ მოუწოდებს. ***(განცხადება)***
- 02/03/2015 - სახელმწიფომ გიორგი პაპუაშვილს ალტერნატიული ართი უნდა შესთავაზოს. ***(ბრიფინგი)***
- 05/03/2015 - სახელმწიფო სამართლიანობის აღდგენის პროცესში სამოქალაქო სექტორის მხარდაჭერას უნდა გრძნობდეს. ***(ბრიფინგი)***
- 06/03/2015 - ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ GBA-ის 2014 წლის შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციას დაეწრო. ***(განცხადება)***
- 09/03/2015 - კომუნიკაციების ეროვნული კომისია საქართველოში ყველაზე მდიდარი სახელმწიფო ორგანოა. ***(ბრიფინგი)***
- 09/03/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პარლამენტში თენგიზ მიქოიანცის გამოფენას დაესწრო. ***(განცხადება)***

- 12/03/2015 - ეროვნული ბანკი არაპროფილური ბიზნესის მქონე ბანკების ვინაობას არ ამხელს. ***(ბრიფინგი)***
- 13/03/2015 - „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმეზე, გიორგი ქადაგიძის დანაშაული იკვეთება. ***(ბრიფინგი)***
- 16/03/2015 - აჭარის ა/რ პროკურატურაში გიორგი პაპუაშვილის ქმედებაზე, გამოძიება მიმდინარეობს. ***(ბრიფინგი)***
- 16/03/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ გიორგი ქადაგიძეს „ინტელექტბანკის“ საქმეზე შეხვედრას სთავაზობს. ***(განცხადება)***
- 17/03/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ აქციას: „წიგნი - გისოსებს მიღმა“ შეუერთდა. ***(განცხადება)***
- 17/03/2015- „ახალგაზრდა ადვოკატები“ შსს-ს რეფორმირების სამუშო ჯგუფში ჩაერთვება. ***(განცხადება)***
- 18/03/2015 - აჭარის უმაღლეს საბჭოში მოვლენები ხელისუფლების მიტაცების მცდელობაა. ***(ბრიფინგი)***
- 19/03/2015 - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საზოგადოება შეცდომაში შეიყვანა. ***(განცხადება)***
- 15.20/03/2015-„ახალგაზრდა ადვოკატები“- მეგობრები არ ითვლიან ქრომოსომებს! ***(განცხადება)***
- 23/03/2015 - მერაბ ტურავა ქონებაჩამორთმეულის სახლში გიორგი პაპუაშვილის ცხოვრების ფაქტს ეხმაურება. ***(განცხადება)***
- 24/03/2015 - პრეზიდენტმა ექსპრეზიდენტის განკარგულების ნაწილობრივ ბათილობაზე უარი თქვა. ***(ბრიფინგი)***
- 25/03/2015 - პარლამენტში საკონსულტაციო საბჭოს სამოქალაქო ინტეგრაციის ქვეჯგუფის შეხვედრა გაიმართა. ***(განცხადება)***
- 26/03/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პრემიერთან როლანდ ბლადაძის საქმის შესახებ დასმულ საკითხს ეხმაურება. ***(განცხადება)***
- 30/03/2015 - პარლამენტში საკონსულტაციო საბჭოს გაერთიანებული ქვეჯგუფების შეხვედრა გაიმართა. ***(განცხადება)***
- 31/03/2015 - პრეზიდენტმა 34 არასამთავრობო ორგანიზაციას, 3.372,101,9 ლარი გამოუყო. ***(ბრიფინგი)***

აპრილი

- 01/04/2015- გიორგი ჩითარიშვილის ცემაში მონაწილე სამგორის მუნიციპალიტეტში საქმიანობს. ***(ბრიფინგი)***
- 02/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სამედიცინო პროდუქტზე ქართულენოვანი ანოტაციის ინიციატივაზე ისმჯელეს. ***(განცხადება)***
- 03/04/2015 - გიორგი ჩითარიშვილმა მთავარ პროკურატურას საჩივრით მიმართა. ***(განცხადება)***

- 04/04/2015 - გიორგი პაპუაშვილმა სადავო ქონება, ფიქტიური ხელშეკრულებით, ოჯახის ახლობელს მიჰყიდა. ***(ბრიფინგი)***
- 05/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ტელეკომპანია „იმედის“ მესაკუთრე პატარკაციშვილების ოჯახს მიმართავს. ***(განცხადება)***
- 06/04/2015 - პარლამენტმა გიორგი პაპუაშვილის იმპიჩმენტის საკითხი უნდა განიხილოს. ***(განცხადება)***
- 06/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადება „ბათუმელებში“ გამოქვეყნებულ სტატიაზე. ***(განცხადება)***
- 07/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქობულეთის საკრებულოს საქმიანობას გაეცნენ. ***(განცხადება)***
- 09/04/2015 - ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს. ***(განცხადება)***
- 14/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებას მიმართავს, დაესწროს არასრულწლოვანის სასამართლო პროცესს. ***(განცხადება)***
- 16/04/2015 - ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ "BBC NEWS”-ის რადიოს შეკითხვებს უპასუხა. ***(განცხადება)***
- 16/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მოსამართლის მიდგომას ბავშვის საუკეთესო ინტერესების დარღვევად აფასებს. ***(განცხადება)***
- 17/04/2015 - “ახალგაზრდა ადვოკატები“ წარმატებული ადვოკატირების კამპანიის შესახებ სემინარს დაესწრო. ***(განცხადება)***
- 17/04/2015 - შსს-მ 12 ე.წ. „კანონიერი ქურდის“ საქმეზე, ეფექტური საგამოძიებო მოქმედებების უნდა გაატაროს. ***(ბრიფინგი)***
- 20/04/2015 - ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სპეციალიზირებული მოსამართლეები უნდა დაინიშნოს. ***(ბრიფინგი)***
- 22/04/2015 - თბილისიის მერია „C.T.PARK“-თან კაბალური ხელშეკრულების გადახედვას არ ახდენს. ***(ბრიფინგი)***
- 23/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მიგრანტების სარეინტეგრაციო დახმარების პროგრამის საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა. ***(განცხადება)***
- 24/04/2015 - არჩილ კაიკაციშვილმა სადისკუსიო კლუბში მართლმსაჯულების საკითხებზე ისაუბრა. ***(განცხადება)***
- 24/04/2015 -„ახალგაზრდა ადვოკატები“ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ სამუშაო შეხვედრას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 24/04/2015 - პოლიტიკოსებმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმების ნაცვლად, მაჟორიტარების შესახებ ახალ კანონზე უნდა იფიქრონ. ***(ბრიფინგი)***
- 28/04/2015 - 30 აპრილს „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“ ალიანსი დაფუძნდება. ***(განცხადება)***
- 28/04/2015 - 2004-2012 წლებში, მოქალაქეებმა სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ, 5634 ქონება დათმო. ***(ბრიფინგი)***

- 30/04/2015 - არასამთავრობოთა ალიანსმა მთავრობას, პარლამენტს და სასამართლოს რეკომენდაციით მიმართა. *(განცხადება)*
- 30/04/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭოს წევრი გახდა. *(განცხადება)*

მაისი

- 01/05/2015 - არღვევს თუ არა თინათინ ხიდაშელის მინისტრად წარდგენა კანონს. *(განცხადება)*
- 05/05/2015 - კონკურენციის სააგენტომ შეისწავლოს ბაზარზე მონოპოლისტი ინტერნეტ კომპანიების საქმიანობა. *(ბრიფინგი)*
- 07/05/2015 - პროკურატურამ დიმიტრი შაშკინის მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დასვას. *(ბრიფინგი)*
- 09/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ „PEACE CORPS“-ის პროექტში ჩაერთო. *(განცხადება)*
- 5.09/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს ესტუმრნენ. *(განცხადება)*
- 10/05/2015 - პარლამენტმა კონსტანტინე კუბლაშვილის მმართველობის შეფასებაზე საგამოძიებო კომისია უნდა შექმნას. *(ბრიფინგი)*
- 12/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ფიზიკური პირების მიერ უნებართვო მშენებლობების ლეგალიზაციას მოითხოვს. *(ბრიფინგი)*
- 14/05/2015 - „პანორამა - თბილისის“ იურიდიული სიკეთეების შესახებ საზოგადოებასთან დიალოგი უნდა დაიწყოს. *(ბრიფინგი)*
- 18/05/2015 - საქართველოს ძალისხმევა, ძებნილ პირთა ექსტრადიციის საკითხზე, პოზიტიურად უნდა შეფასდეს. *(ბრიფინგი)*
- 19/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „მიგრანტთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის“ პროექტის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. *(განცხადება)*
- 19/05/2015- საერთო სასამართლოების სისტემაში, ხუთი მოსამართლე, საქმიანობას 10-წლიანი ვადის გასვლის მიუხედავადაც აგრძელებს. *(ბრიფინგი)*
- 21/05/2015 - კონკურენიის სააგენტო ინტერნეტ-კომპანიების საქმიანობის შესწავლას მარეგულირებელი კომისიისგან მოითხოვს. *(განცხადება)*
- 22/05/2015 - შესაძლებელია “C.T.PARK“-თან სხვა „ჩრდილოვანი ხელშეკრულებები“ არსებობდეს. *(ბრიფინგი)*
- 25/05/2015 - საქართველომ დეკემბერში უვიზო მიმოსვლის ნებართვისთვის, ძალისხმევა უნდა გააძლიეროს. *(ბრიფინგი)*
- 25/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ზღვის უბნის კორპუსის მცხოვრებლების საკითხს გაეცნო. *(განცხადება)*
- 16. 25/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გიორგი ქადაგიძეს 4 ბანკის გაკოტრების საქმე შეახსენეს. *(განცხადება)*

- 27/05/2015 - სასამართლოს გარეშე, გამოსახლებების აკრძალვა, ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხსს ამაღლებს. ***(ბრიფინგი)***
- 29/05/2015 - ინსტიტუციურ რეფორმებს პროკურატურასა და შსს-ში, ქვეყანა დემოკრატიის ახალ სტანდარტებზე გადაყავს. ***(ბრიფინგი)***
- 29/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მიგრანტების სარეინტეგრაციო პროგრამაში მობილური ცენტრების გამოცდილებას გაეცნო. ***(განცხადება)***
- 31/05/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მურმან დუმბაძის ხელფასის საბანკო ანგარიშზე ყადაღას მოითხოვს. ***(ბრიფინგი)***

ივნისი

- 01/06/2015 - სასამართლო არასრუწლოვან გიორგი კახურაშვილის საქმეზე პრეცედენტის შექმნით სათანადო ინტერესს არ იჩენს. ***(ბრიფინგი)***
- 01/06/2015 „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ბავშვების ნახატები შეიძინეს. ***(განცხადება)***
- 01/06/2015 - “ახალგაზრდა ადვოკატების“ პარტნიორობით, ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ***(განცხადება)***
- 03/06/2015-არჩილ კაიკაციშვილმა სამართლიანობის აღდგენის საკითხებზე ისაუბრა. ***(განცხადება)***
- 04/06/2015- რჩება შთაბეჭდილება, რომ „ინტელექტბანკის“ გაკოტრების საქმე მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმებული იყო. ***(ბრიფინგი)***
- 04/06/2015- „ახალგაზრდა ადვოკატები” სასამართლოს არასრუწლოვან გიორგი კახურაშვილის ინტერესების დაცვისთვის, მადლობას უხდის. ***(განცხადება)***
- 04/06/2015 - ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საკონსულტაციო საბჭოს დებულებაში ცვლილებებზე იმსჯელა. ***(განცხადება)***
- 05/06/2015- „ახალგაზრდა ადვოკატები“ ახალციხესა და მარნეულში „ეთნიკური უმცირესობების ფორუმს“ ჩაატარებს. ***(ბრიფინგი)***
- 05/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდს „Peace Corps“-ის მოხალისე, დევიდ მაიო შეურთდა. ***(განცხადება)***
- 08/06/2015 - საკონსტიტუციო სასამართლომ „მოსმენების შესახებ“ კანონის განხილვა ეროვნულ ინტერესებს უნდა მიუსადაგოს. ***(ბრიფინგი)***
- 09/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ბავშვთა უფლებების დაცვის კვირეულში ჩაერთო. ***(განცხადება)***
- 11/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პარლამენტარების სხდომების გაცდენის საკითხის განხილვაში ჩაერთო. ***(განცხადება)***
- 12/06/2015 - მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქების შემოღებასა და საარჩევნო რეფორმაზე საზოგადოებასთან დისკუსიაა საჭირო. ***(ბრიფინგი)***
- 13/06/2015 - არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტარებს ე.წ. „გაცდენების შესახებ“ საკანონმდებლო წინადადების მხარდაჭერისკენ მოუწოდებენ. ***(განცხადება)***

- 15/06/2015 - მიმართვა მოქალაქეებს, რომლებსაც დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების სურვილი აქვთ. *(განცხადება)*
- 15/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ და „საქართველოს ახალგაზრდულმა პარლამენტმა“ ევროპარალმენტს მიმართეს. *(განცხადება)*
- 16/06/2015 - ე.წ. „კაბელების საქმეზე“ მოსამართლე დავით ჯუღელის გადაწყვეტილება პოლიტიკური ერთგულების ნიშნებს ატარებს. *(განცხადება)*
- 18/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქველმოქმედო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა. *(განცხადება)*
- 18/06/2015 - არჩილ კაიკაციშვილმა უზენაესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს მუშაობაში მიიღო მონაწილეობა. *(განცხადება)*
- 18/06/2015 - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ ინტერნეტ-კომპანიების საქმიანობის შესწავლაზე უარი თქვა. *(განცხადება)*
- 18/06/2015 - რა უჯდება უკრაინის მთავრობას ქართველი მაღალჩინოსნების შენახვა?! *(განცხადება)*
- 19/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მართლმსაჯულების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო. *(განცხადება)*
- 19/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მოსამართლე მაია სულხანიშვილის მიმართ დისციპლინარული საჩივარი შეიტანეს. *(განცხადება)*
- 22/06/2015 - უცხოური კომპანიების უმეტესობა ფრენშაიზინგის ხელშეკრულებების არსებობაზე ინფორმაციას არ გასცემს. *(ბრიფინგი)*
- 23/06/20151 - ,,ახალგაზრდა ადვოკატები" - პარლამენტარ გიგა ბუკიას განცხადება სიცრუე არ არის. *(განცხადება)*
- 24/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ახალციხის უნივერსიტეტში იმიტირებულ სასამართლოს დაესწრნენ. *(განცხადება)*
- 24/06/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ახალციხეში „ეთნიკური უმცირესობების ფორუმი“ გამართეს. *(განცხადება)*
- 29/06/2015 - გიგი უგულავას საქმეზე, „რუსთავი 2“-მა სოციალური რეკლამა კანონის დარღვევით განათავსა. *(ბრიფინგი)*
- 30/06/2015 - ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ ვახტან აბაშიძეს მიმართავს, გააკონტროლოს სამსახურის პრეს-მდივნის ქმედებები. *(განცხადება)*

ივლისი

- 01/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, პარლამენტს მიმართა. *(ბრიფინგი)*
- 02/07/2015 - “საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება“ პროგრამის პრეზენტაცია. *(განცხადება)*
- 03/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქსტატის მიმდინარე საქმიანობას გაეცნო. *(განცხადება)*

- 07/07/2015 - ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა საკონსულტაციო საბჭოს ახალი დებულება მიიღო. ***(განცხადება)***
- 08/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრს უჩივლეს. ***(ბრიფინგი)***
- 10/07/2015 - ორგანიზაციები ე.წ. „გაცდენების შესახებ“ კანონპროექტის ალტერნატიული ვერსიის განხილვას მოითხოვს. ***(ბრიფინგი)***
- 10/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ილიაუნის დასაქმების ფორუმში მონაწილეობა მიიღო. ***(განცხადება)***
- 10/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შსს და პროკურატურის რეფორმის განხილვას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 14/07/2015 - „პოზიცია“, „ახალგაზრდა ადვოკატები“ და „აფბა“ სამოქალაქო მოძრაობას: „ბანკები ჩვენ გვეხება“ იწყებენ. ***(განცხადება)***
- 14/07/2015 - იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი „ეთნიკური უმცირესობების ფორუმს“ დაესწრება. ***(განცხადება)***
- 14/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მარნეულის „ეთნიკური უმცირესობების ფორუმზე“ ევროიტეგრაციის პროცესი შეაჯამეს. ***(განცხადება)***
- 17/07/2015 - არასამთავრობო ორგანიზაციებმა ანდრო ბარნოვის მხრიდან ქართული პოლიციის შეურაცხყოფის ფაქტი დაგმეს. ***(ბრიფინგი)***
- 18/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ წიგნები ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკას გადაეცემა. ***(განცხადება)***
- 21/07/2015 - პროკურატურასა და უსაფრთხოების სამსახურებში, საზოგადოებრივი კონტროლის უფრო მეტი მექანიზმია. ***(ბრიფინგი)***
- 21/07/2015 - ცსკო-მ „ახალგაზრდა ადვოკატების“ საჩივარზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო. ***(განცხადება)***
- 24/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სამეცნიერო ჟურნალის მესამე ნომერი გამოსცა. ***(განცხადება)***
- 24/07/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ევროპის საბჭოს კამპანიაში: „არა სიძულვილის ენას“ ჩაერთო. ***(განცხადება)***
- 27/07/2015 - ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე ცვლილებები მხოლოდ დადებითად შეიძლება შეფასდეს. ***(განცხადება)***
- 28/07/2015 - პრეზიდენტთან არსებული შეწყალების კომისია ე.წ. „თეთრსაყელოიანთა დანაშაულის“ სასარგებლოდ მოქმედებს. ***(ბრიფინგი)***
- 29/07/2015 - ორგანიზაცია სააპელაციო სასამართლოს არასრუწლოვან გიორგი კახურაშვილის საქმეზე განხილვის ვადების დაცვას სთხოვს. ***(განხადება)***
- 31/07/2015- ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ – სახელმწიფოს რეგულაციები კომპენსირების /აკადემიური სტიპენდიის მიმღებთა ახალი წრისთვის სამართლიანი ნაბიჯია. ***(ბრიფინგი)***

აგვისტო

- 02/08/2015 - რამაზ ახლედიანისთვის ლისის ტბის წართმევის საქმე წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულის მკაფიო მაგალითია. ***(ბრიფინგი)***
- 03/08/2015 - უკრაინის ხელისუფლებაში ქართველი მოხელეების დაბალი ხელფასები კორუფციულ გარიგებების რისკებს ქმნის. ***(ბრიფინგი)***
- 04/08/2015 - ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის საკითხებზე დისკუსია გაიმართა. ***(განცხადება)***
- 06/08/2015 - საზოგადოებრივ მაუწყებელზე სახელფასო პოლიტიკა უთანასწორო, სამივლინებო ხარჯები კი - კოლოსარულია. ***(ბრიფინგი)***
- 06/08/2015 - ,,ახალგაზრდა ადვოკატები" საზოგადოებრივი მაუწყებლის განცხადებას ეხმაურება. ***(განცხადება)***
- 06/08/2015 - ,ახალგაზრდა ადვოკატები" მინისტრთან სამოქალაქო ორგანიზაციების შეხვედრას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 07/08/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა" „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" პროგრამის ფარგლებში, ანგარიში წარმოადგინა. ***(განცხადება)***
- 07/08/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების" ორგანიზებით, მიგრაციის საკითხებზე, ქვემო ქართლში, ტრენინგი ჩატარდა. ***(განცხადება)***
- 08/08/2015 - ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა" 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს პატივი მიაგეს. ***(განცხადება)***
- 12/08/2015 - ცსკო-ს გადაწყვეტილებას, შექმნილი პრეცედენტის გამო, არ ვასაჩივრებთ, მაგრამ ვიწყებთ პროცესს. ***(განცხადება)***
- 14/08/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა" მედიის წარმომადგენლებს ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე სამართლებრივი მექანიზმის პრობლემური მხარეები გააცნეს. ***(განცხადება)***
- 20/08/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა" სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმაში გასაწევრიანებლად განაცხადი გააკეთა. ***(განცხადება)***
- 24/08/2015 - უვადო მსჯავრდებულთა საქმეების გადახედვა გივი დუმბაძის შემთხვევაზე პრეცედენტის შექმნით უნდა დაიწყოს. ***(ბრიფინგი)***
- 26/08/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები" აჭარაში „დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამის" პრეზენტაციას გამართავს. ***(განცხადება)***
- 27/08/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები" ხანდაზმულ სესხთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ დისკუსიას ეხმაურება. ***(განცხადება)***
- 27/08/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა" აჭარაში „დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამის" პრეზენტაცია გამართეს. ***(განცხადება)***

სექტემბერი

- 02/09/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ განაცხადი სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმაში მონაწილეობისთვის, არ დაკმაყოფილდა. ***(განცხადება)***
- 11/09/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ - ე.წ. საპოლიციო გამოსახლების ინსტიტუტი უნდა გაუქმდეს. ***(ბრიფინგი)***
- 14/09/2015 - პარლამენტი 15 სექტემბერს „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადებას განიხილავს. ***(განცხადება)***
- 15/09/2015 - პარლამენტმა „ახალგაზრდა ადვოკატების“ საკანონმდებლო წინადადებაზე მუშაობის გაგრძელებას დაუჭირა მხარი. ***(განცხადება)***
- 17/09/2015 - პაპუაშვილი პოლიტიკურ დავალებას მერაბ ტურავას სასამართლოდან წასვლის გადაწყვეტილებით გააფორმებს. ***(ბრიფინგი)***
- 18/09/2015 - უმჯობესია, გიორგი პაპუაშვილმა განმარტებები მის მიმართ პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებაზე გააკეთოს. ***(განცხადება)***
- 20/09/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ ჩართულობით, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძე ხვალ პირველ განცხადებას გაავრცელებს. ***(განცხადება)***
- 21/09/2015 - როლანდ ბლადაძის ოჯახის განცხადება გიორგი პაპუაშვილთან სადაო ქონებასთან დაკავშირებით. ***(განცხადება)***
- 21/09/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საკანონმდებლო ინიციატივებს გაეცნო. ***(განცხადება)***
- 21/09/2015 - სამეცნიერო ჟურნალისთვის საკონკურსო სტატიების მიღება დაიწყო. ***(განცხადება)***
- 22/09/2015 - ევროპული ინსტიტუტები:„როდესაც რესტიტუცია შესაძლებელია, ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ“. ***(განცხადება)***
- 24/09/2015 - როლანდ ბლადაძის ოჯახი ემიჯნება სადაო ქონებასთან დამოუკიდებელი პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს. ***(განცხადება)***
- 24/09/2015 - არჩილ კაიკაციშვილი სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მესამე სექტორის ჩართულობაზე ისაუბრებს. ***(განცხადება)***
- 24/09/2015 - პარლამენტი ე.წ. „გაცდენების შესახებ“ კანონპროექტის ალტერნატიული ვერსიის განხილვას იწყებს. ***(განცხადება)***
- 25/09/2015 - საჭიროა, ჩვენი მონიტორინგი დავაფუძნოთ იმ სტანდარტების აღქმას, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულება გვთავაზობს. ***(განცხადება)***
- 25/09/2015 - პარლამენტი ე.წ. „გაცდენების შესახებ“ არასამთავრობოების პროექტიდან მიდგომების გაზიარებას აპირებს. ***(განცხადება)***
- 27/09/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები” არასრუწლოვანის საქმეზე განმარტებას აკეთებს. ***(განცხადება)***
- 28/09/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ გიორგი პაპუაშვილთან სადაო ქონებასთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართეს. ***(ბრიფინგი)***
- 30/09/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ იურისტის პოზიციაზე სტაჟირების პროგრამას აცხადებს. ***(განცხადება)***

- 30/09/2015 - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მსოფლიოში ყველაზე ძვირი მართლმსაჯულების ორგანოა. ***(ბრიფინგი)***

ოქტომბერი

- 02/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 13 ივნისის სტიქიით დაზარალებული ქალების ადვოკატირების პროექტი დაიწყო. ***(ბრიფინგი)***
- 04/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ წინადადებაზე, პარლამენტი პროკურატურას მიმართავს. ***(განცხადება)***
- 05/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ე.წ. „ნარუშილოვკების“ გამოყენებაზე ბიძინა ივანიშვილის განცხადებას ეხმაურება. ***(ბრიფინგი)***
- 06/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ აშშ-ის ელჩს, იან კელის გიორგი პაპუაშვილთან სადაო ქონებაზე ინფორმაცია მიაწოდეს. ***(განცხადება)***
- 06/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის ძირითად მიმართულებებს გაეცნო. ***(განცხადება)***
- 07/10/2015 - მთავრობამ 2004-2012 წლებში, ლობისტიურ საქმიანობაზე, 10 მლნ დოლარზე მეტი დახარჯა, 2013-2015 წლებში კი - 4 მლნ ლარი. ***(ბრიფინგი)***
- 07/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მიწის კოდექსის შექმნის წინადადებას მიესალმებიან. ***(განცხადება)***
- 09/10/2015 - მიმართვა ვენეციის კომისიას საკონსტიტუციო სასამართლოს მოქმედებების შეფასებაზე. ***(ბრიფინგი)***
- 09/10/2015 - პარლამენტში სისხლის სამართლის მართლმსჯულებაზე მომუშავე ორგანიზაციებთან შეხვედრა გაიმართა. ***(განცხადება)***
- 15/10/2015 - „ახალაზრდა ადვოკატები“, ლისის ტბის გასხვისების საქმესთან დაკავშირებით, სკანდალურ დოკუმენტს აქვეყნებს. ***(განცხადება)***
- 16/10/2015 - საკონსტიტუციო სასამართლო მარტვილსა და საგარეჯოში შუალედური საპარლამენტო არჩევნების გაუქმებისთვის ემზადება. ***(ბრიფინგი)***
- 16/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეხვედრას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 19/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ „სისტემური დანაშაულის“ საკანონმდებლო დონეზე რეგულაციებს მოითხოვს. ***(ბრიფინგი)***
- 19/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები” „ამნისტიის შესახებ“ კანონში შესატან ცვლილებებში ჩაერთვება. ***(განცხადება)***
- 21/10/2015 - მიმართვა პრეზიდენტს პოლიტიკური ნიშნით, უვადო პატიმრობაში მყოფი გივი დუმბაძის შეწყალებისთვის. ***(ბრიფინგი)***
- 23/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჰოლანდიელი ტრენერის ლექციას დაესწრო. ***(განცახადება)***
- 24/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ვაკისა და საბურთალოს გამგეობებთან შეხვედრები გამართა. ***(განცხადება)***

- 24/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ევროსასამართლოში საქართველოდან საქმეების მიმართვიანობის შესახებ მონიტორინგის პრეზენტაციას დაესწრო. *(განცხადება)*
- 25/10/2015 - არასამთავრობოები პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტის თავმჯდომარესა და დიპლომატიურ კორპუსს მიმართავენ. *(განცხადება)*
- 25/10/2015 - არასამთავრობოები საზოგადოებრივ მაუწყებელს მიმართავს, გახსნას სივრცე „რუსთავი 2“-ის საქმეზე. *(განცხადება)*
- 28/10/2015 - პრეზიდენტი სამოქალაქო ორგანიზაციების მიმართვას გამოეხმაურა და შეხვედრას დათანხმდა. *(განცხადება)*
- 30/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ - ჩვენ მოვისმინეთ დანაშაულის ჩადენის გეგმა, ნიკა გვარამია უნდა გადადგეს. *(განცხადება)*
- 30/10/2015 - პრეზიდენტს გიორგი პაპუაშვილის ქონებაჩამორთმეულის სახლში ცხოვრებაზე ინფორმაცია მიეწოდა. *(განცხადება)*
- 30/10/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომას დაესწრო. *(განცხადება)*
- 30/10/2015 - არჩილ კაიკაციშვილი - ჩვენ ვუთხარით პრეზიდენტს, რომ სასამართლოს მიმართ განცხადება, შეცდომა იყო. *(განცხადება)*

ნოემბერი

- 03/11/2015 - ილიას უნივერსიტეტში, ჩვენ ვნახეთ პროვოკაცია „შარლი ებდოს“ ქართული ვარიანტით. *(ბრიფინგი)*
- 03/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ბავშვთა უფლებების დაცვის სამუშაო ჯგუფის სხდომას დაესწრო. *(განცხადება)*
- 05/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ სარეინტეგრაციო საკითხებზე თემატური ჯგუფის შეხვედრას დაესწრო. *(განცხადება)*
- 05/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ეთნოკონფლიქტების შესახებ ახალი წინგის პრეზენტაციას დაესწრო. *(განცხადება)*
- 05/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდის სხდომიდან გაძევებით, ცესკო-მ საჯაროობის წინააღმდეგ ნაბიჯი გადადგა. *(განცხადება)*
- 06/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ცესკო-სა და სწავლების ცენტრის წინააღმდეგ, სასამართლოში სარჩელი შეიტანეს. *(განცხადება)*
- 07/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქართველ ადვოკატებს პროფესიულ დღეს ულოცავს. *(განცხადება)*
- 09/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ პროკურატურას მიმართავს, ადვოკატ გიორგი მდინარაძის ცემის ფაქტზე გამოძიება დააჩქაროს. *(განცხადება)*
- 09/11/2015 - სასამართლოს 5 ნოემბრის განჩინება „რუსთავი 2“-ის ადვოკატების მნიშვნელოვანი შეცდომის შედეგია. *(ბრიფინგი)*

- 10/11/2015 - არასამთავრობოები საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების აცილების საჭიროებაზე საუბრობს. ***(ბრიფინგი)***
- 11/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაზე გარემოს დაცვის სამინისტროში იმსჯელეს. ***(განცხადება)***
- 13/11/2015 - ვაკანსია პროექტში იურისტის პოზიციაზე ქალთა ადვოკატირების საკითხებზე. ***(განცხადება)***
- 16/11/2015 - არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა საფრანგეთის საელჩოსთან სოლიდარობის აქცია გამართა. ***(განცხადება)***
- 16/11/2015 - სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაზე იმსჯელეს. ***(განცხადება)***
- 17/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ კონკურსს: „სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“ აცხადებს. ***(განცხადება)***
- 20/11/2015 - ცუდია, როდესაც პოლიტიკური ოპოზიცია ქვეყნის ოპოზიციის სტატუსში გადადის. ***(ბრიფინგი)***
- 20/11/2015 - „სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“ კონკურსის საინფორმაციო მხარდამჭერი სააგენტო „პირWელი“ იქნება. ***(განცხადება)***
- 25/11/2015 - უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ბიზნეს-გარემოს საქართველოში. ***(ბრიფინგი)***
- 26/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სტაჟირების შრომის სტაჟში ჩათვლის საკანონდებლო წინადადება სტუდენტებს გააცნეს. ***(განცხადება)***
- 30/11/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭოს არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. ***(განცხადება)***

დეკემბერი

- 03/12/2015 - საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დროებითი მმართველის ინსტიტუტის ნორმების შეჩერება დისკრიმინაციულია. ***(ბრიფინგი)***
- 04/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძეს შეხვდნენ. ***(განცხადება)***
- 05/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ რუსთაველის თეატრში მსჯავრდებულთა სპექტაკლს დაესწრო. ***(განცხადება)***
- 07/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები” სასჯელაღსრულების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრი გახდა. ***(განცხადება)***
- 07/12/2015 - ლევან მურუსიძე ქართული საზოგადოების, მოსამართლეთა კორპუსისა და ქვეყნის შეურაცხყოფას ახდენს. ***(ბრიფინგი)***
- 08/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ "აღმოსავლეთ პარტნიორობის უმცირესობათა ქსელის" შემაჯამებელ შეხვედრას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 08/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ უძრავი ქონების ბაზარზე, ახალი სერვისის პრეზენტაციას დაესწრო. ***(განცხადება)***

- 08/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ ევროკავშირის ელჩთან შეხვედრას დაესწრო. (განცხადება)
- 10/12/2015 - ორგანიზაცია საკრებულოს დამისამართებულ ყველა მოქალაქეს უფასო იურიდიულ კონსულტაციას გაუწევს. ***(განცხადება)***
- 11/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“ კონკურსანტები გამოავლინეს. ***(განცხადება)***
- 11/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამთავრობო გეგმის მონიტორინგის დამასრულებელ შეხვედრას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 11/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ STEP-ის პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 12/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები” საკონსულტაციო საბჭოს პირველ სხდომას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 13/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები” - გაოგნებული ვართ, მოსამართლემ სამართლიანი სასამართლოს უფლება აკრძალა. ***(განცხადება)***
- 14/12/2015 - პოლიტიკური ამნისტიის დისკრედიტაცია საარჩევნო კამპანიის ნაწილი ხდება. ***(ბრიფინგი)***
- 14/12/2015 - არჩილ კაიკაციშვილი მამუკა ახვლედიანთან შეხვედრას მოითხოვს. ***(განცხადება)***
- 15/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ კონკურსანტებს შეხვდნენ. ***(განცხადება)***
- 15/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ იურიდიული მომსახურების შესახებ საინფორმაციო სესიას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 16/12/2015 - დაუყოვნებლივი აღსრულების ნორმის შეჩერება საფრთხეა სამართალწარმოებისთვის. ***(ბრიფინგი)***
- 16/12/2015 - მიმართვა თამარ ჟვანიასა და ნათია ზაალიშვილს, რათა სასამართლოს წინაშე უშუალოდ წარსდგნენ. ***(განცხადება)***
- 17/12/2015 - სასამართლომ ცესკოს და სწავლების ცენტრის მიმართ, ოთხივე შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ***(განცხადება)***
- 17/12/2015 - ხვალ რამაზ ახლედიანისთვის ლისის ტბის წართმევის საქმეზე რეზონანსული კვლევა გამოქვეყნდება. ***(განცხადება)***
- 18/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ მიგრანტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ გამოფენას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 18/12/2015 - ლისის ტბის წართმევა სახელმწიფოს პირველი პირების და ბიზნეს-პარტნიორების შეთანხმებებით მოხდა. ***(განცხადება)***
- 20/12/2015 - „ახალგაზრდა ადვოკატები“ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე გამართულ კონფერენციას დაესწრო. ***(განცხადება)***
- 22/12/2015 - VLAP-ის შესრულება საქართველოს მთავრობის საქმიანობის შედეგია. ***(განცხადება)***
- 23/12/2015 - არჩილ კაიკაციშვილი: ეს არის ღირსების დაბრუნებისთვის ბრძოლა, რომელმაც როლანდ ბლადაძის 12-წლიანი ემიგრაცია უნდა დაასრულოს. ***(ბრიფინგი)***

- 23/12/2015 – „ახალგაზრდა ადვოკატები“ - გიორგი პაპუაშვილთან ერთად, დავის მხარეები ეკონომიკისა და იუსტიციის სამინისტროები იქნება. ***(ბრიფინგი)***
- 25/12/2015 - პროექტ: ,,სტიქიით დაზარალებულ ქალთა ადვოკატირება" საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია გამოქვეყნდა. ***(განცხადება)***
- 29/12/2015 - ,,სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“ მონაწილეები დაჯილდოვდნენ. ***(განცხადება)***
- 29/12/2015 - ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2015 წლის საქმიანობა შეაჯამეს. ***(განცხადება)***


ორგანიზაციის საქმისწარმოება
700
600
500
400
300
200
100
0
641
307
ორგანიზაციის გასული წერილები
შემოსული კორესპონდენცია



ორგანიზაციაში შემოსული კორესპონდენცია


ორგანიზაციის საერთო საქმიანობის მაჩვენებელი
180
160
140
120
100
80
60
40
20
0
80
177
ჩატარებული პრესკონფერენცია
გავრცელებული განცხადება


ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქება მედიაში
ბეჭდურ მედიაში, 151
ტელევიზიაში, 141
ელექტრონულ მედიაში, 771
რადიოში, 56


სამართალწარმოების პროცესი - 2015
მიმდინარე საქმეები , 14
მოგებული საქმეები , 7
დასრულებული საქმეები , 7
უფასო იურიდიული კონსულტაცია, 635

✔ ორგანიზაციის სადამკვირვებლო უფლებამოსილება 2015 წელს

1. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო შესყიდვების დავების საბჭოს ახალი წევრის არჩევაში. ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატი გახდა დავების საბჭოს წევრი (ნოემბერი, 2015).

✔ ორგანიზაციის სამოქალაქო კამპანიები 2015 წელს

1. „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით, სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობით, საქართველოს უზენაესს სასამართლოსთან კონსტანტინე კუბლაშვილის 10-წლიანი მმართველობის შეფასებაზე, საპროტესო აქცია გაიმართა (თებერვალი, 2015);
2. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მონაწილეობა მიიღო საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ ორგანიზებულ სოციალურ აქციაში: „წიგნი - გისოსებს მიღმა“ (მარტი, 2015);
3. „ახალგაზრდა ადვოკატები“ შეუერთდა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ სამოქალაქო კამპანიას (მარტი, 2015);
4. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას და ყვავილებით შეამკეს მემორიალი (აპრილი, 2015);
5. „ახალგაზრდა ადვოკატები“ 9 მაისს, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანს ესტუმრნენ და ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავი და დაბადების დღე, ერთად მიულოცეს (მაისი, 2015);
6. ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან პარიზის ტერაქტების გამო, სოლიდარობის აქცია გამართეს (ნოემბერი, 2015).

✔ ორგანიზაციის კონფერენციები, მრგვალი მაგიდა, პრეზენტაციები 2015 წელს

1. „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაესწრო საქართველოს პარლამენტში საქართველოს შრომის კოდექსში დაგეგმილი ცვლილებების სამუშაო ჯგუფის სხდომებს (იანვარი, 2015);
2. „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაესწრო ა/ო „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია- აფბას“ და კომპანია „ბილაინის“ ერთობლივი პროექტის პრეზენტაციას (იანვარი, 2015);
3. ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭოს წევრი, მარიკა არევაძე თურქეთში მიმდინარე განათლებისა და სოციალური მეცნიერებების შესახებ მეორე საერთაშორისო კონფერენციას დაეწრო და ორგანიზაციის სახელით, წარადგინა თემა: „საკუთრების უფლება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ (თებერვალი, 2015);

4. „ახალგაზრდა ადვოკატების“ იურისტების მონაწილეობით, დაფუძნდა ახალი იურიდიული ბრენდი „კაიკაციშვილი და ადვოკატები“ (თებერვალი, 2015);
5. „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2014 წლის საქმიანობის ანგარიშისა და 2015 წლის სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას დაეწრო (მარტი, 2015);
6. „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომას დაესწრო (მარტი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი, 2015);
7. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქ. თბილისის საკრებულოს იურისდიულ საკითხთა კომისიაში შეხვედრას დაესწრო, სადაც სამედიცინო პროდუქტზე ქართულენოვანი ანოტაციის ინიციატივაზე ისმჯელეს (აპრილი, 2015);
8. „ახალგაზრდა ადვოკატები“ წარმატებული ადვოკატირების კამპანიის შესახებ გამართულ სემინარს დაესწრო (აპრილი, 2015);
9. „ახალგაზრდა ადვოკატები“ „სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ სადისკუსიო კლუბში გამართულ შეხვედრას დაესწრო, სადაც სასამართლო ხელისუფლების წინაშე არსებულ გამოწვევებსა და მიდგომებზე ისაუბრეს (აპრილი, 2015);
10. „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ორგანიზებულ სადისკუსიო შეხვედრას დაესწრო, სადაც მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებზე ისაუბრეს (აპრილი, 2015);
11. „ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივით, არასამთავრობო ორგანიზაციათა ალიანსი: „ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“ დაფუძნდა (აპრილი, 2015);
12. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ნაძალადევის მუნიციპალიტეტის გამგეობაში არასამთავრობო ორგანიზაციებთან შეხვედრას დაესწრო (მაისი, 2015);
13. „ახალგაზრდა ადვოკატები“ პარლამენტის წევრების პლენარულ სხდომებსა და საკომიტეტო მოსმენების საპატიო მიზეზით გაცდენის საკითხის განხილვაში ჩაერთო (ივნისი, 2015);
14. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაში მიიღო მონაწილეობა (ივნისი, სექტემბერი 2015);
15. „ახალგაზრდა ადვოკატები“ მართლმსაჯულების საკითხებზე საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო (ივნისი, 2015);
16. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ახალციხის უნივერსიტეტში იმიტირებულ სასამართლოს სხდომებს დაესწრო (ივნისი, 2015);
17. „ახალგაზრდა ადვოკატები“ „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო (ივლისი, 2015);
18. „ახალგაზრდა ადვოკატები“ არასამთავრობო ორგანიზაციათა შეხვედრაზე, საქსტატის მიმდინარე საქმიანობას გაეცნო (ივლისი, 2015);

19. ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ილიაუნის დასაქმების ფორუმში მიიღეს მონაწილეობა (ივლისი, 2015);
20. ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შსს და პროკურატურის რეფორმის შესახებ გამართულ დისკუსიას დაესწრო (ივლისი, 2015);
21. ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მარნეულის მუნიციპალიტეტში „ეთნიკური უმცირესობების ფორუმი“ გამართეს (ივლისი, 2015);
22. „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის - აფბას“ ერთობლივი ინიციატივით, საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესრულების მიმდინარეობასა და არსებულ გამოწვევებზე, მრგვალი მაგიდა გაიმართა (აგვისტო, 2015);
23. ,,ახალგაზრდა ადვოკატებისა“ ორგანიზებითა და მხარდაჭერით, მარნეულის იუსტიციის სახლში, ქვემო ქართლის ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლებისათვის, მიგრაციის საკითხებზე ერთდღიანი ტრენინგი ჩატარდა (აგვისტო, 2015);
24. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების" პროგრამის ფარგლებში, ანგარიში წარმოადგინეს (აგვისტო, 2015);
25. ,,ახალგაზრდა ადვოკატების“ ორგანიზებით, გაიმართა მრგვალი მაგიდა, თემაზე: „სამართლიანობის აღდგენის საკანონმდებლო ხარვეზები“ (აგვისტო, 2015);
26. „ახალგაზრდა ადვოკატები“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ პერსონალურ მონაცემთა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის დახვეწისა და ევროპულ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით შემუშავებულ საკანონმდებლო წინადადებების პროექტის განხილვას დაესწრო (სექტემბერი, 2015);
27. ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ორგანიზიებით, ადამიანის უფლებების დაცვის 2014-2015 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულებაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ პროექტის პრეზენტაციას დაესწრო (სექტემბერი, 2015);
28. „ახალგაზრდა ადვოკატები“ კონფერენციას: „სახელმწიფო - მიწა - ფერმერი“ დაესწრო (ოქტომბერი, 2015);
29. „ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიწვევით, საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებთან დაკავშირებით, სამოქალაქო ორგანიზაციების შეხვედრას დაესწრო (ოქტომბერი, 2015);
30. „ახალგაზრდა ადვოკატები“, თემაზე: „დისკრიმინაციის ნიშნები უვადო მსჯავრდებულთა მიმართ და მის აღმოსაფხვრელად საკანონმდებლო ცვლილებების აუცილებლობა ამნისტიის კანონში“, გამართულ კონფერენციას დაესწრო (ოქტომბერი, 2015);

31. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ცნობილი ჰოლანდიელი ტრენერის, კლარენს ვან დერ პუტის ლექციას, თემაზე: ,,პიარის გავლენა ლიდერებისთვის“ (PR Influence for Young Leaders) დაესწრო (ოქტომბერი, 2015);
32. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ევროსასამართლოში საქართველოდან საქმეების მიმართვიანობის შესახებ ა/ო ,,სამოქალაქო ჩართულობის ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ მონიტორინგის პრეზენტაციას დაესწრო (ოქტომბერი, 2015);
33. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ორგანიზაციების, სამართლის სპეციალისტების, მედია-სფეროს ექსპერტებისა და კონსტიტუციონალისტების მონაწილეობით, „რუსთავი 2“-ის საქმესთან დაკავშირებით, სადისკუსიო შეხვედრა გამართა (ოქტომბერი, 2015);
34. ,,ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პრეზიდენტთან არასამტავრობო ორგანიზაციების შეხვედრას დაესწრო (ოქტომბერი, 2015);
35. „ახალგაზრდა ადვოკატები“ სარეინტეგრაციო საკითხებზე თემატური ჯგუფის შეხვედრას დაესწრო (ნოემბერი, 2015);
36. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ეთნოკონფლიქტების შესახებ მომზადებული ახალი წინგის პრეზენტაციას დაესწრო (ნოემბერი, 2015);
37. ,,ახალგაზრდა ადვოკატემა“ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტაჟირების შრომის სტაჟში ჩათვლის საკანონდებლო წინადადების პრეზენტაცია გამართეს (ნოემბერი, 2015);
38. „ახალგაზრდა ადვოკატებმა” საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარეობის შეფასებასთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში, შეხვედრა გამართეს (ნოემბერი, 2015);
39. „ახალგაზრდა ადვოკატები”, საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარეობის შეფასებასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შეხვედრა გამართეს (ნოემბერი, 2015);
40. „ახალგაზრდა ადვოკატები“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიწვევით, რუსთაველის თეატრში გამართულ მსჯავრდებულთა სპექტაკლს დაესწრო (დეკემბერი, 2015);
41. „ახალგაზრდა ადვოკატები“ „აღმოსავლეთ პარტნიორობის უმცირესობათა ქსელის" შემაჯამებელ შეხვედრას დაესწრო. (დეკემბერი, 2015);
42. „ახალგაზრდა ადვოკატები“ უძრავი ქონების ბაზარზე, ახალი კომპანიის პრეზენტაციას დაესწრო. (დეკემბერი, 2015);
43. „ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ევროკავშირის ელჩთან შეხვედრას დაესწრო (დეკემბერი, 2015);
44. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხებზე, სამთავრობო გეგმის მონიტორინგის დამასრულებელ შეხვედრას დაესწრო (დეკემბერი, 2015);

45. „ახალგაზრდა ადვოკატები“ STEP-ის პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო (დეკემბერი, 2015);
46. „ახალგაზრდა ადვოკატები” სასჯელარსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს პირველ სხდომას დაესწრო (დეკემბერი, 2015);
47. „ახალგაზრდა ადვოკატები“ „სტუდენტები საჯარო პოლიტიკაში“ მეორე ეტაპზე გადასულ კონკურსანტებს შეხვდნენ (დეკემბერი, 2015);
48. „ახალგაზრდა ადვოკატები“ იურიდიული მომსახურების შესახებ საინფორმაციო სესიას დაესწრო (დეკემბერი, 2015);
49. „ახალგაზრდა ადვოკატები“ მიგრანტთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ გამოფენას დაესწრო (დეკემბერი, 2015);
50. „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის მიერ წამებასა და არაადამიანურ მოპყრობაზე გამართულ კონფერენციას დაესწრო (დეკემბერი, 2015);
51. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ლისის ტბის ჩამორთმევის ფაქტზე, სადიკუსიო მაგიდას უმასპინძლა (დეკემბერი, 2015);
52. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ პროექტ: ,,სტიქიით დაზარალებულ ქალთა ადვოკატირება" საბოლოო ანგარიშის პრეზენტაცია გამართეს (დეკემბერი, 2015)

✔ ორგანიზაციის ინიციატივები, რეკომენდაციები, წინადადებები 2015 წელს

1. „ახალგაზრდა ადვოკატემა“ „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონში წარდგენილ ცვლილებებთან დაკავშირებით, სარეკომენდაციო წინადადებით, საქართველოს პარლამენტს მიმართა (იანვარი, 2015);
2. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „ნარჩენების მართვის კოდექსში“ არსებული ჯარიმების მიზანშეწონილობის საკითხზე, საქართველოს პარლამენტს მიმართა (იანვარი, 2015);
3. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს პარლამენტში მოამზადეს მოხსენება სტაჟირების სამართლებრივ საკითხზე, საქართველოს შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებთან მიმართებით, ორგანიზაციის საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით (იანვარი, 2015);
4. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართა და აფხაზ და ოს მოსახლეობასთან კომუნიკაციის ახალი შესაძლებლობებთან დაკავშირებით, აფხაზურ და ოსურ ენებზე საჯარო უწყებების ვებ-გვერდების თარგმნის ინიციატივა შესთავაზა (თებერვალი, 2015);
5. ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს საქართელოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კანდიდატურად ნინო გვენეტაძე შესთავაზა (თებერვალი, 2015);

6. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავრობას რეკომენდაციით მიმართა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადაო ქონების გამო, ალტერნატიული უძრავი ქონების წინადადებით მიმართა (მარტი, 2015);
7. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციით მიმართა და „სამართლიანობის აღდგენის“ პროცესის გამო, ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, სპეციალიზირებული მოსამართლეების დანიშვნა მოითხოვა (აპრილი, 2015);
8. ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ რეკომენდაციით მიმართეს მერიას თბილისის მთავრობასა და კომპანია “C.T.PARK“ შორის დადებული ხელშეკრულების გადახედვა მოითხოვეს (აპრილი, 2015);
9. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ არასამთავრობოთა ალიანსის: „ასოცირების ხელმოწერიდან ევროკავშირის წევრობამდე“ სახელით, მთავრობას, პარლამენტს და სასამართლოს სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართა (აპრილი, 2015);
10. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს პარლამენტს რეკომენდაციით მიმართა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის, კონსტანტინე კუბლაშვილის 2005-2015 წლების საქმიანობის შესწავლის მიზნით, საგამოძიებო კომისიის შექმნისკენ მოუწოდა (მაისი, 2015);
11. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს მთავარ პროკურატურას რეკომენდაციით მიმართა და მოითხოვა 2006-2012 წლებში, საქართველოს განათლების სისტემიდან განსხვავებული სამოქალაქო და პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა საქმეებზე სამართლებრივი რეაგირების მოხდენა (მაისი, 2015);
12. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ და „საქართველოს ახალგაზრდულმა პარლამენტმა“ თბილისში, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დატრიალებული ტრაგედიის გამო, ევროპის პარლამენტს დახმარების თხოვნით მიმართეს (ივნისი, 2015);
13. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ქონებაჩამორთმეულთა საქმეებზე, პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით მიმართა (ივლისი, 2015);
14. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სხვა ორგანიზაციებთან ერთად, სამოქალაქო მოძრაობის „ბანკები ჩვენ გვეხება“ დაწყების შესახებ ერთობლივი განცახდება გააკეთეს (ივლისი, 2015);
15. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „რუსთავი - 2“-ის საქმეზე პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტს და დიპლომატიურ კორპუსს სარეკომენდაციო წინადადებებით მიმართა (ოქტომბერი, 2015);
16. ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საზოგადოებრივ მაუწყებელს რეკომენდაციით მიმართა და „რუსთავი 2“-ის საქმეზესთან დაკავშირებით, საჯარო სივრცის გახსნა მოითხოვა (ოქტომბერი, 2015);
17. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ უზენაეს სასამართლოს საბანკო გარანტიების გამოყენებაზე დაშვებული პრაქტიკის გადახედვის რეკომენდაციით მიმართეს. (ნოემბერი, 2015).

✔ ორგანიზაციის საპროექტო საქმიანობა და ურთიერთობა დონორებთან 2015 წელს

1. პროექტი: „სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა“. დონორი: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. (20.000 GEL, მაისი, 2015 - იანვარი, 2016);
2. პროექტი: „ეთნიკური უმცირესობების ფორუმი“. დონორი: „ეთნოსთა შორის თანამშრომლობისა და კონსულტაციების ანალიტიკური ცენტრის - ACICC”. (3000 €, აპრილი - აგვისტო, 2015)
3. პროექტი: „სტიქიით დაზარალებულ ქალთა ადვოკატირება“. დონორი: „ქალთა ფონდი საქართველოში“. (2000 აშშ დოლარი, სექტემბერი - დეკემბერი, 2015)

✔ ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან

1. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩაერთო საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატთან არსებულ სხვადასხვა სამუშო თემატურ ჯგუფში (მარტი, 2015);
2. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის საქმიანობას გაეცნენ (აპრილი, 2015);
3. „ახალგაზრდა ადვოკატებმა” საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარეობის შეფასებასთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტროში შეხვედრები გამართეს (ნოემბერი, 2015);
4. „ახალგაზრდა ადვოკატები“ თბილისის მერის მოადგილე ირაკლი ლექვინაძეს შეხვდნენ (დეკემბერი, 2015).

✔ ორგანიზაციის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები 2015 წელს

1. „ახალგაზრდა ადვოკატებსა“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიას შორის ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა (დეკემბერი, 2015);

✔ ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წარმატებები და თანამონაწილეობა

1. „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდის მონაწილეობით, დაფუძნდა ახალი ბრენდი: „კაიკაციშვილი და ადვოკატები“. ორგანიზაციის სამართალწარმოების პროცესი გადავიდა ახალი იურდიული ფირმის წარმომადგენლობაში (თებერვალი, 2015);
2. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ მიიღეს ახალი წესდება, არჩევითი გახდა ხელმძღვანელის თანამდებობა, შემოღებულ იქნა კაბინეტური მმართველობა (თებერვალი, 2015);
3. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ განაახლა საქმისწარმოებისა და სამართალწარმოების გუნდი (თებერვალი, 2015);
4. „ახალგაზრდა ადვოკატების“ საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ დასახელებული ნინო გვენეტაძე საკასაციო სასამართლოს თავმდჯომარე გახდა (თებერვალი, 2015);
5. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩაერთო მთავრობის ინიციატივით შექმნილ შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების საკითხებზე საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შემსწავლელ სამუშაო ჯგუფში (მარტი, 2015);
6. „ახალგაზრდა ადვოკატების“ მთავარი იურისტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოს წევრი გახდა (აპრილი, 2015);
7. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „მიგრანტთა იურიდიული დახმარების უზრუნველყოფის“ პროექტის ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი (მაისი, 2015);
8. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ თბილისის საქალაქო სასამართლოში არასრუწლოვან გიორგი კ-ს პრეცედენტული დაცვა მოიგო (ივნისი, 2015);
9. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ევროპის საბჭოს კამპანიაში: „არა სიძულვილის ენას“ ჩაერთო (ივლისი, 2015);
10. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სამეცნიერო ჟურნალ „ახალგაზრდა ადვოკატების“ მესამე ნომერი გამოსცა (ივლისი, 2015);
11. „ახალგაზრდა ადვოკატები” სასჯელაღსრულების სამინისტროს საკონსულტაციო საბჭოს წევრი გახდა (დეკემბერი, 2015);
12. „ახალგაზრდა ადვოკატების“ განცხადების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილთან სადავო ქონებას ყადაღა დაადო. (დეკემბერი, 2015).

✔ ორგანიზაციის სამოქალაქო ჩართულობა, საპროტესტო ღონისძიებები 2015 წელს

1. ორგანიზაციამ განახორციელა აქტიური ჩართულობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცესში და გააკეთა მკაფიო საჯარო

განცხადებები პრეზიდენტთან არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრის შინაარსსა და ფაქტზე. საკითხი გახდა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემადგენელი (თებერვალი, 2015);

2. ორგანიზაციამ არასამთავრობო სექტორთან ერთად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წინ გამართა საპროტესტო აქცია, რითიც გააპროტესტა კონსტანტინე კუბლაშვილის 10-წლიანი სასამართლო მმართველობა (თებერვალი, 2015);
3. ორგანიზაციამ საპროტესტო აქცია გამართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წინ და პარლამენტს გიორგი პაპუაშვილის იმპიჩმენტის საკითხის განხილვისაკენ მოუწოდა (აპრილი, 2015);
4. „ახალგაზრდა ადვოკატები“ ბავშვთა უფლებების დაცვის კვირეულში ჩაერთო (ივნისი, 2015);
5. „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სამოქალაქო მოძრაობის: „ბანკები ჩვენ გვეხება“ დაწყების შესახებ განცხადება გააკეთეს (ივლისი, 2015);
6. „ახალგაზრდა ადვოკატების“ წიგნები თბილისში, 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაღუპული ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკას გადაეცა (ივლისი, 2015);
7. ,,ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულ ჯარისკაცებს პატივი მიაგეს (აგვისტო, 2015).

„ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი მოქალაქეების სამართლებრივი დახმარების პროცესში

✔ „ახალგაზრდა ადვოკატები“ სამართლებრივი დახმარების პროცესში

<u>იანვარი</u>

1.*სახელშეკრულებო სასამართალი* - კ.წ. ს განემარტა მერყევად ბათილი გარიგების შესახებ, არასრულწლოვანი პირის მიერ დადებული გარიგების ნამდილობაზე, მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ გარიგების მოწონების შესახებ. ასევე ორგანიზაციის მიერ მომზადდა წერილი მოწინააღმდეგე მხარის მიმართ.
2.*სახელშეკრულებო სამართალი* - ე.ზ.ს განემარტა მასა და მის ადვოკატს შორის დადებული იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების მიხედვით რა მოთხოვნები გააჩნდა მისი ადვოკატის მიმართ, ზინაის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ, ასევე განემარტა, რომ მას შეეძლო ადვოკატთა ეთიკის კომისიაში განცხადების შეტანა მისი ადვოკატის წინააღმდეგ.
3.*ადმინისტრაციული სამართალი* - დ.ხ.ს განემარტა ადმინისტრაციული წარმოების წესი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წესი, ვადა.
4*. სისხლის სამართალი* -ნ.ზ.ს განემარტა ოჯახური ძალადობის შემთხვევაში პასუხისმგებლობის შესახებ, განემარტა სსკ.ის 126-ე პრიმა მუხლი.
5.*სახელშეკრულებო სამართალი, სისხლის სამართალი* - თ.ვ.ს განემარტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები, ხანდაზმულობის ვადები და სისხლის სამართლის მიმართულებით, თაღლითობა.
6.*ადმინისტრაციული სამართალი* - ბ.ჟ.ს განემარტა ბინადრობის ნებართვის გაცემის წესი, ნებართვაზე უარის თქმის გასაჩივრების წესი და ხელახლა მიმართვის უფლება და ვადა.
7.*სახელშეკრულებო სამართალი* - მოქალაქეებს მ.მ.სა და რ.ზ.ს განემარტათ ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულების არშესრულების სამართლებრივი შედეგები, რისკები მის შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წესი და ხანდაზმულობის ვადა.
8.*დელიქტური სამართალი* - მ.ე.სა და ჯ.ე.ს განემარტათ დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესი, ხანდაზმულობის ვადა. აღნიშნულ მოქალაქეს წარმომადგენლობას გაუწევს ანა კიკნაძე.
9.*სააღსრულებო სამართალი* - მოქალაქეს განემარტა მოძრავი ნივთების დაყადაღების წესი, მესამე პირის დაყადაღებული მოძრავი ნივთების ყადაღისგან გათავისუფლების წესი.
10.*სააღსრულებო სამართალი* - ჯ.ა.ს განემარტა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლები, აღსრულების შეჩერების საფუძვლები, აღსრულების სახეები, აუქციონზე გატანისა და ქონების რეალიზაციის პროცედურა.
11.*სისხლის სამართალი* - გ.დ.ს განემარტა სასჯელის შეცვლის წესი უკანონო პატიმრობის შემთხვევაში.
12.*სახელშეკრულებო სამართალი* - მ.მ. ს განემარტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები. გადაწყდა, რომ აღნიშნულ საქმეზე ორგანიზაციის იურისტი გაუწევს წარმომადგენლობას.

<u>თებერვალი</u>

1.*სამშენებლო სამართალი* - მ.ქ.ს განემარტა მშენებლობის ნებართვის აღების წესი და ამხანაგობის წევრთა თანხმობის აუცილებლობა.
2. *სახელშეკრულებო სამართალი* - ლ.ა.ს განემარტა სამისდღემშიო რჩენის ხელშეკრულების შესახებ, ხელშეკრულების ვადამდე ადრე მოშლის სამართლებრივი შედეგები.
3.*სახელშეკრულებო სამართალი* - თ.ც.ს განემარტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები, ნოტარიუსის მიერ სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესი.
4.*სამეწარმეო სამართალი* - ნ.ჯ.ს გაეწია კონსულტაცია სამეწარემო, საბანკო და სისხლის სამართალში.
5.*შრომის სამართალი* - ნ.პ.ს განემარტა ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.
6.*ადმინისტრაციული სამართალი* - ჯ.მ.ს გაენმარტა დევნილებისათვის სახელმწიფოს მიერ საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის წესი.
7.*ადმინისტრაციული სამართალი* - დ.ნ.ს განემარტა უძრავ ქონებაზე გადასახადის დარიცხვის წესი, აღნიშნული გადასახადის შეჩერების შესაძლებლობა, ნაგავსაყრელის არსებობით ზიანის ანაზღაურების წესი.
8.*შრომის სამართალი* - კ.მ.ს განემარტა სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების სამართლებრივი შედეგები, ბრძანების ბათილად ცნობის, იძულებითი განაცდუნის ანაზღაურებისა და სამსახურში აღდგენის შესახებ.
9.*ადმინისტრაციული სამართალი* - ს.ფ.ს განემარტა სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის ქულების გაზრდისა და დახმარების მიღების შესახებ.
10. *შრომის სამართალი*

<u>მარტი</u>

1.*სამეწარმეო სამართალი*- მ.თ.ს განემარტა აქციონერის მიერ სააქციო საზოგადოებიდან მოგების მიღების წესი .
2.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ხ.ს.ს განემარტა ხანდაზმულობის ვადა სესხის ხელშეკრულებისას, იძულებითი აღსრულების წესი, მესამე პირის დაყადაღებული ნივთების ყადაღისგან გათავისუფლების წესი.
3.*სახელშეკრულებო, სამემკვიდრეო სამართალი* - ე.თ.სა და ე.ხ.ს განემარტათ თავდების ვალდებულების შესახებ,თუ მსესხებელი ვერ შემლებს სესხის დაფარვას, ასევე იზულებითი აღსრულების წესები, ასევე მამკვიდრებლის ვალების გადახდის წესი.
4.*სამემკვიდრეო სამართალი* - ნ.ჯ.ს განემარტა სამკვიდროს მიღების წესი, სამკვიდროს მიღება 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ როგორ ხდება, ასევე გარდაცვლილი მშობლების საკუთრების, რომელიც არ არის საჯარო რეესტრსი აღრიცხული დარეგისტრირების წესი. აღნისნული საქმე ორგანიზაციის იურიტებმა აიღეს.
5.*საოჯახო სამართალი* - ი.ბ.ს განემარტა განქორწინების წესი.

6.*შრომის სამართალი* - მოქალაქეს განემარტა სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში კომპენსაციის გადახდის წესი, დავეხმარეთ განცხადების მომზადებაში, რომელიც უნდა გაეგზავნა კომპანიისთვის, საიდანაც გაათავისუფლეს.
7.*სისხლის სამართალი* - თ.ც.ს განემარტა ადამიანის ორგანოებისას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ.
8.*სანივთო სამართალი* - თ.ს განემარტა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის შესაბამისი მუხლები, ამხანაგობის წევრთა თანხმობის შესახებ, კონფლიქტის მოგვარების გზებზე.
9. *სისხლის სამართლი* - დ.ბ.ს განემარტა პრეზიდენტის მიერ პატიმრის შეწყალების წესსა და პროცედურაზე.

<u>აპრილი</u>

1.*სახელშეკრულებო სამართალი* - ზ.კ.ს განემარტა ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები, იძულებითი აღსრულების წესი, ხანდაზმულობის ვადები, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების წესი, შესაგებლის წარუდგენლობის სამართლებრივი შედეგები.
2. *სახელშეკრულებო სამართალი* - ნ.ხ.ს განემარტა სესხის ხელშეკრულების შეუსრულებლობსი შედეგები, იძულებითი აღსრულების წესი, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების წესი.
3.*ადმისტრაციული სამართალი* - დ.ქ.ს განემარტა „მშენებლობის ნებართვის გაცემის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ დადგენილებისა“ და სხვა ნორმების მიხედვით სარდაფის/ნახევარსარდაფის დარეგისტრირების წესი.
4.*სამოქალაქო სამართალი* - მ.ბ.ს გაენემარტა სამედიცინო დაწესებულებისა და ექიმის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი, ასევე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს უფლებამოსილების შესახებ. ორგანიზაციის მიერ მომზადდა წერილები აღნიშნული სააგნეტოს და ჯანდაცვის მინისტრის მიმართ.
5.*სამემკვიდრეო სამართალი* - მ.ა.ს განემარტა შვილის გარდაცვალების შემდეგ, მას და მის რძალს რა ქონება ეკუთვნით, რამდენი წილი, გენამრტა ყველაფერი მემკვიდრეობის მიღების შესახებ, წარმომადგენლობას გაუწევს და ქონების დარეგისტრირებაში დაეხმარება ორგანიზაციის იურისტი.
6.საოჯახო სამართალი - გ.კ.ს განემარტა ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა სასამართლოს წესით როგორ ხდება. სარჩელს მოამზადებს და წარმომადგენლობას გაუწევს ორგანიზაციის იურისტი.

<u>მაისი</u>

1.*სახელშეკრულებო სამართალი* - ს.ი.ის განემარტა ადვოკატის მიხერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულების სამართლებრივი შედეგები, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნისა და ადვოკატთა ეთიკის კომისიაში საჩივრის შეტანის შესახებ.
2.*სახელშეკრულებო სამართალი*
3.*ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი* - ლ.ჯ.ს განემარტა ადმინისტრაცულ საქმეთა კოლეგიის მიერ საქმის წარმოების შესახებ.
4. *ადმინისტრაციული სამართალი* - ს.ხ.ს განემარტა ადმინისტრაციულ დავაზე მესამე პირად ჩართული პირის უფლებები და მოვალეობების შესახებ, უფასო კონსულტაციის ფარგლებში ორგანიზაციის იურისტის მიერ მოზადდა შესაგებელი.
5.*სამოქალაქო სამართალი* - ა.ტ.ს განემარტა სახელშეკრულებო ურთიერთობის დარღვევის სამართლებრივი შედეგების შესხებ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის სფეციფიკისა და მოგების მიღების შესახებ.
6.*ადმინისტრაციული სამართალი*
7.სამოქალაქო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი - რ.ა.ს განემარტა საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების გასაჩივრების წესი და პროცედურები, ასევე არაკეთილსინდისიერი შემძენის შემთხვევაში გარიგების ბათილად ცნობისა და საკუთრების უფლების აღიარების შესახებ.

<u>ივნისი</u>

1.*სახელშეკრულებო სამართალი* - ნ.ბ.ს განემარტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არ შესრულების სამართლებრივი შედეგებსა და ზიანის ანაზღაურების შესახებ.
2.*სანივთო და საოჯახო სამართალი* - თ.უ.ს განემარტა ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრის შესახებ სასამართლოს განჩინების შეცვლის წესი, მზრუნველობისა და მეურვეობის ორგანოს მხრიდან იძულებითი აღსრულების წესი, ასევე თანასაკუთრებაში არსებული ქონების მართვის წესი, ზიანის ანაზღაურების შესახებ.
3.*შრომის სამართალი* - ზ.ც.ს და სხვებს განემარტათ გაფიცვის უკანონოდ აღიარების წესი და მისი სამართლებრივი შედეგები.
4.*სამეწარმეო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ე.ბ.ს განემარტა შპს. ის პასუხისმგებლობის შესახებ შპს.ის ვალდებულების გამო, ასევე განემარტა იძულებითი აღსრულების წესები, აუქციონის ჩატარების და ა.შ.
5.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსულებო სამართალი* - ი.ქ.ს განემარტა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებების შესახებ, ასევე განემარტა იძულებითი აღსრულების საფუძველზე, ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხის გადანაწილების წესი.
6.*სამემკვიდრეო სამართალი* - ჯ.ნ.ს განემარტა მემკვიდრეობის მიღების წესის შესახებ, ასევე სხვადასხვა დოკუმენტებში სახელის გასწორების წესი.

7.*საოჯახო სამართალი* - ნ.ა.ს განემარტა ქორწინების ბათილობის საფუძვლებისა და წესის შესახებ.
8.*სამოქალაქო საპროცესო სამართალი* - ლ.შ.ს განემარტა დანაშაულის ჩადენის შედეგად, დაზარალებულად ცნობილი პირის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წესი, განემარტა ახლად აღმოჩენილი გარემოებების გამო საქმის წარმოების განახლების წესი.

<u>ივლისი</u>

1.*სისხლის სამართალი (თაღლითობა), სამოქალაქო საპროცესო სამართალი* - მ.თ.ს განემარტა თაღლითობის შესახებ, ასევე დანაშაულის ჩადენის შდეგად დაზარალებულის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებისა და წესის შესახებ.
2.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღასრულებო სამართალი* - ლ.გ.ს გაენმარტა ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნისა და სამართლებრივი დასაბუთების შესახებ, ასევე საკუთრების უფლების აღიარებისა და სახელმწიფო ბაჟის გადახდის შესახებ, განემარტა იძულებითი აღსრულების წესები.
3.*სახელშეკრულებო სამართალი, საოჯახო სამართალი* - ნ.მ.ს განემარტა ჩუქების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები და წესი. ასევე დედის მიმართ შვილის მოვალეობების შესახებ.
4. *სამოქალაქო საპროცესო სამართალი* - კ.ხ.ს განემარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გასაჩივრების წესისა და ვადების შესახებ.
5. *სამოქალაქო საპროცესო სამართალი* - გ.გ.ს გაენემარტა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის არ დაკმაყოფილების შესახებ სასამართლოს განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრების თაობაზე. განემარტა იძულებითი აღსრულების წესები. უფასო კონსულტაციის ფარგლებსი ორგანიზაციის იურისტმა მოამზადა სააპელაციო საჩივარი.
6.*სამოქალაქო საპროცესო სამართალი* -ნ.ი.ს განემარტა საქმის წარმოების განახლების შესახებ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო.
7.*ადმინისტრაციული სამართალი* - ხ.მ.ს განემარტა საკუთრების აღიარების შესახებ.
8. *დელიქტური სამართალი* - ნ.ლ.ს განემარტა ექიმის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, ასევე სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს სამიანობისა და ჩატარებული ოპერაციის სისწორის შემოწმების შესახებ.
9.*საოჯახო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ლ.ხ.ს განემარტა დაკისრებული ალიმენტის შემცირების წესი, ასევე იძულებითი აღსრულების წესები.
10.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ი.უ.სა და ნ.ყ.ს განემარტათ იძულებითი აღსრულების წესები, მესამე პირის დაყადაღებული მოძრავი ნივთების ყადაღისგან გათავისფლების წესი, განემარტა მარწმუნებლის გარდაცვალების მომდევნო დღეს, გარდაცვალებამდე გაცემული მინდობილობის საფუძველზე ქონების გასხვისებისა და იპოთეკით დატვირთვის შესახებ, სამართლებრივი შედეგები.
11.*სახელშეკრულებო სამართალი* - ნ.ზ.ს განემარტა სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმების შესახებ.

<u>აგვისტო</u>

1.*სახელშეკრულებო სამართალი* -ლ.შ.ს გაენმარტა უძრავი ქონების მშენებლობასთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ.
2.*სამემკვიდრეო სამართალი* - ი.ბ.ს განემარტა კანონით მემკვიდრეებისა და მემკვიდრეობის მიღების წესის შესახებ.
3. *სამეწარმეო სამართალი, სამშენებლო სამართალი* - თ.მ.ს, რომელსაც დაუკმაყოფილდა მოთხოვნა და ქ.თბილისის მერია დაევალა მშენებლობის ნებართვის გამოცემა განემარტა აღშრულების წესები, ვინაიდან მიუხედავად მოთხოვნის დაკამყოფილებისა მერია არ გამოსცემს აქტს ნებართვის შესახებ. განემარტა სააქციო საზოგადების საერთო კრების ოქმის გასაჩივრების წესი, ორგანიზაციის იურისტის მიერ შემოწმდა მოქალაქის მიერ მომზადებული სარჩელი სააქციო საზოგადოების მიმართ.
4.*ადმინისტრაციული სამართალი* - ნ.კ.ს განემარტა მის პრობლემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოსთვის ქმედების დავალდებულების სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.
5.*სახელშერკულებო სამართალი/თამაშობა* - კ.გ.ს განემარტა თამაშობის შესახებ, ასევე ზიანის ანაზღაურების შესახებ.
6.*სახელშეკრულებო სამართალი* - გ.ღ.ს განემარტა სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი სამართლებრივი ნორმები.

<u>სექტემბერი</u>

1.*სახელშეკრულებო სამართალი, საარბიტრაჟო სამართალი* - კ.კ.სა და გ.ჟ.ს განემარტათ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი, განემარტათ სესხის ხელშეკრულებასთან და პრობლემური აქტივების კომპანიასთან ურთიერთობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.
2. *სამოქალაქო სამართალი* - გ.ყ.ს განემარტა ვალდებულების შესრულებისა და თანხის დაკისრების მოთხოვნის შესახებ.
3. *შესყიდვების სამაჯრთალი* - რ.ბ.ს, თ.კ.ს, ი.ქ.ს, გ.ბ.სა და ჯ.ძ.ს განემარტათ სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის წესი, სატენდერო პირობების შესრულებისა და ტენდერებთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები. განემარტათ იურიდიული პირის დაფუძნების წესი.
4. *ადმინისტრაციული სამართალი* - ს.თ.ს განემართა საქართველოს მოქალაქობის მიღების წესი.
5. *სახელშეკრულებო სამართალი, სისხლის სამართალი (თაღლითობა)* -ლ.გ.ს განემარტა გარიგების ბათილად ცნობისა და საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. განემარტა იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ.
6.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ა.ჟ.ს განემარტა თავდებობის შესახებ, იძულებითი აღსრულების წესიების შესახებ.

7.*სამემკვიდრეო სამართალი* - ი.ბ.ს განემარტა მემკვიდრეობაზე უარის თქმის წესი და სამართლებრივი შედეგი.
8.*ადმინისტ.სამართალდარღვევათა სამართალი* - ვ.ლ.ს განემარტა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ, ასევე გასაჩივრების ვადა.
9. *შრომის სამართალი* - თ.ჩ.ს განემარტა შრომითი ურთიერთობის დაწყების შესახებ.
10.სისხლის სამართალი - მოქალაქეს განემარტა მის საქმეში პოლიციის ქმედებების კანონშესაბამოსობის შესახებ.
11.*ადმინისტრაციული სამართალი* - შ.გ.ს განემარტა სამხედრო ვალდებულებისგან გათავლისუფლების საფუძვლების შესახებ.
12.*სახელშეკრულებო სამართალი* - რ.ხ.ს განემარტა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის სამართალბრივი შედეგები, ზიანის ანაზღაურების წესისა და ხანდაზმულობის ვადის შესახებ.
13.*სახელშეკრულებო სამართალი* - შ.გ.სა და ზ.ჯ.ს განემარტათ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიმართ ვალდებულების არ შესრულების სამართლებრივი შედეგები.
14.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი , სისხლის სამართალი (თაღლითობა)*- ნ.მ.ს განემარტა ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესი, იძულებითი აღსრულების წესები და განემარტა თაღლითობის შესახებ.
15.*ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი* - მ.ს განემარტა ზიანის ანაზღაურების შესახებ, განემარტა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში საქმის წარმოების წესისა და მხარეთა უფლებების შესახებ.
16.*სააღსრულებო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი* - გ.ო.ს განემატა იძულებითი აღსრულების წესები, ასევე საპოლიციო გამოსახლების წესი.
17.*სააღსრულებო სამართალი* - ქ.მ.ს განემარტა აღსრულების წესები.
18.*სამემკვიდრეო სამართალი* - ლ.ლ.ს განემარტა მემკვიდრეობის მიღების წესები.

<u>ოქტომბერი</u>

1.*სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სამოქალაქო სამართალი* - ნ.ს.სა და ლ.გ.ს განემარტათ სასამართლოში საქმის წარმოების წესები, ასევე უკანონო ხელყოფის აღკვეთის შესახებ.
2.*სამემკვიდრეო სამართალი* - მ.ჯ.ს განემარტა მემკვიდრეობის მიღების შესახებ.
3.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - მ.რ.ს განემარტა ხელშეკრულების შეუსრულებლოს სამართლებრივი შედეგები და იზულებითი აღსრულების წესები. აღნიშნულ საქმეზე წარმომადგენლობას სასამართლოში გაუწევენ ორგანიზაციის იურისტები.
4.*ადმინისტრაციული სამართალი* - თ.კ.ს განემარტა სახელმწიფო შიდა ვალის შესახებ.
5.*საოჯახო სამართალი* - მ.მ.ს განემარტათ შვილების სალიმენტო მოვალეობების შესახებ მშობლების მიმართ.

6.*საოჯახო სამართალი* - თ.ვ.ს განემარტა მსობლის წარმომადგენლობის უფლების შესღუდვის წესის შესახებ. აღნისნულ საქმეზე წარმომადგენლობას გაუწევს სასამართლოში ორგანიზაციის იურისტი.

7. *სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ნ.ხ.ს განემარტა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არ შესრულების სამართლებრივი შედეგები და იძულებითი აღსრულების წესები.

8.*ადმინისტრაციული სამართალი* - ნ.შ.ს განემარტა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ქმედების განხორციელების დავალდებულების წესის შესახებ.

9.სააღსრულებო სამართალი - თ.ნ.ს განემარტა იძულებითი აღსრულების წესები და აღსრულების შეჩერების წესები.

10.სამემკვიდრეო სამართალი - მ.მ.ს განემარტა მემკვიდრეობიდან სავალდებულო წილის მიღების შესახებ.

11.*ადმინისტრაციული სამართალი, სამოქალაქო სამართალი* - ნ.ლ.ს განემარტა საპოლიციო და სასამართლო გზით გამოსახლების წესის შესახებ.

12.*სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სახელშერკულებო სამართალი* - მ.ჩ.ს განემარტა შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირების წესი, სასამართლოში საქმის წარმოების წესი და ხელშეკრულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები.

13.*სააღსრულებო სამართალი* - ს.ბ.ს განემარტა აღსრულების წესები.

14.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - გ.გ.ს განემარტა ხელშეკრულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებისა და იძულებითი აღსრულების წესების შესახებ.

15.*სამემკვიდრეო სამართალი* - გ.მ.ს განემარტა ანდერძის შეცვლის წესის შესახებ, ასევე ანდერძითა და კანონით მემკვიდრეობის შესახებ.

16.*ადმინისტრაციული სამართალი* - ნ.ქ.ს განემარტა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ.

17.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - მ.გ.ს განემარტა ხელშეკრულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგებისა და სასამართლოსი საქმის წარმოების წესის შესახებ, ასევე იძულებითი აღსრულების წესები. აღნიშნულ საქმეზე მოქალაქეს წარმომადგენლობას გაუწევს ორგანიზაციის იურისტი.

18.*სახელშერკულებო სამართალი, შრომის სამართალი* - ც.შ.ს განემარტა ხელშეკრულების ბათილობის საფუძვლების შესახებ, დასაქმებული პირის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულების სამართლებრივი შედეგები, დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ.

19.*სამოქალაქო სამართალი* - რ.ღ.ს განემარტა ვალდებულების შესრულებისა და ხანდაზმულობის ვადის შესახებ.

20.*სააღსრულებო სამართალი* - ა.ჟ.ს განემარტა იძულებითი აღსრულების წესები.

<u>ნოემბერი</u>

1.*სააღსულებო სამართალი* - მ.რ.ს განემარტა აღსრულების წესები, აუქციონის ჩატარების შესახებ.
2.*სააღსრულებო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი* - ვ.ბ.ს განემარტა საპოლიციო და სასამართლოს გზით გამოსახლების შესახებ.
3.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ე.ხ.ს განემარტა იძულებითი აღსრულების წესები, იპოთეკარების რიგითობის მიხედვით დაკამყოფილების წესი.
4.*საოჯახო სამართალი* - მ.ს განემარტა რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში შეძენილ ქონებაზე თანამესაკუთრედ აღიარების შესახებ.
5.საგადასახადო სამართალი - თ.ს.ს განემარტა ცუქების ხელშეკრულების გაფორმებისას საშემოსავლო გადასახადის შესახებ.
6.ადმინისტრაციული სამართალი - ზ.ბ.ს განემარტა ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისა და მოქმედების შეჩერების წესები.
7.*სახელშეკრულებო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ი.ს. განემარტა ხელშეკრულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები, იძულებითი აღსრულების წესები, ხელფასის დაკავების შესახებ. ასევე გამოსახლების შესახებ.
8.სამოქალაქო სამართალი - მ.ო.ს განემარტა ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ.
9.*ადმინისტრაციული სამართალი* - ზ.გ.ს განემარტა დამცავი და შემაკავებელი ორდერის გამოცემის შესახებ.
10.*საოჯახო სამართალი* - ვ.ს განემარტა სასამარტლოს გზით განქორწინების წესის შესახებ.
11.*სახელშეკრულებო სამრთალი, საპროცესო სამართალი* - მ.მ.ს განემარტა სასამართლოში საქმის წარმოების წესი.

<u>დეკემბერი</u>

1.*სახელშეკრულებო სასამართალი* - ა.ბ.-ს განემარტა, რომ შეეძლო გაეყიდა ქონება და შემდგომში ახალი მესაკუთრის მიერ მომხარიყო ბინის გამიჯვნა.
2.*ადმინისტრაციული სამართალი* - ე.ზ.-ს განემარტა, რომ მას ქონდა უფლება მიემართა საქალაქო სასამართლოსთვის და მოეთხოვა ადმინისტრაციული ორგანოსთვის ქმედების დაკისრება. აგრეთვე განემარტა სარჩელის შედგენის წესი.
3.*სახელშეკრულებო სამართალი* - დ.ხ.-ს განემარტა, რომ ქონდა უფლება სასამართლოსთვის მიემართა სამოქალაქო სარჩელით და მოეთხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და მესაკუთრედ აღიარება. აგრეთვე სამოქალაქო სარჩელით მოეთხოვა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.
4. *სამოქალაქო საპროცესო სამართალი* - ნ.ზ.-ს განემარტა, რომ პოლიციის მხრიდან მისი ძებნის მიზეზი იყო სასამართლოს განჩინება, რომლითაც პოლიციას დავალებული ქონდა მისთვის მიღებული სასამართლო განჩინების ჩაბარება.

5.*შრომის სამართალი* -ზ.თ-ს განემარტა, რომ გასული იყო სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების გასაჩივრების ვადა. აგრეთვე განემარტა, რომ სტაჟირება არ წარმოშობს დამსაქმებლისთვის ვალდებულებას, რომ იგი სამსახურში აიყვანოს.

6.*სამოქალაქო საპროცესო სამართალი* - ბ.ჟ.-ს განემარტა, რომ სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. სასამართლო 20 დღის ვადაში იხილავს მას და თუ არ ცნო საჩივარი დასაბუთებულად შემდგომ უგზავნის სააპელაციო სასამართლოს.

7*. სახელშეკრულებო სამართალი* - ა.ბ.-ს განემარტა, რომ ბანკის მიერ სესხის გადანაწილება აგრეთვე დარიცხული ჯარიმების და პროცენტის შემცირება მხოლოდ ბანკის კეთილი ნებაა და არ არსებობს სამართლის ნორმა, რომლითაც ბანკს აღნიშნულს დავავალდებულებთ. შესაძლებელია მხოლოდ შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირება სასამართლოსთვის მიმართვის გზით.

8*. სახელშეკრულებო სამართალი* - ა.ბ.-ს განემარტა, რომ შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ხოლო შემდგომ 10 დღის ვადაში მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა დაკისრებული პირგასამტეხლოს შემცირება.

9.*სახელშეკრულებო სამართალი* - გ.დ.-ს განემარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ გადაიხდის სესხის თანხას, ბანკს შეუძლია მიმართოს პირდაპირ აღსრულების ეროვნულ ბიუროს აღსრულების მოთხოვნით, ვინაიდან მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება აღნიშნულს ითვალისწინებს, ასევე განემარტა იძულებითი აღსრულების წესები.

10*. სახელშეკრულებო სამართალი* - ჯ.ა.-ს განემარტა, რომ მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა თავად იპოთეკართან სხვა რაიმე სამართლებრივი გზა მის შემთხვევაში არ არსებობდა.

11.*სახელშეკრულებო სამართალი*, სამოქალაქო საპროცესო სამართალი - გ.დ.-ს განემარტა მოქალაქეს განემარტა, რომ შეუძლია მიმართოს სასამართლოს სამოქალაქო სარჩელით და მოითხოვოს თანხის დაკისრება, განემარტა ბაჟის გადახდის შესახებ, აგრეთვე პროცესის მიმდინარეობს წესი და ვადები.

12*. ადმინისტრაციული სამართალი* - მოქალაქეებს განემარტათ, რომ მათ შეეძლოთ ამხანაგობის თავმჯდომარის გადაყენება და ახალი თავმჯდომარის არჩევა. განემარტათ, რომ ფონდს არ შეეძლო მათთან შეთანხმებისა და ხელშეკრულებების დადების გარეშე დაეწყო მათი სახლების დანგრევა და მშენებლობა. აგრეთვე განემარტათ სარჩელის აღძვრის უფლებამოსილება და სარჩელის უზრუნველფოფის ღონისძიების ინსტიტუტი.

13. *სამოქალაქო საპროცესო სამართალი* - გ.ზ.-ს განემარტა, რომ ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა ვრცელდება ხელშეკრულებაზე და არა სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

14. *სამოქალაქო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ბ.გ.-ს განემარტა, რომ რადგან მხარეები მორიგდნენ სასამართლო პროცესზე იმვაე საქმეზე დავა სასამართლოში მხარეებს შორის აღარ შეიძლება. ამასთან განემარტა, რომ არ ქონდა სააღსრულებო პროცესის შეჩერების საფუძველი.

15. *შრომის სამართალი* - ა.ბ-ს განემარტა გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების პრობები, მისი დადების და შეწყვეტის წესი.

16. *სახელშეკრულებო სამართალი* - ა.ბ-ს განემარტა სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე ხანდაზმულობის ვადები. აგრეთვე აღიარებითი სარჩელის აღძვრის და განხილვის წესი.

17. *სამოქალაქო სამართალი, სააღსრულებო სამართალი* - ა.ბ.-ს განემარტა, რომ შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება. ხოლო შემდგომ 10 დღის ვადაში მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა დაკისრებული პირგასამტეხლოს შემცირება.

18. *ადმინისტრაციული სამართალი* - ა.ბ.-ს განემარტა მოქალაქეობის მიღების დაკარგვის და შეწყვეტის წესები.

ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ

ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
მისამართი: თბილისი, საბურთალო, გ. ისაკაძის ქ. #7
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
იურიდიული სტატუსი: არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივლისი
ვებ–გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“, ორთაჭალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წლის 9 ივლისს. ორგანიზაციის დევიზია: „ღირსება, თავისუფლება, თანასწორობა“. ორგანიზაცია წარმოადგენს ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციას და დაფუძნების დღიდან ერთ-ერთი აქტიური პოზიციის მქონე ორგანიზაციაა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სფეროში, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ინსტიტუციური რეფორმების შეფასების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მოქმედებს წესდების, შინაგანაწესისა და შიდა ნორმატიული აქტების საფუძველზე. გააჩნია საქმიანობის სტრატეგიული ხედვის დოკუმენტი, რომელიც პერიოდულად ახლდება. 2015 წლის იანვრიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“, კაბინეტურ მმართველობაზე გადავიდა. ორგანიზაციის ახალი წესდებით, შეიცვალა მმართველობითი რგოლი. ორგანიზაციას, სადამფუძნებლო საბჭოს ერთპიროვნული მმართველობის ნაცვლად, უხელმძღვანელებს ორი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელი. ხელმძღვანელი აკომპლექტებს კაბინეტს (გუნდს), რომელიც ანგარიშვალდებულია სადამფუძნებლო საბჭოს და ყველა სხვა მესამე პირთან მიმართებით.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შემოსავლის წყაროა: საგრანტო პროექტები, შემოწირულობები და კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

„ახალგაზრდა ადვოკატებისთვის“ მნიშვნელოვანია მკითხველის აზრი
წარმოდგენილი კვლევის შესახებ.

თუკი გსურთ მიიღოთ და გაეცნოთ კვლევის
ელექტრონულ ვერსიას, გთხოვთ ორგანიზაციას
დაუკავშირდეთ ელექტრონულ მისამართზე:
pryoungbarristers@yahoo.com